

კვირის პალიტრა



№ 42 (503) ◆ 18 - 24 ოქტომბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ლიკვიდირებულია ელექტრონების აფეთქებალი ბეროლისტი?

ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ახალი
ხელისუფლება ცდილობს, დაუსჯელი არ
დატოვოს ის, ვინც საქართველოს ებრძო-
და... ტერორისტული აქტებით შეწყვეტილი საქართველოს მოსახლეობა უპირველეს-
ად პრეტენზიებს თავისთავად ზეგონებს წაუყენებდა — თუ ქვეყნის უსაფრთხოე-
ბის დაცვა არ შეეძლო, მაშინ თქვენი ადგილი სახელმწიფოს სათავეში არ არისო!
...ჩვენი ინფორმაციით, გორის რაიონის სოფელ კირბალთან, გზაზე მოეწყო ჩასაფრე-
ბა... ოსებმა, რომელთა ნაწილს ოსური სამშვიდობო ბატალიონის წევრების მოწოდებები
ჰქონდათ, მანქანიდან პირველებმა დაიწყეს ტყვიამურევეთი სროლა... **გვ. 5, 8**



პასკალუნი

ჩვენი უპილავის ჯანმრთელობას რაგანიე ათეულ ლარად ყიდნიან!..

„ბურაგინოს“ ახალი თავგადასავალი
საქართველოს სადემინფექციო სამსახურებში

საქართველოს სადემინფექციო მომსახურების სფეროში
სრული განუკითხაობაა. შესაბამისი სამსახურების თანამშრომ-
ლები დღისით-მზისით უცნობ პირებზე ყალბ ცნობებს
გაცემენ. თავს არც იმით იწუხებენ, თუნდაც გადა-
ამოწმონ, არსებობს თუ არა ასეთი სკოლა ან სა-
ბავშვო ბაღი(!)...



გვ. 6, 24
„წელს თბილისის არც ერთ
სკოლაში, არც ერთ საბავშვო
ბაღში სადემინფექციო პროფილაქ-
ტიკური სამუშაოები არ ჩატარებულა!“



„კვირის პალიტრის“ საგამოცემო პასპორტი

„არ იყო საქირო სავადა გარდაცვლილი პრეზიდენტის გამოყენება“



ყველა პრეზიდენტის გარემოცვაში
არიან ადამიანები, რომლებიც
სიმართლეს არ ამბობენ
...არ ვიცი, რამდენად ზუსტია ინფორმა-
ცია აფხაზეთში რუსული დესანტის გად-
მოსხმზე, მაგრამ თუ ეს გამართლდა, რუსე-
თი მსოფლიოში თავს მოიჭრის...
...მე შევარდნაძეს ვეუბნებოდი სიმარ-
თლეს, მაშინაც კი, როცა ოპოზიციაში არ
ვიყავი. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო
მწარე სიმართლეს ვეტყვი პრეზიდენტ
საკაშვილს... **გვ. 7, 27**

ქართულ მინიგრაფს საკუთარი კონსტიტუცია დააპყრობა?

სასამართლოს კომპეტენციაში შეჭრის
უფლება პრეზიდენტსაც არა აქვს!.. **გვ. 5**

ეუთოს ავტორიტეტი უფრო გავლენიანი აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყნის
კონსტიტუცია და სასამართლოს უმენაესობა?!

ვინ სად, როგორ ინიშნება და ვინ ვინ სად შეყვას

„საკაშვილის ადგილზე,
დავფიქრებოდი —
ვის მოკვლას აპირებენ-მეთქი“

უმრავლესობის დაშლა ურანის დაშლის
პროცესს ჰგავს და ამას მია ნადირაძე კი არა,
ვერავენი შეაჩერებს...

...საქართველოში მოღვათა „შენიანების“ დაჭერა — ერთ „შენს“ რომ დაიჭერ
და ბევრი შენი გაჯვჯვდება. **გვ. 7**



რაგონი ელანდება ნაყინადებული და დანგრეული ქალაქი ქუთაისის გარს(?)

გვ. 27

გერმანია მოხული კონგრესი გრაფია აქარაუ

გვ. 8, 13

ახალი დეგალები Il-18-ის
დალუგვასთან დაკავშირებით

ტვირთის, რომელიც „ჩკალოვსკის“
აეროპორტიდან საქართველოში უნდა
ჩამოსულიყო, არც საბაჟო შემოწმება გაუ-
ვლია და არც არსად ყოფილა რეგისტრირებული.

Il-18-ს გადაჰყავდა 9 სამოქალაქო პირიც,
რომელთაც ასევე არც საბაჟო შემოწმება ჰქონდათ გავლილი და არც ბილეთები
გაჩნდათ. საქართველოში შემოპარულთა შორის იყო რუსეთის თავდაცვის სამინ-
ისტროს მთავარი სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკი მიხეილ ისაკოვიც(?!).
საინტერესოა რა მიზნებით მოგზაურობდა არაღიარებულად ჩვენს ქვეყანაში
რუსეთის სპეცსამსახურების ოფიცერი.



პასკალუნი

რუბრიკის პრეზიდენტი

ასკალმონაგენი

გვ. 12

ბადრაგის მეთაურმა სერგო
ორჯონიკიძის ნაჩუქარი
მაუზეუმით პირველი სწორედ
მამა პანტელეიმონი ჩაცხრილა

„კვირის პალიტრა“ პერიოდულად მოგა-
წვდით უსამართლოდ მივიწყებულ ღვთის
კაცთა ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახვე-
ლ ლოკუმენტებსა და ფოტომასალებს...



გვ. 22

ვინ და რაგონი დაეუქრა ღვთის კიკალიშვილს?!

რა ხდება ქართულ
საგელევიზიო სივრცეში?!

უეცრად, „კიკალიშვილს“ უარი განაცხადა „იმედთან“ თანამშრომლობაზე. ამის
შესახებ არც „იმედში“ ლაპარაკობენ ოფიციალურად. თუმცა, კულუარებში
ჭორს ადასტურებენ და თანაუგრძნობენ კოლეგას.

თქვენ გეგონებინანი გკითხველი გრჩანდება!

გალგოისიკრეთი სპაერთელოს გვერდითაა

მიხეილ სააკაშვილის ბალტიისპირეთში ვიზიტს ჩვენი მეზობლები გაფაციცებით ადევნებდ-ნენ თვალყურს, რუსული ხელისუფლებისგან ბორკილდადებული პრესა კი ავად იგესტებოდა — სააკაშვილი ბალტიისპირეთში დასეირნობსო. ამ „სეირნობაში“ კი, ხელისუფალთა თქმით, სააკაშვილმა „სამი ძალზე მნიშვნელოვანი მეგობარი შეიძინა“, რომლებიც ევროკავშირში საქართველოს შესვლას გაუწევენ ლობირებას.

საქართველოს პრეზიდენტმა ბალტიისპირელებს შესთავაზა თანამშრომლობა ფორმატით 3 +3, რომელიც სამი ბალტიისპირული და სამი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტი ვიზიტით ძალზე კმაყოფილია და ამბობს, საქართველოსთვის საჭირო საქმიანი კავშირების დიდი პერსპექტივა გვაქვსო.

ბალტიისპირეთში ყოფნისას სააკაშვილს არც ქართული დიასპორის მონახულება დაეინყე-ბია და ქართულ რესტორანსაც ეწვია, შინ გამომგზავრებისას კი ბებიასაც უყიდა საჩუქარი.

გვერგველი ხეაგოონილი

აზერბაიჯანის აღსტაფის რაიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის ქართულ და აზერბაიჯანულ მონაკვეთები შეაერთეს. ცერემონიალში საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები, მიხეილ სააკაშვილი და ილჰამ ალიევი მონაწილეობდნენ.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ნავთობსადენი საქართველოს ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუმცა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მან ხაზგასმით აღნიშნა, ილჰამ ალიევი ჩემი მეგობარია, რომელთანაც არანაირი ფორმალობა და ცერემონიე-ბი არ მჭირდებაო.

თავის მხრივ, ილჰამ ალიევმა მიუთითა იმ პოზიტიურ როლზე, რომელსაც ნავთობსადენი რეგიონულ უსაფრთხოებაში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთელი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში შეასრულებს.

აზერბაიჯანში ნავთობსადენის მშენებლობა პრაქტიკულად დასრულებულია. ქართული მონაკვეთი 2005 წლის დამდეგს დასრულდება. ნავთობსადენის მშენებლობა 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამტარუნარიანობა წელი-ნადში 50 მილიონ ტონა ნავთობს შეადგენს.

„წამუშავების“ და ცერემონიალის შემდეგ მეგობრებმა ბუნების წიაღს მიაშურეს. მასპინძლო-ბა ილჰამ ალიევმა ითავა — მან სააკაშვილს საკუთარი ხელით შემწვარი ქათმის მწვადი მიართვა, მერე კი ჯანდარის ტბაზე სასეირნოდ მიიწვია. სააკაშვილს თავისი ჰობი არც აქ დაეინყებია, უმაღ მჭურვალთან აღმოჩნდა და თვითმფრინავის პილოტობის შემდეგ კატარღის მართვასაც „გაუს-ინჯა გემო“. მერე ახალგაზრდა პრეზიდენტები ჯანდარის ტბაზე საგანგებოდ მათი შესხედლისთვის გამზადებულ მოლაპარაკებათა მაგიდასთან განმარტოვდნენ. რაზე ილაპარაკეს ორი ქვეყნის მე-თაურებმა, ეს ოფიციალურად უცნობია, თუმც მისახვედრად ძნელი არ არის.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აპროგნოზავს

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინ-ფორმაცია, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ფსოუს მონაკვეთზე არსებული არალეგიტი-მური საკონტროლო-გამშვები პუნქტის საშუალებით რუსეთმა უკანონოდ შემოიყვანა აფხაზე-თის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებშიც რამდენიმე ასეული კაცი შედის.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გოგა გომიაშვილის თქმით, აფხაზეთის ტერი-ტორიაზე, კერძოდ, სოხუმსა და გუდაუთაში ხდება ე. წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედ-ერაციის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია. ამ ფორმირებების წარმომადგენლები შამილ ბასაევის მეთაურობით აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში. ისინი ექვმიტანილი არიან და იძებნებიან ტერორისტული საქმიანობი-სათვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოში რუსე-თის ელჩთან, ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან შეხვედრა გამართა. როგორც აღმოჩნდა, ჩხიკვიშვილი ამ ინფორმაციას არ ფლობდა(?!). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, შეიარაღებული ქვედანაყოფები ქვეყნის ტერიტორიიდან გაიყვანოს და თავი შეიკავოს საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაგან.

ოფიციალური რუსეთი აფხაზეთში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების შეყვანას უარყოფს.

„თბილისოვა“ ერთ კვირას გასვანს

ახალი ხელისუფლებმა „თბილისობის“ ასლებურად აღნიშვნას აპირებს. წლევანდელ ზეიმს შევარდნაძის დროინდელი „თბილისობის“ აღმარფერი შერჩება — ის 19-დან 24 ოქტომბრამ-დე გასტანს და მთელ თბილისს ზეიმის ფერხულში ჩააბამს. როგორც ამბობენ, აღარც ძველებური „მწვადობა“ იქნება და აღარც სოფლის ნობათის ბაზრობა. ღვინის აღმართის ახლოს მე-19 საუკუნის თბილისი გაცოცხლდება — კინტოებითა და წარდის მოთამაშეებით. ღვინის სარდაფებში კი ძველი ქართული ლხინი გაიმართება. ვაკის პარკში ატრაქციონი უფასოდ იმუშავებს. ბილიარდის ჩემპიონატში კი დედაქალაქის მერი ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზეიდადურთან აპირებს ძალის მოსინჯვას.

თბილისში სტუმრად ელიან სომხეთის პრეზიდენტს, რობერტ ქოჩარიანს. თუ ვანო ზოდელავას სომხების თავკაცი „ნოა-ნოაში“ „ტუსოგვანე“ დაჰყავდა და მასთან ერთად ცეკვაე-და, ახალი მერი ქოჩარიანთან ერთად საპაერო ბუმტების გაშვებას აპირებს.

„თბილისობაზე“ სტუმრად ელიან მიხეილ სააკაშვილსაც, მაგრამ პრეზიდენტი სად და როდის გამოჩნდება, ეს თავად ჭიაბერაშვილმაც კი არ იცის.

„თბილისობას“ ჩამოუხსრებს ალბათ ის 47 (დედაქალაქისთვის განკუთვნილი) ავტო-

ბუსი, რომლებიც გაურკვეველი მიზეზების გამო თურქეთის საბაჟომ „დააბატირა“.

წლევანდელი „თბილისობა“ იმითაც არის განსაკუთრებული, რომ მას ახალი ლოგო და დევიზი ექნება. „ჩაიფიქრე!“ — ასე მოუწოდებენ თბილისელებს და არა მარტო მათ. ალბათ ისინიც ჩაიფიქრებენ ისეთ სურვილებს, რაც დედაქალაქის კეთილდღეობას წაადგება.

გინავს „აქაყელ“ ლოლვილავსამ პეილიან

სასტუმრო „ივერიის“ შემდეგ სასტუმრო „აჭარის“ ჯერიც დადება. მაღლ ლტოლვილებს სასტუმრო „აჭარიდანაც“ გამოასახლებენ და „ივერიელების“ მსგავსად მათაც თითო ოთახში 7-7 ათას დოლარს გადაუხდიან. დევნილებს საკომპენსაციო თანხას გადაუხდის სასტუმროს მფლობელი სააქციო საზოგადოება „აჭარა“, რომელიც სასტუმროს რეკონსტრუქციისთვის უცხოელი ინვესტიორის მოძიებას გეგმავს.

„აჭარაში“ მცხოვრებ დევნილებს 7 ათასი დოლარი ეცოტავენათ, მაგრამ ქალაქის ხელმძღ-ვანელობა პირობას დებს, რომ ღია ცის ქვეშ არავის დატოვებს და ყველას გამოუწახავს საცხოვრებელ ფართს.

აქაყაში ხეგვა იჩენება

როგორც ჩანს, აჭარაში ხეტყის უკანონო ჭრის ბუმს ვერც ორი გამგებლის დაბატირებამ უშველა. აჭარის შს-მ და ეკოლოგიის სამმართველომ მდინარე ჭოროხის ნაპირზე, მიუვალ ადგილზე უკანონოდ მოჭრილი ხეტყის სამალავი აღმოაჩინეს — 35 კუმბეტრი ხეტყე გასაყ-იდად იყო გამზადებული.

აჭარელი ბრაკონიერები ერთმანეთს ტოლს სხვა რეგიონებშიც არ უდებენ. საპატრულო პოლიციამ ბათუმში ხეტყით დატვირთული ხუთი ვაგონი დააკავა. სამართალდამცველების მტკიცებით, ხეტყის მასალა ცხინვალის რეგიონიდან მოჰქონდათ ხელვაჩაურის რაიონში არსებული ერთ-ერთი ფირმისთვის. სამართალდამცველების ორივე „მონაპოვარი“ აუქციონზე გაიყიდა, მაგრამ როდის გაისხნებენ საკუთარ ჯიბეზე გახაზირებელი ავისმქმნელი წინაპრის შეგონებას — „ტყე შეუნახე შვილებსა“.

აფხაზეთი ომის ზღვარზეა

არალეგიტიმური არჩენების მოულოდნელმა შედეგმა აფხაზეთში დენთის სუნი დაატრიალა — აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზეა. კრემლის ფავორიტი ხაჯიმბა მარცხის აღიარებას არ აპირებს, ბალაფშს კი მოპოვებული გამარჯვების დათმობა არ სურს. ორივე პრეზიდენტობის კანდიდატის მომხრეები სოხუმში მრავალრიცხოვან მიტინგებს მართავენ. „კავებუშნიკ“ ხაჯიმბას მხარი მთიელმა კონფედერატებმაც აუბეს, რომლებიც სოხუმში ჩავიდნენ და განაცხადეს, ბალაფ-შის გამარჯვებას ვერ შევეგუებითო. ბალაფშს კი „აფხაზი ხალხის ეროვნულ“ ყრილობაზე მხარდაჭერებმა აღუთქვეს — იარაღს ავიღებთ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო. არძინბამ და ხაჯიმბამ ბალაფშის მომხრეების გადმობირება ბალაფშის პროქართელობაზე მითითებით სცადეს, მაგრამ გამოცდილმა ბალაფშმა ოსტატურად მოიგერია იერიში და პირო-ბა დადო, — აფხაზეთი დამოუკიდებელი და მარად რუსეთის მეგობარი იქნებაო.

არჩენებში გამარჯვებულ ბალაფშს პრეზიდენტის კაბინეტი ჯერ არ დაუჟავებია. როგორც ჩანს, ის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებას ელოდება. „ამბობენ, რომ თითქოს მო-მხრეების მხარდაჭერით ძალით დავიკავე აფხაზეთის პრეზიდენტის კაბინეტი და რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებას შევუდექი. ეს სიცრუვა, ამის გაცეთებას არ ვა-პირებ“, — განაცხადა ბალაფშმა. როგორ განაჩენს გამოიტანს სეპარატისტთა უმაღლესი სასამართლო, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ სასამართ-ლოს თავმჯდომარეს კრემლში საიდუმლო ვოიაჟი ჰქონდა.

სარღალი გაათავისუფლან

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონის სარღალი მიხეილ ქებაძე, რომელიც ახლახან იარაღის უკანონოდ შეწახვისა და შეძენის ბრალდებით დააკავეს, მტკიცებულებების არარსებობის გამო გათავისუფლებულია. სარღალი თავს უდანაშაულოდ და გაუგებრობის მსხვერპლად მიიჩნევს.

როგორც საგამოძიებო დეპარტამენტი აცხადებდა, საქმე სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორ-მაციის განხრავ და მიზანმიმართულ გაყონვას ეხებოდა. ვაქე-საბურთალოს რაიონულმა სასა-მართლომ ქებაძეს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა, მაგრამ რაკი გამოძიება მიმ-დინარეობდა, სასამართლოზე ქებაძისთვის სამშობლოს ღალატის ბრალდება არ წაუყენებიათ.

უშიშროების მინისტრის მოადგილის, ბათუ ქუთელიას თქმით, მიხეილ ქებაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია, რადგან გამოძიების ხელთ არსებული მასალა არ იძლეოდა ეჭვის დადასტურების საშუალებას. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა ისიც აღიარეს, რომ სარღალს იარაღი კანონიერად ჰქონდა გაფორმებული(?!).

ლიახვის სეოგაში ისევ ისვრიან

დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში სროლა არ წყდება. ცხინვალიდან თამარაშენის მიმა-რთულებით გახსნილმა ცეცხლმა საცხოვრებელი სახლები დაიზიანა. მოსახლეობა აღშფოთებულია და უკმაყოფილებას არ მალავს არა მარტო სამშვიდობო ძალების, არამედ გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კარგად ხედავენ რაც ხდება რეგიონში და რატომღაც დუმან. სიტუაცია გართულდა კოკოითის გარემოცვაშიც — ჯერ ცხინვალში იწყება სროლა, შემდეგ კი ის თამარაშენის მიმართულებით ინაცვლებს. „კოკოითმა ყაჩაღებს, ლოთებსა და ბანდიტებს იარაღი დაურიგა და მათი კონტროლი უჭირს“, — ამბობს ლიახვის ხეობის მაჟორი-ტარი დეპუტატი გურამ ვახტანგიშვილი. გორის რაიონის დეპუტატის, თეო ტლაშაძის თქმით კი — შეიარაღებული ფორმირებები თუ რუსეთიდან ჩამოსული პირები, რომლებიც ასევე შეიარ-აღებული არიან, არავის ემორჩილებიან და სწორედ ისინი ისვრიან ქართული სოფლებისკენ.

მინისტრის პოკიში კარიოზი

სათობონერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრი თანამდებობაზე ახალდანიშნული იყო, როდე-საც გვამცნო, — კუროზოულ, აზაროდინარულ ვითარებაში ხშირად ვვარდებიო. როგორც ჩანს, გილაურის კურორტები ისევ გრძელდება — რამდენიმე სწრაფ მიწისტიმ ტენიკურ უნივერსიტეტში მომავალ კოლეგებს სტუმრობდა — რა თქმა უნდა, ენერგეტიკასა და თავის „საგმირო საქმეებზე“ საუბრობდა... ის იყო, გილაური ლაპარაკის ეშში შევიდა — ქართული ენერგეტიკის უკუსვლას შევაჩერებო, რომ დარბაზში შეუქი ჩაქრა და გილაურის დანაქადებიც გაცამტვერდა. კოლეგიალობის მიუხედავად, მომავალმა ენერგეტიკოსებმა სიცოცხ-სარხარი მაისც ვერ შეიკავეს. მინისტრი კი უხერხული ღიმილით ცდილობდა სიტუაციიდან გამოძრომას. იქნებ დროა, მინისტრებმა გაისხნონ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს... თუმცა მავანთ გილაურის კუროზს ახსნაც მოუძებნეს — მინისტრს ვილაც ანცი სტუდენტი გაესუშრა და დარბაზის განათება დერეფნიდან გამორთო, თორემ ენერგეტიკის სამინისტროში იმდენი კი იციან, იმ ობიექტს, რომელსაც მინისტრი სტუმრობს, დენი არ გაუთიშონო(?!).

თარგამაქვე გარაშიქა ღაილეო

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში სკანდალური მასალები მოიძიეს, რომლებიც თავ-დაცვის სამინისტროში არსებულ კანონდარღვევებს ეხება. გივი თარგამაძის თქმით, მასალების გამოქვეყნების შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს სულ ცოტა ოთხი მაღალჩინოსანი განსასჯე-ლის სკამზე აღმოჩნდება. მათგან ერთ-ერთი შესყიდვების სამმართველოს ყოფილი უფროსი ღონიავილია. ცნობილია კონკრეტულ კანონდარღვევებში მონაწილე სხვა პირთა გვარებიც. საქმე ეხება სამინისტროს მიერ მიმდინარე წელს განხორციელებულ შესყიდვებს. „ჩვენ აღმოვაჩინეთ ისეთი პრეცედენტები, რომლებშიც ჩინასახშივე უნდა ჩავახშოთ. გარწწუნებთ, რომ დაუნდობელი ვიქნებით და არავრთი ადამიანი აღმოჩნდება საპატიმროში“, — ამბობს გივი თარგამაძე, რომელ-იც ამჯერად თავდაცვის მინისტრის, გიორგი ბარამიძის პასუხისმგებლობის საკითხის დასამას არ აპირებს, ალბათ იმიტომ, რომ ძველი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროში ახალი კაცია.

ქართული პეიგრანგეპი არ სჭირდებათ

ისრაელში საზღვრის გადაკვეთის შემდეგ საქართველოს თექვსმეტი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც არალეგალურად აპირებდნენ ქვეყანაში შესვლას. დაკავებული არიან იმ დაჯგუფე-ბის წევრები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეები ისრაელის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჰყავდათ. დაპატიმრებულია, ასევე, სამი ებრაელი ტაქსის მძღოლო, რომელთაც უკანონო ემიგრანტები საზღვრიდან ქალაქში უნდა მიეყვანათ. როგორც დადგინდა, ე. წ. დასაქმების სააგენტოს თანამშრომლები საქართველოს მოქალაქეებს 4-4 ათას დოლარს სძალავდნენ და ისრაელში მანამაზღაურებდა სამუშაოს ჰპირდებოდნენ.

პეიღიანისგულიანი ქაქი

როდესაც ვინმე ზედმეტად თამამ გადანყვეტილებას იღებს, ხშირად იტყვიან ხოლმე, ამ კაცს „ლიოტიჩის“ გული აქვსო. სწორედ ასეთი გული აღმოაჩნდა ხელმრუდ თელაველ ვალერი ბოჭორიშვილს. 29 წლის ქურდმა თვით საპატრულო მანქანის გაძარცვა მოინდომა(!). მას საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მაშინ წაადგნენ თავს, როდესაც „ფოლკსვაგენ-პასატის“ გვერდითა სარკეს ხსნიდა.

პეულაქის ოჯახზე „ნაოლი“ პისხსე?!

იმერეთის ექსგუბერნატორისა და ირაკლი ოქრუაშვილის მეორე მოადგილის, დავით მუმლაძის ოჯახს შეიარაღებული პირები დაესხნენ. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ფანჯრის გისოსები გადასწია და ისე შეაღწია ოთახში, სადაც მუმლაძის შვილსა და სიღერს ეძინათ. სმაურზე გაღვიძებულ მუმლაძის ოჯახის წევრებს ბოროტმოქმედმა ბინის კარის გაღება აიძულა, სიადნანც მეორე თავდამსხმელი შემოვიდა. მუმლაძეს (რომელსაც „გუბერნატორო-ბით“ მიმართავდნენ) თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მის ცოლისმასა კი, რომელიც ურჩობდა და წინააღმდეგობას განევაც სცადა, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. ყველაზე ყოჩაღად მინისტრის მოადგილის ფხმძიმე მეუღლე მოიქცა, რომელიც არ დაიბნა და სიგნალიზაციის ჩართვა მოასწრო. არავინ იცის, რა დატრიალდებოდა მუმლაძის ოჯახში, პოლიცია დროულად რომ არ მისულიყო. თავდამსხმელებმა გაქცევაში უშველეს თავს და ხელს რამდენიმე ოქროს ნივთიც გააყოლეს. გამოძიების ვერსიით, თავდასხმა განაწყენებული ადამი-ანის შეკვეთილია, რომელმაც ვერ გაითვალისწინა, რომ ბინაში სიგნალიზაცია იქნებოდა.

ქართულზე მოკრივეა გაიშარჯვა

ამერიკაში მცხოვრები 31 წლის ქართველი მოკრივე რამაზ ფალიანი პროფესიულ რინგზე ორთაბრძოლაში ამერიკელ შავკანიან მოკრივეს, მარტინ რობინსს შეერკინა, რომელსაც მანამდე გამართული 44 შეხვედრიდან 15 ნოკაუტით ჰქონდა მოგებული.

ქართველი და ამერიკელი მოკრივეების ბრძოლა 8 რაუნდს გაგრძელდა, საბოლოოდ კი მსაჯებმა გამარჯვებულად რამაზ ფალიანი აღიარეს. როგორც ამბობენ, ფალიანს ყურად უღია პრეზიდენტის მონოდება — ქართველები სამშობლოში დაბრუნდითო. ის დაბრუნებას და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის არჩენებში მონაწილეობას აპირებს, სადაც ამჯერად გიორგი კანდელაკთან მოუწევს შერკინება.

აუჟაა „საქაერონავიგაზიონ“ წინააღდეგ

საქართველოს აერონავიგაციაში სკანდალი მოხდა — „საქაერონავიგაციასა“ და რუსულ კომპანია „ნიტას“ შორის დადებული 3 მლნ დოლარად შეფასებული ხელშეკრულება დივერსიით დასრულდა“, — ამბობს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელი გიორგი კარბელაშვილი. საპაერო ნავიგაციისა და კომპანია „ნიტას“ წარმომადგენლებმა ერთობლივად შემოიშების შემდეგ საქართველო-ში ჩამოსულ ტვირთში 290 ათას დოლარად ღირებული აპარატურა ვერ აღმოაჩინეს. გაირკვა ისიც, რომ დისპეტჩერებისთვის განკუთვნილი მონიტორების ნაცვლად კომპანიონებს ტელევი-ზორები გადმოუგზავნიათ, რომელთა ფასი 20-დან 60%-მდე იყო გაზრდილი. კარბელაშვილი მომხდარში თავის წინამორბედს, ალექსანდრე სილაგაძეს ადანაშაულებს.

რესა ჯარისკაცება იქარღან

ხელვაჩაურის რაიონში ქურდობის ფაქტზე რუსი ჯარისკაცები დააკავეს. რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის რიგითებმა ამირან მიქტაძის საცხოვრებელი სახლიდან კომპიუტერი და 2 კერამიკული ვაზა მოიპარეს. ნასვამი ჯარისკაცები საპატრულო პოლიციამ ნადავლით ხელში დააკავა. ჯარისკაცები აჭარის შს სამინისტროს იზოლატორში იმყოფებიან, რუსეთის ბაზის ხელმძღვანელობა კი მომხდარის გამო საეჭვოდ დუმს.

„გაქმეული“ გაგარგეული

იტალიის რკინიგზაზე უჩვეულო შემთხვევა მოხდა — მას შემდეგ, რაც უბედური შემთხვევის გამო მემანქანე ლოკომოტივიდან თავდაყირა გად-მოშვეს, „მხედრის“ გარეშე დარჩენილმა ელმავალმა აიწყვიტა და საათში 100 კმ სიჩქარით გაიჭრა. „უპატრონო“ ლოკომოტივი 3 საათი მიქროდა ლიანდაგებზე, რკინიგზელები მას „მწვანე გზას“ აძლევდნენ და თავისუფალ ლიანდაგებზე უშვებდნენ, ბოლოს კი სან-ლორენოს პროვინციაში მოიხელეთეს, სადაც „მოტყუებრის“ ჩიხში შევიყვანეს და გააჩერეს. სახედნიროდ, ლოკომოტივის უჩვეულო გასეირნება უმსხვერპლად დასრულდა და არც მემანქანეს მოსტეხია კისერი.



უნოეთი

ბასულ კვირას ჯანდარის ტბის მიდამოებში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დააწმენა მეგობრობის ძალაში. მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, რევოლუციისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის პირმშო გახლავთ, ილჰამ ალიევი კი აზერბაიჯანს პრეზიდენტად მაშის ნებისა და ბაქოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად მოველინა. მიუხედავად ამხელა იდეოლოგიური კონტრასტისა, ახალგაზრდა პრეზიდენტები ერთმანეთთან თავს ბავშვობის მეგობრებივით გრძნობენ. თუმცა დიდ პოლიტიკასა და სახელმწიფო ინტერესებს თავისი საზომები აქვს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება პირად მოსაზრებებსა და განწყობას არც ემთხვეოდეს... სანამ სააკაშვილი არ ალიევი კატერინა და შემწვარი ქათმის ბარკლებით (ალიევს ჰყვარებია ძალიან) ერთობოდნენ, სომხეთის პრეზიდენტი რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის ხელგადაც. მართალია, ჯანდარის მსგავსი სიტუბო და სიყვარული ერევანში არ დაღვრილა, მაგრამ რუსმა მაღალჩინოსანმა ჩვენთვის საგულახსოვო განცხადებები გააკეთა. დღემდე რუსეთში გადამავალი საზღვრის ლარსის პუნქტის დაკეტვა საქართველოზე მეტად სომხეთს აზარალებდა. თუმცა როგორც ერევანში გაცხადდა, კრემლი სომხეთთან დასაკავშირებლად ალტერნატიულ მარშრუტზე მუშაობს, რომელიც ასტრახანიდან დაიწყება და ირანს გაივლის. როგორც ჩანს, მოსკოვი შესაძლოა მართლაც შეეგუოს საქართველოსა და აზერბაიჯანთან „განშორებას“, თუმცა რეგიონში სომხეთის სახით საკუთარი, სრულად კონტროლირებადი პლაცდარმი მაინც ექნება (საკითხავია როდემდე).

საგარეო პოლიტიკისგან განსხვავებით, ვითარება არცთუ დალაგებულია სამხინო პოლიტიკაში. როგორც ჩანს, ჩვენი პარლამენტი საბოლოოდ ჩამოყალიბდება ხმის მიმცემ, ავტომატურ მანქანად, სადაც ნებისმიერი „შეგდებული“ კანონი უპირობლემოდ მიიღებს ლეგიტიმურ სახეს, ურჩები კი სასტიკად დაისჯებიან. საკადრო პრობლემებზე ჩვენც არაერთხელ დავგვიწყრია და სხვა მედიასაშუალებებსაც, მაგრამ გასულ კვირაში ბევრად უფრო საშიშმა ტენდენციამ — შინაპარტიულმა დაპირისპირებამ იჩინა თავი. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთს დაჭრით ემუქრებიან, ფარულ ჩანერებს უწყობენ და არც სხვა ინტრიგებს ერიდებიან. კორუფციასთან ბრძოლა კარგია, მაგრამ ის პოლიტიკურ ბრძოლაში არ უნდა გადაიზარდოს — ამის საშიშროება კი სამართლებრივად სუსტ სახელმწიფოში ყოველთვის იქნება. თუმცა, საქართველოს სასამართლო უწყებსა, დიდიან-პატარაანად, ისე აგდებით ისხენიებენ, რომ საეჭვოა, ის ოდესმე გააღვირდეს... სხვა საქმეა, ხელს გადასცემს თუ არა არეულობა და სიტუაციის ესკალაცია აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში. ის კი ფაქტია — ქართულ მედიან ბალაფშის ქართველ ცოლსა და ჩვენითვის მის შედარებით საიმედოობაზე იმდენ დაინერა და ითქვა, რომ „დაჩაგრულ“ პრეზიდენტობის კანდიდატს მაღალი რეიტინგისა და ავტორიტეტის შესანარჩუნებლად თავგამოდებული რუსეთუმეობისა და ანტიქართული განწყობის დემონსტრირება დასჭირდა...

კვირის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ტენდენციებსა და სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებზე **დავით უსუფაშვილს** ვესაუბრებით:

დააკვირდით, რა ხდება პარალამენტში, როგორ მტკივნეულად განიცდიან უმრავლესობის წევრის მიერ თუნდაც გულწრფელად გამოთქმულ კრიტიკას, ან როგორი სიმკაცრით კონტროლდება ხმის მიცემის პროცესი, რათა უმრავლესობიდან ვინმემ ხელისუფლებისთვის სასურველ კანონპროექტს ხმა მისცეს და ვინმეს „რამე არ შეეშალოს“. როდესაც პარგიაში ასეთი „წესრიგია“ დამყარებული და მისი წევრები მონურ მორჩილებას ეხვევიან, სახელმწიფო სამსახურში გადასვლის შემდეგაც იმავე მენტალიტეტით აგრძელებენ მუშაობას და მათთვის სახელმწიფო ინგერესები პარტიული ინგერესების გოლფასი ხდება. ეს კი არა მხოლოდ კომიგეტის თავმჯდომარისა და მინისტრის ურთიერთობებზე აისახება, არამედ კაბინეტის წევრების ქმედებამც...

— გასულ კვირას საკმაოდ გააქტიურდა საუბარი საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე. ლაპარაკი იყო მის გაუქმებაზე, უზენაეს სასამართლოსთან შეერთებაზე, შემდეგ კი რამდენიმე მსხველ უწყებასთან ერთად, მის სხვა ქალაქში გადატანაზე. ხომ არ შეიძლება ეს ძალაუფლების განმტკიცების მცდელობად (ან პოქით) მივიჩნიოთ, ან რამდენად არის მზად საამისოდ ქართული სახელმწიფო — სასამართლოებრივი ან თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით?

— საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებაზე ლაპარაკი კი ზედმეტია. მის უზენაეს სასამართლოსთან გაერთიანებას რაც შეეხება — ამერიკული მოდელის მიბაძვით ასეთი პროექტი მართლაც არსებობდა, თუმცა ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმაც გაუმართლებლად მიიჩნიეს. პირიქით, ვფიქრობ, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შედარებით გაფართოვდეს კიდევ, რათა მან მოსახლეობის უფრო ფართო ფენები მოიცვას. რაც შეეხება მისი და სხვა უწყებების დედაქალაქიდან გადატანას —

ეს პრაქტიკა ევროპაში დიდი ხანია მიღებულია. ამით სასამართლო სიმბოლურადაც იქნება მომზადებული პოლიტიკური ცენტრისგან. სხვა საკითხია, რამდენად ვართ მზად ეკონომიკურად საამისოდ, რომ ევროპა-ამერიკას ასეთ ფუფუნებაში გავუჯიბროთ...

— სამართლებრივად ძლიერი სახელმწიფო ლამის მარადიულ პრობლემად გვექცეს. სადავო არ უნდა იყოს, რომ დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში უპირველესად კანონის უზენაესობა უნდა იყოს აღიარებული. რამდენად შეუწყობს ხელს

„დღეს, უკრალოდ ქუშპარიზების მონოპოლიზაცია ხდება“

საქართველოსთვის ამერბაიჯანთან მეგობრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს...

ამ პროცესის განვითარებას ის, რბილად რომ ვთქვათ, ადგილობრივი დამოკიდებულება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ მცდელობა — სხვათა შორის, არა მხოლოდ უბრალო მოქალაქეების, არამედ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდანაც...

— ის, რაც დღეს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით ხდება, კიდევ ერთი დადასტურება გახლავთ ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემისა — ძალიან ხშირად ჩვენს ხელისუფლებაში მყოფ პირებს თეორიულადაც კი არ ესმით, რას ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობა და რითი განსხვავდება მის მიერ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა მათზე დაქვემდებარებულ სამინისტროში საკითხის გადაჭრისგან. როგორც ჩანს, რევოლუციური განწყობა ბევრისთვის საკმაოდ მცდეუნიელი აღმოჩნდა, რადგან ქართულ პოლიტიკაში — უფრო სწორად კი მმართველ პარტიაში, უფრო და უფრო იკიდებს ფეხს აზრი, რომ მთავარია საჭიროება და არა ობიექტური რეალობა, რომ მიზნის მისაღწევად ყველაფერი შეიძლება. ასეთ ვითარებაში არც კანონი ახსოვს ვინმეს და არც მისი უზენაესობა — უბრალოდ, ქვემარტების მონოპოლიზაცია ხდება. ეს არა მხოლოდ

ძლება სასამართლო მთლიანად, ერთ „ქვაბში მოიხაროს“. კი, ბატონო, მივუთითოთ და ვილაპარაკოთ იმ მოსამართლეებზე, რომლებიც რაიმე დანაშაულს ჩაიდნენ. დღევანდელი დამოკიდებულებით კი ნდობისა და პატივისცემის ღირს სასამართლო სისტემას ნამდვილად ვერ მივიღებთ.

— ქვემარტების მონოპოლიზაცია მხოლოდ სასამართლოსთან მიმართებით არ ხდება — მოვლენები ხშირად დამაფიქრებლად ვითარდება პარლამენტშიც, რომელიც უკვე ხმის მიმცემ მანქანად იქცა... საინტერესოა, რომ



ყველაფერი ეს შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს — კორუფციასთან ბრძოლას პოლიტიკური მიზნებით იყენებენ თუ პირაქით, მისასაღებელია, როცა ბრძოლაში არც თანაპარტიელებს ინდობენ? — ჩვენი პრობლემა დღესაც იგივეა, რაც წლების განმავლობაში იყო — ერთპარტიუ-

ის, რაც დღეს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით ხდება, კიდევ ერთი დადასტურება გახლავთ ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემისა — ძალიან ხშირად ჩვენს ხელისუფლებაში მყოფ პირებს თეორიულადაც კი არ ესმით, რას ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობა და რითი განსხვავდება მის მიერ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა მათზე დაქვემდებარებულ სამინისტროში საკითხის გადაჭრისგან. როგორც ჩანს, რევოლუციური განწყობა ბევრისთვის საკმაოდ მცდეუნიელი აღმოჩნდა, რადგან ქართულ პოლიტიკაში — უფრო სწორად კი მმართველ პარტიაში, უფრო და უფრო იკიდებს ფეხს აზრი, რომ მთავარია საჭიროება და არა ობიექტური რეალობა, რომ მიზნის მისაღწევად ყველაფერი შეიძლება.

ლობა. მეტსაც გეტყვით — ერთპარტიულობას ვინ ჩივის, საქმე იქით მიდის, რომ მალე სრულიად უპარტიო სახელმწიფო გვექნება, სადაც ხელისუფლება რამდენიმე კაცის ხელში იქნება მოქცეული, რადგან ცივილიზებულ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოსულ პირებს მთავარ კრიტიკოსად სწორედ მმართველი პარტია უდგება ხოლმე. ჩვენთან კი არათუ კრიტიკა, თუ ასე გაგრძელდა, „სახელმწიფო ინტერესებიდან“ გამომდინარე, განსხვავებული აზრის გამოთქმაც კი მიუღებელ ტონად ჩაითვლება. დააკვირდით, რა ხდება პარლამენტში, როგორ მტკივნეულად განიცდიან უმრავლესობის წევრის მიერ თუნდაც გულწრფელად გამოთქმულ კრიტიკას, ან როგორი სიმკაცრით კონტროლდება ხმის მიცემის პროცესი, რათა უმრავლესობიდან ვინმემ ხელისუფლებისთვის სასურველ კანონპროექტს ხმა მისცეს და ვინმეს „რამე არ შეეშალოს“. როდესაც პარტიაში ასეთი „წესრიგია“ დამყარებული და მისი წევრები მონურ მორჩილებას ეხვევიან, სახელმწიფო სამსახურში გადასვლის შემდეგაც იმავე მენტალიტეტით აგრძელებენ მუშაობას და მათთვის სახელმწიფო ინტერესები პარტიული ინტერესების გოლფასი ხდება. ეს კი არა მხოლოდ კომიტეტის თავმჯდომარისა და მინისტრის ურთიერთობებზე აისახება, არამედ მინისტრთა კაბინეტის წევრების ქმედებაზეც...

— ძალიან ხშირად ვილაპარაკობთ აფხაზეთის სტატუსზე, სხვადასხვა თეორიაზე, რომლის მეშვეობითაც შეიძლება აფხაზეთი თანამშრომლობა-თანაცხოვრებაზე დაგვიყვლინოთ. მაგრამ მთავარი ალბათ, მაინც ჩვენთან არსებული ვითარება და განწყობაა, რომელიც აფხაზეთისთვის მისაღები და სასურველი უნდა აღმოჩნდეს. აფხაზეთის არჩენებთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში ატეხილმა აგიოტაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები სოხუმში ერთმანეთს რუსეთთან მეგობრობასა და ანტიქართული განწყობის გამოხატულებებში ეხებიან. ამავდროულად კი საქართველოს ხელისუფლება თავისი პოლიტიკის წარმატებაზე ალაპარაკდა. რა

წარმატებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი აფხაზეთთან დაკავშირებით?

— შესაძლებელია, სპეცსამსახურები ან ვინმე პირადი ინიციატივით მართლაც ცდილობდნენ რამის გაკეთებას, მაგრამ არა მგონია, აფხაზეთში არჩენების შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან საქართველოს ხელისუფლებას რაიმე არსებითი კავშირი ჰქონდეს და დიდი წვლილი მიუძღოდეს. იმან, რაც დღეს სოხუმში ხდება, მე სხვა რამეზე დამაფიქრა და იმავეს საზოგადოებასაც ვურჩევდი — ხომ არ იმსახურებს აფხაზი ხალხი უფრო მეტ პატივისცემას იმ მენტალიტეტისა და დამოკიდებულების გამო, რაც მან არჩენების დროს გამოამჟღავნა და რაც შეიქნა მთავარი მიზეზი მოვლენათა შემდგომი განვითარებისა. ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს — აფხაზეთის უმრავლესობა უკვე აღარ ფიქრობს რუსეთის კალთის ქვეშ ამოკარებაზე. ისინი საკუთარ ღირსებაზე, დამოუკიდებლობაზე უფრო ღრმად დაფიქრდნენ და მიხედნენ კიდევ, რომ რუსეთთან მეგობრობა მათ კარგს არაფერს უქადის. ალბათ, ეს უნდა იყოს პირველი ეტაპი იმ დიდი და რთული ურთიერთობის მოწესრიგებისა, რაც საბოლოოდ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას შეუწყობს ხელს. ადამიანსაც და ერმაც ჯერ საკუთარ თავს უნდა სცენ პატივი, სხვისი პატივისცემა რომ დაიწყონ. როგორც გითხარი, ღირსებაზე ლაპარაკი აფხაზეთში უკვე დაიწყო. მოვლენათა შემდგომი განვითარება კი მნიშვნელოვანწილად ჩვენს პოზიციასა და სახელმწიფო ნებაზეც იქნება დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, ისევე როგორც ეს სამაზბლოს შემთხვევაში იყო, დღეს არ იგრძნობა, რომ ჩვენს ხელისუფლებას რაიმე სერიოზული პოლიტიკა თუ სტრატეგია ჰქონდეს შემუშავებული და მას გეგმავთა იერად მიჰყვებიან. პირიქით, მოვლენათა სწორტანური განვითარება უფრო იგრძნობა. ყოველივე ამის ფონზე კი კეთდება საგანგებო განცხადებები, რომ „ყველაფერი ვიცოდით, სიტუაციას ვაკონტროლებდით“ და ა. შ. პოლიტიკა კი, მოგეხსენებათ, პოსტფაქტუმ განცხადებებით არ კეთდება. ამით დღეს და ხვალ საზოგადოებაზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინო, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ დღეს და ხვალ, რადგან რეალური პრობლემა თავს რეალურად ადრე თუ გვიან მაინც იჩენს და ისიც აუცილებლად გამოჩნდება, მის გადასაჭრელად ვის რა ჰქონდა გაკეთებული...

— დასავლურმა პრესამ სააკაშვილისა და ალიევის შეხვედრას საკ-

მაოდ ორიგინალური კომენტარი გაუკეთა — ერთმანეთს დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის პირში პრეზიდენტები უმტკიცებდნენ მეგობრობას. როგორც ჩანს, დიდ პოლიტიკას სხვა სტანდარტები აქვს...

— მართლაც, დიდ პოლიტიკას სხვა სტანდარტები აქვს — ერთია პირადი მოსაზრებები და მეორე — სახელმწიფო ინტერესები. ასე რომ, ჯანდარის ტბაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების ურთიერთსიყვარულის გამომჟღავნებაში ცუდი არაფერი უნდა იყოს. არათუ საქართველო, ისეთი დიდი ქვეყანაც კი, როგორიც ამერიკაა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად კომპრომისზე მიდის და იმას „ესუტება“, ვისაც არ უნდა ესუტებოდეს. თუმცა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ამერიკელი დიპლომატიის კვალად, ამერიკელი პოლიტიკოსები ამა თუ იმ ქვეყანაში მოვლენათა სასურველ, დემოკრატიულ განვითარებაზეც აკეთებენ ხოლმე მინიმუმებს. კარგად ვიცი აზერბაიჯანის ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის გულისწყრომა იმასთან დაკავშირებით, რომ „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი აღიევთან ისე იქცევა, თითქოს მისი ბავშვობის მეგობარი იყოს. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — საქართველოსთვის აზერბაიჯანთან მეგობრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეს უპირველესად პრეზიდენტების მეგობრობაზე აისახება. ეს ფაქტორი მით უმეტეს მნიშვნელოვანია, თუ რუსეთ-სომხეთის მეგობრობას გავითვალისწინებთ. ვფიქრობ, ამ გარემოების გამო, სომხეთისთვის ჩვენი პრეზიდენტის ალიევიან გადამეტებული მეგობრობა დიდად საწყენი არ უნდა იყოს — მით უფრო, რომ თბილისს ერევანთან მეგობრობა და პარტნიორობაც პრაქტიკულად დაუფიქსირებია. გლობალურ პოლიტიკაში თეთრი და შავი ფერები არასოდეს არის მკვეთრი კონტრუბით გამოყოფილი — აქ ყველაფერს ინტერესები წყვეტს. ამ ინტერესების შესაბამისა ამა თუ იმ ქვეყანასთან ურთიერთობაც.

დაჩი გრძელიშვილი

იუბილე „იმნებ არცაა საჭირო, ყველას ის სიმი შეერხეს, რაც ქართველს...“



გურამ დოჩანაშვილი 65 წლისაა

ისევ იუბილარს დავესესხებო, რომელიც ასე მიმართავდა სცენიდან თავის მკითხველს: „...არ არსებობს რაიმე ახალი შექმნას მხატვარმა, კომპოზიტორმა, მწერალმა. — ყველაფერი დანერგულია, შექმნილია, დასაბუთებულია. ხდება მისი გადართვა, გადამღერება, გადახატვა... ეს ყველაფერი დანერგულია უდიდეს ნიგნში, რომელსაც „ბიბლია“ ჰქვია... იქიდან ყველა თავის ფრაგმენტს ირჩევს...“

...მთავარია, როგორ გაგიმართლებს. როგორი მკითხველი გეყოლება: ზოგი წიგნს ბოლო გვერდიდან იწყებს, ზოგი ძილის წინ, რომ კარგად დაეძინოს... ზოგიც ჰამაკში ნებივრობისას კითხულობს.

...როგორც პირველის გადართვას, მაღლებ მარლის მოყრას და კალმის დაჭერას სჭირდება სამი თითი, ასე სასოებით უნდა გადაიშალოს წიგნის ფურცლები...

...ჩვენ ყველანი აღამის მოდგმისა ვართ... ამოვიღოთ სასაუბრო ფრაზებიდან „სხვისი შვილია“, შვილი შვილია. ჩვენ ყველა ამ პლანეტის შვილები ვართ...

გურამ დოჩანაშვილი არც ილუზიად და არც გაზვიადებულ ამბიციად მიიჩნევს ქართული გენის გამორჩეულობას... ამის დასტურად თავადვე მოჰყავს უამრავი არგუმენტი: — სხვა ერს არ შეეძლო ისეთი უნიკალური ლექსი შეექმნა, რომლის ბადალი მსოფლიო ფოლკლორში არ მოიძებნება. ეს არის „ბაღადა ვეფხისა და მოყმისა“. და მწერალი არაჩვეულებრივი სიფაქიზით წარმოთქვამს მთლიან ბაღადას: „იარებოდა დედაი, ტირილით თვალ-ცრემლიანი... იქნება, ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა... წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა“... აქვე დასძენს, რომ ამ შედეგის სათაურში „შეცდომაა“ — ლექსს უნდა ერქვას „ბაღადა დედაზო“... და იმასაც ამატებს, — არაფერია შემთხვევითი... ყველაფერი ღვთის ხელი ურევია. მოდი, თარგმნე ვაჟა-ფშაველას! ან თუნდაც გოგლა ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“. იქნებ არცაა საჭირო, ყველას ის სიმი შეერხეს, რაც ქართველს...

დოდო იორდანიშვილი

რულურეთში, ჩაისუბნის ქუჩაზე, ბარაკული ტიპის დასახლებაში რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს. ქუჩა გუმბათოვანის შენობით სრულდება, რომელზეც ასევე უამრავი პატარ-პატარა სახლია მიშენებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის უცნაური მოკრძალება გაუჩინოს მნახველს... ჩაისუბნელები ამბობენ, რომ ეს ნაგებობა ყოფილი კვირაცხოვლის ტაძარია. ამაში ეჭვს ისედაც ვერ შეიტან — ქედი, რომელიც მთელ თბილისს გადაჰყურებს, მართლაც შესაფერი ადგილია ტაძრის ასაშენებლად. ჩაისუბნელ ხანდაზმულებს დღესაც ასოვით აქ რომ წირვა-ლოცვა აღევლინებოდა. ზოგიერთი თავადაც ყოფილა მისი მონაწილე. შემდეგ კი როცა ტაძარი საცხოვრებლად აქციეს, ხალხი კვირაცხოვლობას ახლომდებარე ადგილებში შეიმობდა. დღესასწაული გათენებ-

გურამ უთრუგაშვილი: — მასხოვს, კვირაცხოვლობას ხალხი რომ ამოდოდა სალოცავად. ერთხელ ისეთი მოხუცი ქალი მოვიდა, გავოცდი, ამხელა აღმართი როგორ ამოიარა-მეთქი. აქ შესახლებული ხალხი რომ წახა, ლამის გაგიჟდა, ეს რა ჩაუდენიათო. ისე, იმასაც ამბობენ, რომ ეკლესიაში შესახლებული ხალხიდან ვერაფერი გაიხარაო. გვიჭირს გაძლება. ჩვენი ბრაღი ნამდვილად არ არის, აქ რომ ვცხოვრობთ. გეფიცებით, საშუალება რომ მქონდეს, აქედან წავიდოდი. ხანდახან ისეთ სიზმრებს ვნახულობ, რომ მიფიქრია, ალბათ გავგიჟდები-მეთქი. რამდენჯერ ღამით გამიგონია, როგორ მეძახდა ვიღაც უცნაური ხმით. დედაჩემმა მითხრა, მეც მესმის ეგ ხმა, ნუ გეშინია, ყურადღება არ მიაქციო, თავისით გაგშორდებაო... ჩემს ბავშვობაში რამდენჯერმე მოვ-

ეკლესიას გუმბათი ახალს და წმინდანებით მოსაბულ ჭერს „შეპკა“ ააქრეს!


ისას სრულდებოდა. სამწუხაროდ, დღეს ვერც სახელმწიფო და ვერც ეკლესია ვერ ახერხებს, აქ შესახლებული ხალხი საცხოვრებლებით დაკმაყოფილოს და ტაძარს თავისი მისია დაუბრუნდეს. ღვთის ნებით, იქნებ ქართული ქველმოქმედები (რომელთაც არაერთი ეკლესია ააშენეს საქართველოში) ძველი ქრისტიანული ტაძრის აღდგენითაც დაინტერესდნენ... ჯერჯერობით კი აქაური ბავშვები ძველი ტაძრის ეზოში წინაპართა საფლავის ქვებზე ტყუნაობენ, რომლის წარწერებშიც ნელ-ნელა იშლება.

გუგული მღვდელაძე: — პატარა ვიყავი და ბუნდოვნად მახსოვს, უცნობა კაცებმა ეკლესიას გუმბათი რომ ახადეს და წმინდანებით მოსაბულ ჭერს „შეტკა“ (გადაჯვარედინებული თხელი ფიცრებისგან გაკეთებული ჭერი) ააქრეს. კიდევ კარგი, წმინდანთა გამოსახულებები არ ჩამოუფეცვიათ გუმბათის თალიდან. ალბათ, ეს „შეტკა“ რომ ჩამოხსნან, ძველი ფრესკები ისევ იქ იქნება... შემდეგ ეკლესია პატარ-პატარა ოთახებად დაყვეს და მაშინდელი ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშები შეასახლეს. ვეღარც სანთლებს ვანთებდით და ვეღარც გალობას ვისმენდით. სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსოვს, ტაძრის ფრესკების ულამაზესი ფერები: ლურჯი, ცისფერი, მდელოსფერი... ბავშვებს ძალიან გვიყვარდა ტაძრის მღვდელი, თუ არ ცდებოდა, გურგენიძე იყო გვარად. ის და დიაკვანიც ამ ტაძრის ეზოში იყვნენ დაკრძალულები...

დიმიტრი გურსიყვი: — აქ საცხოვრებლად მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შემოგვიყვანეს. კედლებზე ნახატები დამხვდა! (გადავფიქვე. როცა სარდაფს ვალრმავედით, საფლავის ქვას წავანყდი. ქვა ამოვიღე, მიცვალებულის ძვლები კი იქვე დავტოვე, ხელი არ მისლია. შემეცოდა, — მშვიდად იძინოს-მეთქი. ქვა კი ეზოში გამოვიტანე, სახლის წინ.

— იცოდით, კედლებიდან რასაც ფხვდით? — აბა, მე რა ვიცოდი, ნახევრად უკვე წამოლიო იყო, აქ ჩემამდეც ცხოვრობდა ხალხი...

შალვა უთრუგაშვილი: — ერთხელ მთხოვა მეზობელმა, სარდაფის გათხრაში დამეხმარეო. მინაში წითელი აგურის თალი ვიპოვეთ. ფრთხილად ამოვიღეთ და რაც ვნახეთ, შევძრწუნდით — ახალგაზრდა ქალი ცოცხალივით იწვა, შავი კაბა ეცვა და გრძელი ნაწნავები ჰქონდა. პერზე ჩვენ თვალწინ ნაცრად იქცა. ამ ტერიტორიაზე თონეც ვიპოვეთ, ალბათ ტაძრის მსახური აცხოვდნენ პურს... თონეში ცხენის ქანდაკება ეგდო. ისტორიკოსებმა წაიღეს, — ძალიან ძველიაო... ყოველ კვირაცხოვლობას აქ ბევრი ხალხი ამოდოდა სალოცავად. ეკლესიაში რაღას შევიდოდნენ, ამიტომ სანთლებს შენობის კედლებზე ანთებდნენ. შესანიერ ცხენის შენობას სამჯერ შემოატარებდნენ და დაკლავდნენ, ჩვენც დაგვაპატივდნენ, დანარჩენ სორცს კი გაჭირვებულ მოსახლეობას ურიგებდნენ...



კვირაცხოვლობის ტაძარში დასვენებული საფლავის ქვა დღეს ეზოში დევს

იღნენ აქაურობის აღსაწერად. ვფიქრობდით, რომ აქედან გაგვასახლებდნენ, ჩვენც მოგვცემდნენ საცხოვრებელს და ტაძარსაც აღადგენდნენ, მაგრამ ახლა ეს იმედი აღარ გვაქვს.

დალი ალაიძე: — იმ საცალფეო გზის ნაცვლად, ახლა რომ ყოფილ ტაძარმდე ამოდის, ადრე უბრალოდ ფერდობი იყო. ფერდობის ძირში, მღვდლებს სპეციალური აუზი ჰქონდათ, რომელიც კლდის წყლით ივსებოდა. აქ ეკლესიის მსახურები ცხენებს წყალს ასმევდნენ ხოლმე. შემდეგ გზა გაიყვანეს, უამრავი ქვიშა დაყარეს და აუზიც გაუქმდა. წყალი კი ამ უბადრუკ ბარაკებს შეუდგა. მთლიანად სველია აქაურობა. ჩემს სახლში ადრე მღვდლები ცხოვრობდნენ. ეს ეტყობა კიდევ სენაკის მსგავს ოთახებს... უკვე რამდენი წელიწადია ვხედავ, რომ არც ეკლესიაში მცხოვრები ხალხია ზედწიერი და არც მღვდლების ყოფილ სენაკებში ჩასახლებულები...

P.S. კვირაცხოვლობა აღდგომის ბრწყინვალე შედეგის ბოლო, მეშვიდე დღეა — კვირა. მას თომას კვირასაც უწოდებენ. ეს ის დღეა, როცა ურწმუნო თომამ ქრისტეს აღდგომა ირწმუნა. თბილისში კვირაცხოვლის სახელობის მხოლოდ ორი ტაძარი იყო. ერთი ავღვეის ქუჩაზე, მეორე, სავარაუდოდ აქ — ჩაისუბნის ქუჩაზე. სხვათა შორის, ეს ტაძარი ვახუშტი ბატონიშვილს 1735 წლის „თბილისის ცნობარში“ №63-ით უნდა ჰქონდეს მოხსენიებული...

ეთერ ერაძე

ოქუნიოქუნიო პალიტრა

- ვაჟა გიგაშვილი: ვმოულობ ფულს, ვყიდულობ დროს და ვწერ
- ბაალ სამადაშვილი პლენხანოვერი ამბავი
- ანა...
- გივი ალხაზიშვილი ბალახისა და წვიმის ნაწერი
- ბესო ხვედელიძე: ფოთოლი, რომელიც ვერ გრძნობს ფესვს...
- პაკო სვიმონიშვილი: გაოცების დრო რა დროა?
- მილორად ჰავიჩი რომანი-ბესტსელერი „ქარის შიგნითა მხარე“
- ვლადიმირ სოროკინი ლიტერატურული მოთხრობა „მანქანა“

№1, ოქტომბერი, 2004 **ფასი 1.5 ლარი**

გაეოვიდა ახალი ჟურნალი

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანუკუთ ყოველკვირულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღწახეით რეაქტივებს ქვეთარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ წმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარი** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი**, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარი**. გამარჯვებულ ჟურნალისტთა კონსტანტის მფლობელი ნომერში შეიტყობთ. (რეაქტივების ქვეთარი ის. 35-ე გვერდზე).

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

- მარინა ბაბუნაშვილი** — „ისე არ მინდა მოგვკდე, რომ ერთხელ მაინც არ მნახოს ვოვამ“ — 80 ხმა
- ნინო ბურჭულაძე** — „საზარელი დანაშაულის ქრონოლოგია“ — 41
- ვაჟა გიგაშვილი** — „დამფრთხალი პოლიციელის ხილვა ორმაგად შემზარავია“ — 29
- ლელა ჯიფაშვილი** — „ქაქუცას გამო მამა კინაღამ დახვრიტეს“ — 26
- ზვიად ჩავეჭაძე** — „საქსტანდარტს“ თვალი ვერა და ვერ აუხილა...“ — 26
- ლელა ჯიფაშვილი** — „ის ლამაზი ოცნებები წყალში ჩაიშალა...“ — 21
- მარინა ბაბუნაშვილი** — „დედის წერილები“ — 18

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **მარინა ბაბუნაშვილს**, მეორე — 20 ლარი — **ნინო ბურჭულაძეს**, ხოლო მესამე — 15 ლარი — **ვაჟა გიგაშვილს**.

მკითხველის პრემიის მფლობელები 321-მა რესპონდენტმა გამოავლინა

ქართულ მინისტრებს საქართველოს კონსტიტუცია დააპირეს?

სასამართლოს კომპეტენციაში შეჭრის უფლება პრეზიდენტსაც არა აქვს!..

რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ეს ამბავი ფაქტად რჩება და ფანტაზიის ნაყოფი სულაც არ არის. მწარე რეალობა კი ის გახლავთ, რომ საქართველოს, უახლოეს მომავალში, ხაზინიდან მილიონების გადახდა მოუწევს... მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანაში კონსტიტუცია და კანონი ვერ დაუცვია. მილიონები იქით იყოს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან იმდენი სარჩელი აღძრული, რამდენიც ყველა ევროპულ სახელმწიფოს ერთად აღებულს „მეშურდებოდა“... საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს გამტყუნება, რა თქმა უნდა, არც ერთ ქართველს სიაოვნებს არ ანიჭებს, მაგრამ ერთიც არის — რა ქნას საქართველოს მოსახლეობამ მაშინ, როცა საკუთარ სახელმწიფოში სამართალს ვერ პოულობს. მწელი სათქმელია, როდის გაუჩნდა ეუთოს საქართველოს კანონებისა და მისი სასამართლოების აბუჩად აგდების სურვილი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მეტად პატივცემულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ამ საქმეს, ქართველ ჩინოვნიკებთან



ერთად, წარმატებით გართვა თავი. მოახერხა საქართველოს კონსტიტუციის, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თვით ვენის კონვენციის სრული იგნორირება. მიუხედავად ამისა, ეუთოს წინააღმდეგ ხმის ამოღება ქართველმა ჩინოვნიკებმა ვერ გაბედეს(!). სამაგიეროდ, სტრასბურგის სასამართლოში პასუხი არც მეტი, არც ნაკლები, შეურაცხყოფილმა ქართულმა სახელმწიფომ უნდა აგოს და ბიუჯეტიდან, სავარაუდოდ, სოლიდური ჯარიმაც გადაიხადოს.

საქართველოს მოქალაქე მანანა ქოქაშვილი ეუთოს „მთიანი ყარაბაღის“ თბილისის ოფისში მთარგმნელ-რეფერენტად მუშაობდა. დეკრეტულ შევსებაში მყოფი ქოქაშვილი ეუთოს თბილისური ოფისიდან უცერემონიოდ დაითხოვეს, რაც შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. ქოქაშვილმა სასამართლოში იჩივლა და პროცესი მოიგო კიდევ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ისე შევიდა ძალაში, რომ ეუთოს მისი გასაჩივრება არც უცდია. ქოქაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების ამბავი ეუთოს ვენის სათავო ოფისის ხელმძღვანელების ყურამდევ მივიდა. ვენიდან საქმის გასარკვევად ემისარიც მოავლინეს, მაგრამ, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მხოლოდ იმის სათქმელად, რომ თურმე ეუთო დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდა. არავის გახსენებია ის, რომ ვენის კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ეუთოს აგენტები არ სარგებლობენ

იმუნიტეტით. მეორეც — საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი შრომით ურთიერთობებზე არ ვრცელდება. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში ეუთოს ავტორიტეტი უფრო გაღვივებული აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყნის კონსტიტუცია, სასამართლოს უზენაესობა და თვით ვენის კონვენცია. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, ეუთოს წარმომადგენელთა სურვილისამებრ, მოულოდნელად საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის მოადგილის, შოთა დოლონაძის წერილის საფუძველზე შეჩერდა(!).

საქართველოს კონსტიტუციით, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეჩერება ან შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს პრეროგატივაა. მიუხედავად ამისა, დოლონაძემ იუსტიციის სამინისტროში წერილი აფრინა და იუსტიციის მინისტრ როლანდ გილიგაშვილს საქმის საბოლოო გარკვევამდე(?) სასამართლო გადაწყვეტილების შეჩერება სთხოვა (სასამართლოს კომპეტენციაში შეჭრის უფლება არათუ მინისტრს, თვით პრეზიდენტსაც არ აქვს. — ხ. პ.). სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ყოველგვარი წინააღმდეგობის, კანონიერი საფუძვლებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე შეწყდა(!). ამით ქოქაშ-

ეუთომ მოახერხა საქართველოს კონსტიტუციის, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თვით ვენის კონვენციის სრული იგნორირება. მიუხედავად ამისა, ეუთოს წინააღმდეგ ხმის ამოღება ქართველმა ჩინოვნიკებმა ვერ გაბედეს(!). სამაგიეროდ, სტრასბურგის სასამართლოში პასუხი არც მეტი, არც ნაკლები, შეურაცხყოფილმა ქართულმა სახელმწიფომ უნდა აგოს და ბიუჯეტიდან, სავარაუდოდ, სოლიდური ჯარიმაც გადაიხადოს.

ვილს საკითხის განხილვის ყველა გზა და ხერხი საქართველოში მოეჭრა... აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი მას უკან დაუბრუნეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას აღსრულება არ ეწერა. საკუთარი სახელმწიფოსგან „უარყოფილმა“ ქოქაშვილმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში იჩივლა. ევროპის სასამართლოს ექსპერტები მას სრულ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. სტრასბურგის სასამართლოს ამგვარი პრეცედენტი ევროპის სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით უკვე აქვს.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ევროსასამართლოში პასუხი არა ეუთომ, არამედ ჩვენმა სახელმწიფომ მხოლოდ იმიტომ უნდა აგოს, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციას (ვინც უნდა იყოს) საკუთარი კანონების, სასამართლოებისა და, საზოგადოდ, სახელმწიფოებრიობის აბუჩად აგდების უფლებას აძლევს.

P.S. ეტყობა, ქართველი მინისტრები ეუთოს ავტორიტეტის გაგვლისს ქვეშ ისე მოექცნენ, რომ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია დაავინყდათ, რაც სახელმწიფო მოხელისთვის, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მაინცდამაინც მოსაწონი საქციელი არ არის. მინისტრებს ალბათ არც სტრასბურგი გახსენებიათ ან უბრალოდ, თანამემამულის ბრძოლისუნარიანობა ვერ შეაფასეს ჯეროვნად.

ხათუნა პაიჭაძე

ქვეყნის ლიკვიდირებულია ელექტროენერგიის ამფუთქაველი ბეროლისტი!

**პოლკოვნიკ მიხეილ
ქებაძეს ოპერატიული
ინფორმაციის გაცემას
აბრალებენ, რამაც
„ელექტროენერგიის“
ლიკვიდაციის ოპერაცია
კინალამ ჩაშალა**

ისრაელის სპეცსამსახურებისა და, განსაკუთრებით, „მოსადის“ ელვისე ბურ და შედეგიან სპეცოპერაციებში არაერთხელ ჩაუგდია საგონებელში პალესტინელთა ტერორისტული ჯგუფების თავგაცემი და აღუფრთოვანებია ებრაელები. ისრაელის რომელიმე ქალაქში პალესტინელი ტერორისტი-კამიკაძის მიერ მშვიდობიანი მოქალაქეებით სავსე ავტობუსის აფეთქების გამო სულ ორსამ დღეში იბრუნდა შერს „მოსადი“ თუ „მატალი“, თანაც ებრაული სპეცსამსახურების მსახვრალი ხელი ტერორისტებს ყველგან, მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში სწვდება.



ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით ამგვარი რამ სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენთანაც მოხდა: სოფელ კირბალთან ლიკვიდირებულ იქნა ოსი ეროვნების პიროვნება, რომელმაც რამდენჯერმე განახორციელა ტერორისტული აქტი ელექტროგადამცემი ხაზების ასაფეთქებლად. სპეციალისტებს დიდი თავის მტკრება არ დასჭირვებიათ იმის დასადგენად, რომ ბოლო დროს ელექტროგადამცემი ხაზის ანძებზე განხორციელებულ ოთხსავე ტერორისტულ აქტს ერთნაირი ხელწერა ჰქონდა და გამოუცდელი „ელექტროტერორისტი“ ნელ-ნელა ხვეწდა ოსტატობას.

უსაფრთხოება დროებით გააძლიერეს — შიდა ქართლისა და მოსაზღვრე რაიონების ტერიტორიებზე გამავალი „ქართლი-2“-ის ანძებთან შინაგანი ჯარების პატარ-პატარა დანაყოფები დააყენეს. თუმცა მკითხველი უჩვეულოდ მიხვდება, რომ ყველა ანძასთან თუნდაც ერთი ჯარისკაცის დაყენება და თანაც დიდი ხნით — შეუძლებელია, რადგან ჯარი თავის პირველად

თავისავე ხელისუფლებას წაუყენებდა — თუ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა არ შეგიძლიათ, მაშინ თქვენი ადგილი სახელმწიფოს სათავეში არ არისო!

ის, რასაც ქვემოთ მოგიხსნათ, 12 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესახებ, საქმეში კარგად ჩახედული ინფორმაციის ნაამბობზეა აგებული. ვეცადეთ, ამ ვერსიის კომენტარი მოგვეპოვებინა საქართველოს უშიშროების სამინისტროში, მაგრამ უშედეგოდ.

12 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ კირბალთან, გზაზე მოწყობილ ჩასაფრება იმ ავტომობილის გასაჩერებლად, რომელშიც ოსი ეროვნების რამდენიმე მოქალაქე იჯდა, მათ შორის, წინაგარის მცხოვრები, 37 წლის ილია ხაჩიროვი. ეჭვი ჰქონდათ, რომ მან ჩაიდინა ელექტროანძებზე ოთხივე ტერორისტული აქტი.

ოსებმა, რომელთა ნაწილს (მათ შორის ხაჩიროვს) ოსური სამშვიდობო ბატალიონის წევრების მოწოდებით ჰქონდათ, პირველმა დაიწყეს ტყვიამფრქვევით სროლა. ორმხრივი ცეცხლის

ჩვენი დონი: უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე მალალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის, „ქართლი-2“-ის, ანძებზე ოთხჯერ განხორციელდა ტერორისტული აქტი.

11 სექტემბერს, დაახლოებით დღის 5 საათზე, საჩხერისა და ხაშურის რაიონების მონაკვეთში ელექტროგადამცემი ხაზის ანძაზე მიმავრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, თუმცა ანძის რკინის კონსტრუქციების დასაშლელად და, შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზის ჩასანეგებლად აფეთქების ძალა საკმარისი არ აღმოჩნდა.

20 სექტემბერს აფეთქების ხმა გორის რაიონში დღის 3 საათზე გაისმა, მაგრამ, საბედნიეროდ, ტერორისტმა ვერც ამჯერად გამოიანგარა ტრიტონის ზუსტი მასა და მისი დადების ადგილი — ელექტროგადამცემი ხაზი ამჯერადაც გადაარჩა.

9 ოქტომბერს კი აფეთქება ელექტროგადამცემი ხაზის ორ, ერთმანეთისგან დაშორებულ ანძაზე თითქმის ერთდროულად მოხდა. მაგრამ თუკი წინაგარასთან დადებულია ასაფეთქებელმა მოწყობილობამ კვლავ ვერ წააქცია ანძა, საჩხერის რაიონში გამავალი „ქართლი-2“-ის ანძა დაშალა, განყდა ელექტროგადამცემი ხაზი და საქართველოს 80% რამდენიმე საათის განმავლობაში უშუქოდ დარჩა.

დანიშნულებას — საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადებას — არ უნდა მოცდეს.

შეიძლება სწორედ ეს ჰქონდა გათვალისწინებული იმ „ელექტროტერორისტს“ და მის უკან მდგარ ძალებს: ჯერ ერთი, ქართული სამხედრო ძალა, რომელიც დღეს ცხინვალის რეგიონის ახლოს დღედაღამ მზადყოფნაშია, არ დაუშვას სეპარატისტების შეტევა ქართულ სოფლებზე, ანძების დასაცავად გაიფანტება და, მეორე — დაუსრულებელი დაუსჯელი ტერორისტული აქტებით შენუხებული საქართველოს მოსახლეობა უპირველესად პრეტენზიებს

დროს დაილუზნენ ილია ხაჩიროვი და კიდევ ერთი ოსი ეროვნების პირი.

ის ფაქტი, რომ ჩასაფრებულებმა ოსების მანქანას მოულოდნელად კი არ გაუხსნეს ცეცხლი, არამედ მისი გაჩერება მოინდომეს, იმაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველად ილია ხაჩიროვის ცოცხლად აყვანა იყო დაგეგმილი, თორემ სხვადასხვა მხრიდან მოულოდნელად წამოსული ავტომატური ცეცხლით რამდენიმე წამში ისე გაანადგურებდნენ მანქანაში მსხდომთ, რომ ხელის განძრევას ვერავინ მოასწრებდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

მორისმინეთ ამერიკის ხმის

გადაცემები ქართულ ენაზე

ყოველდღიურად 19:30-დან 20:00

საათამდე "მთავარი რადიოს"

და "რადიო 2-ის" ტალღებზე

MORE

>

WWW.VOAnews.com

როგორც „კვირის პალიტრის“ მკითხველს მოეხსენება, თქვენს მონა-მორჩილს ჟურნალისტურ გამოძიება მიეძღვა უნდა მოგახსენოთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მასალების მოპოვება გართულდა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. თუ ერთ შემთხვევაში, ზოგიერთმა თავი დაანება დანაშაულებრივ საქმიანობას და თავისი ბიზნესი გამჭვირვალე გახადა (რაც მისასაღებელია), მეორე შემთხვევაში, კორუმპირებულიები ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდნენ და სრული დატვირთვით გააგრძელეს საქმიანობა. მიუხედავად ამისა, შევეცდებით, ისინი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიყვანოთ. რაც შეეხება დღევანდელ თემას და სტატიაში მოხლებულ პირებს, თავდაპირველად არ ვაპირებდით მათი გვარ-სახელების დასახელებას, მაგრამ ჩვენი აზრით, მათ საზოგადოება უნდა იცნობდეს, ვინც არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი შვილების, მომავალი თაობის ჯანმრთელობას არად დაგიდებს და ამის ხარჯზე არც ფულის „შოვნას“ თაკილობს.

არცთუ იშვიათად, როდესაც დილას შვილები სკოლაში გამიშვია, ნახევარი საათის შემდეგ ორივე უკან მობრუნებულია. მოცინარი სახეებით მომხმარებდნენ: მამა, მასწავლებელმა თქვა, დღეს სწავლა არ გექნებათ, სკოლაში ბოტკინის ეპიდემიამ იფეთქაო. მე და ჩემი მეუღლე, ისევე როგორც სხვა ბავშვების მშობლები, რამდენიმე დღე შვილებს გულგახეთილი ვაკვირდებოდით. ხშირად ვუზომავდით სიცხეს და როდესაც დავრწმუნდებოდით, რომ მშვიდობით გადავრჩით, ღმერთს მადლობას ვწირავდით. თუმცა რას გიყვებით, დარწმუნებული ვარ, თქვენც, ძვირფასო მკითხველო, ბევრჯერ გამოგიცდიათ ასეთი რამ — სკოლაში ან საბავშვო ბაღში სხვადასხვა ინფექციური დაავადების გაფრცქვლებას ბევრჯერ ჩაუვლია თითოეული ჩვენგანი საგონებელში. არადა, საქართველოში უამრავი კერძო თუ სახელმწიფო სამსახური არსებობს, რომლებსაც დანესებულებებისა და სანარმოების დუზინფექცია, დუზინსექცია, დერატიზაცია ევალებათ. სანარმოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან, გააფორმონ ხელშეკრულება რომელიმე სადგინფექციო სამსახურთან, ხოლო მათ კი, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყონ შემკვეთ ორგანიზაციაში როგორც პროფილაქტიკური სადგინფექციო სამუშაოების ჩატარება, ასევე ეპიდემიის შემთხვევაში მისი კერის სადგინფექციო დამუშავება. მაგრამ პროფილაქტიკას ვინ ჩივის, ეპიდემიის კერის დამუშავებაც არ ხდება და ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

იყო დრო, სადგინფექციო სამუშაოების სათანადოდ ჩატარებას კონტროლს სახელმწიფო უწევდა, დღეს კი ამ სფეროში სრული ქაოსია. ამას თბილისის სადგინფექციო სადგურის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვიქტორ მუსიხაშვი** გვიდასტურებს: — თბილისის სადგინფექციო სადგური ჯერ კიდევ 1924 წელს დაარსდა ჩვენი პრეზიდენტის ბაბუის თაოსნობით. სადგურის მოვალეობაში შედიოდა, როგორც დუზინფექცია, ასევე მღრღნელებისა (დერატიზაცია) და მწერების (დუზინსექცია) წინააღმდეგ ბრძოლა. მასვე ევალებოდა სტერილიზაციის შემონახვა საავადმყოფოებში.

სამწუხაროდ, ადრე თუ სადგინფექციო სამუშაოებს სახელმწიფო აკონტროლებდა და ზედამხედველობას უწევდა, დღეს ნებისთი უნებლიეთ სახელმწიფო კონტროლის ბერკეტები ხელიდან გაუშვა. ავთანდილ ჯორბენაძის მინისტრობის დროს თბილისში უამრავი კერძო ფირმა გაიხსნა. ისინი თითქოს ამ სამუშაოების შესრულებას კისრულობდნენ. მათი საქმიანობა დაკანონდა და შესაბამისი ლიცენზიებიც გაიცა. კერძო ფირმების შექმნამ მართალია კონკურენცია გაზარდა, რაც თითქოს კარგი უნდა ყოფილიყო სანარმოებისა და დანესებულებებისათვის, მაგრამ უკუშედეგით მივიღეთ. ფირმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო იაფად შეასრულებდა სადგინფექციო სამუშაოებს, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ თვითმისი კერებს თითქმის ალარ აწუშავებდნენ; ან თუ ამუშავებდნენ, სპეციალურ ხსნარს კი არა, მხოლოდ წყალს იყენებდნენ. დღეს კი ამაზეც არაფერი ინუშებს თავს, სანარმოის ან დანესებულების ხელმძღვანელს პირდაპირ აძლევენ ცნობას, რომ მის დანესებულებაში პროფილაქტიკური სადგინფექციო სამუშაოები „ჩატარდა“. წელს თბილისის არც ერთ სკოლაში, არც ერთ საბავშვო ბაღში სადგინფექციო პროფილაქტიკური სამუშაოები არ ჩატარებულა! სასწავლო წელი ისე დაიწყო, განათლების სამინისტროს ეს არც გასჩენებია. სხვათა შორის, თბილისის განათლების სამმართველოსაც და დედაქალაქის მერიასაც უნდა მოეთხოვათ სადგინფექციო პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება სასწავლო დანესებულებების ხელმძღვანელებისთვის.

— **ამ მხრე როგორი მდგომარეობაა საავადმყოფოებში?**

— ვისლა ახსოვს სადგინფექციო სამუშაოების ჩატარება საავადმყოფოებში? მაგალითად, რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ შეისვლება — ღამით კი არა, დღისითაც ვირთხების ჯვრი დათარუშობს. ალარ ხდება ლეიბების დუზინფექცია და სტერილიზაცია.

— **სტერილიზაციაზე გამახსენდა. ახლახან ერთი ახალგაზრდა ქალი მშობიარობისას სფეროსით დაავადდა.**

— საქართველოში ქირურგიული ინსტრუმენტების სტერილიზაცია მოძველებული მეთოდით ხდება. ვინლა ხარშავს ადამის დროინდელ ქაპაში ქირურგიულ ინსტრუმენტებს? მაგალითად, მოსკოვში ყველა საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში თუ სამედიცინო ამბულატორიაში დგას ოზონოსტერილიზატორი (აპარატი, რომელიც ინოსეს უნებგაღებს პაერმად და გარდაქმნის მას ოზონად). სულ რამდენიმე წუთია საჭირო, რომ ყველა ქირურგიული ინსტრუმენტი გას-

ჩვენი შვილების ჯანმრთელობას რაგადნივე ათეულ ლარად ყიდნიან!..



თბილისის სკოლების ტუალეტების უმეტესობა სავალალო მდგომარეობაშია

ტერილდეს. გარდა ამისა, ოზონოსტერილიზატორი უებარი საშუალებაა კანის დაავადებების მოსარჩენად, მათ შორის, ისეთი დაავადებისა, როგორიც არის ფსორიაზი. მხოლოდ დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელობამ მოახერხა ერთი ასეთი აპარატის შეძენა...

ჩვენს რესპონდენტთან საუბრის შემდეგ დავინტერესდით, როგორ ახერხებენ თბილისის საშუალო სკოლები სადგინფექციო სამუშაოების ჩატარების შესახებ ცნობის მოპოვებას. მე და ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა ხერხს მიგმართეთ, თავი არაჩვეულებრივად საერო სკოლის, „ბურატი-ნოს“ დირექტორად და სასწავლო ნაწილად გავასაღეთ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შპს „დუზინფექციის, დუზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზებული ზედამხედველობის ცენტრს“ ვენიეთ. ცენტრი სახელმწიფოს კუთვნილი ორგანიზაციაა, სადაც სახელმწიფოს აქციების 100% ეკუთვნის. ჩვენი მასპინძლობა ცენტრის დირექტორმა, ბატონმა **ბურამ ლიპარტელიანმა** იცისრა. ბატონ გურამს ჩვენი სტუმრობის მიზეზი მოგახსენეთ: — მუხიანის დასახლებაში გვაქვს კერძო საერო სკოლა, სახელწოდებით „ბურატი-ნოს“, სადაც უფროსკლასელები სწავლობენ. გვინდა პროფილაქტიკური სადგინფექციო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი ცნობა მოგვცეთ.

— რამდენი კვადრატული მეტრია თქვენი სკოლა?

— 800 კვადრატული. საბავშვო ბაღის მარჯვენა ფლიგელი გვიკავია.

— სკოლის მისამართი მითხარით.

— მუხიანი, მეოთხე აპიკრორაიონი.

— რამდენი ტუალეტი გაქვთ, სასადილო თუ აქვს სკოლას?

— სამი ტუალეტი გვაქვს, ბიჭებისათვის, გოგონებისათვის და მასწავლებლებისთვის. სასადილოც მუშაობს სკოლაში.

— ე. ი. მხოლოდ ცნობა გინდათ და ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებთ. ცნობა როდისთვის გჭირდებათ და რა რიცხვით?


— თუნდაც წინა შაბათ-კვირით იყოს.

— მეც და თქვენც მშვიდად რომ ვიყოთ, ერთი სველი წერტილი მაინც დაგაშუშათო. ორ ქალს გავიფიქრებ... ერთი სიტყვით, ოფიციალური სახე მივცეთ. კარგია, რომ ჩემთან მოხვდით — თბილისში უამრავი კოორპერაცია, საიდანაც შეგეძლოთ ცნობის აღება, მაგრამ ჩემი ხელმოწერის გარეშე მაინც არ გამოგადგებოდათ. ცნობას კი ნებისმიერი თარიღით გაგიფორმებთ...

— ცნობა რა ელერება?

— 180-200 ლარის ფარგლებში ჩაგატყვით. თუ გეცდრებათ, 150 ლარადაც გაგიკეთებთ. დღესვე მოგცემდით ამ ქალაქის, მაგრამ ჯოხს, ტიტულთან ფურცელზე დაგიწეროთ. მაინც ოფიციალური საბუთის სახე აქვს, ოღონდ შევთანხმდეთ, რომ სკოლის ფართს იმაზე ნაკლებს დავაფიცებ, ვიდრე სინამდვილეში არის და დაპირებულ თანხაშიც ჩაეტყვით. მართალია, თქვენც სკოლა არ მინახავს, მაგრამ მჯერა, რომ ნამდვილად კარგი შენობა გაქვთ... ფული ხომ თან გაქვთ? მაშინ წულარ გადადებთ... — გურამ ლიპარტელიანმა კაბინეტში შეგვიყვანა და ექიმ-დუზინფექციონისტ ზურამ ჩაჩანიძესთან წარგვადგინა, — ამ ხალხს, თურმე, კარგ შენობაში აქვთ სკოლა, ერთჯერადი დუზინფექციის ცნობა უნდათ. 150 ლარად უნდა მოუჭებნოთ ეს საქმე. დაანერჩიე განცხადება. ცნობაში ჩაწერე, რომ სკოლა 600 კვადრატზეა განთავსებული.

ზურამ ჩაჩანიძე — რომელი რიცხვით



დავუწერო ცნობა?

— წინა რიცხვით გააფორმე, ამათ როგორც უნდათ...

გურამ ლიპარტელიანმა დროებით ჩაჩანიძის განკარგულებაში დაგვტოვა. დუზინფექციონისტმა რამდენიმე შეკითხვა დაგვისვა. ამასობაში, ლიპარტელიანი კაბინეტში დაბრუნდა. ჩაჩანიძეს ცნობა გამოართვა, ყურადღებით წაიკითხა და ჰკითხა: — რიცხვი რატომ არ დაწერეთ?

— რიცხვზე თქვენ თვითონ შეთანხმდით.

— კარგი, ჩემთან წამოდით, კაბინეტში, მე თვითონ დავწერ.

რამდენიმე წუთში გურამ ლიპარტელიანმა ტიტულიანი ფურცელი გამოგვცა, სადაც წერია: „საერო სკოლის „ბურატი-ნოს“ ადმინისტრაციას: თქვენი 30.09.04 წერილის საფუძველზე შპს „დუზინფექციის, დუზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის მიერ აღნიშნულ სკოლაში ჩატარდა პროფილაქტიკური სადგინფექციო სამუშაოები, კერძოდ, დამუშავდა როგორც მთლიანი შენობა, ასევე ცალკეული კიბის უჯრედები, სველი წერტილები. სამუშაოებისათვის გამოყენებულ იქნა სადგინფექციო საშუალება ვანდა-М „სტელა“. ხელის მოწერა: გ. ლიპარტელიანი“.

ცნობა ადასტურებს, რომ იგი გაცემულია ა. წ.-ის 4 ოქტომბერს, არადა, იმ დღეს, როდესაც ბატონმა გურამ ლიპარტელიანმა ეს „საბუთი“ მოგვცა, 13 ოქტომბერი გახლდათ. მერე ცენტრის უფროსმა 156 ლარი გამოგვართვა. სკოლის საბუღალტრო საბუთებისათვის ინვოისიც მოგვცა და სალაროს შემოსავლის ორდერიც. ბოლოს დიდხულოვნად იკითხა: „150-ის ნაცვლად 156 ლარი გადაგახდევინეთ, იქნებ უკან დასაბრუნებელი ფულიც არ დაგრჩათ. სიმართლე მითხარით, დავრჩათ სამგზავრო ფული?“ დიდი მადლობა გადავუხადეთ ცენტრის დირექტორს გულისხმიერებისათვის, თუმცა თავს ძლივს ვიკავებდით, რომ უკმესად არაფერი გვეთქვა. ღირსიც იყო, რადგან ჩემი, თქვენი, ყველასი, შვილების ჯანმრთელობა 156 ლარად „გაყიდა“.

ორიოდ დღის შემდეგ ეპიდზედამხედველობის ცენტრის უფროსს „კვირის პალიტრის“ სხვა ჟურნალისტი ეწვია და მას აზრის გამოთქმა სთხოვა სადგინფექციო სამსახურების საქმიანობის შესახებ. მისი განცხადებით: — მხოლოდ სამი ორგანიზაცია დაფრთხილეს სახელმწიფო დაქვემდებარებაში. დანარჩენი კერძო ფორმებია. სანარმო-დანესებულებების ხელმძღვანელები კერძო ფორმებში დაუბრკოლებლად იღებენ ყალბ ცნობებს, რომლებიც ადასტურებს, რომ თითქოს

მათ სანარმოში სადგინფექციო სამუშაოები ჩატარდა (აი, ზღვარგადასული ცინიზმი და უსაზღვრო უსინდისობის შესანიშნავი მაგალითი, ძვირფასო მკითხველო. — ზ. ჩ.).

— **თქვენს ცენტრში გამოიყენებოდა მსგავსი საბუთის აღება?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ცენტრის არც ერთი თანამშრომელი ასეთი სიყალბეს არ დაუშვებს(!).

ჩვენ საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორს მივმართეთ კონსულტაციისთვის იმ 156 ლარის შესახებ, რომელიც ცენტრის ბუღალტერიაში გადავიხადეთ. სალაროს შემოსავლის ორდერი და ასევე, ინვოისი არ არის მკაცრი საბუღალტრო აღრიცხვის საბუთი. ამიტომ ცენტრის ხელმძღვანელობას შეუძლია (თავის ბუღალტერთან შეთანხმებით) გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ორივე გაანადგუროს და თანხა მიითვისოს. ასეც რომ არ მოიქცეს, მაინც მოგებული დარჩება, რადგან მას რეალურად არ დაუმუშავებია სადგინფექციო ხსნარით სკოლა, ე.ი. სადგინფექციო წამალი, რომელიც სავსაოდ ძვირი ღირს, არ გაუხარჯავს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ახალდანიშნულ უფროსს გავესაუბრეთ და არც ჩვენი მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგები დავგიმალავს.

ახალგაზრდა ნაჭიშკრები: „მივესალმები „კვირის პალიტრის“ ინიციატივას. მერწმუნეთ, მოუთმენლად ველი თქვენი გაზუთის ამ ნომერს. სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმეთ, სადგინფექციო სფეროში მართლაც განუკითხაობაა. ჩვენც გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთი კერძო ფირმა, ასევე სახელმწიფოს კუთვნილი სადგინფექციო სამსახურებიც ამა თუ იმ ობიექტის ხელმძღვანელებს ფიქტიურ ცნობებს აძლევენ საზღაურის სანაცვლოდ. მეტიც, ისიც ვიცით, რომ ხშირად სპეციალური ხსნარის ნაცვლად სასმელ წყალს ასხურებენ. იგივე შეიძლება ითქვას დერატიზაციას და დუზინსექციაზე.

როგორც იცით, ამ თანამდებობაზე ახლახან დავეინიშნე და სიტყვას გაძლევთ თქვენც და მთელი რესპუბლიკის მოსახლეობას, დედაქალაქში სანიტარული წესრიგი აუცილებლად დამყარდება...“

სადგინფექციო-პროფილაქტიკურ სამუშაოებზე საინტერესო აზრი გამოთქვა ჩვენმა შემდეგმა რესპონდენტმა.

საქართველოს დაავადებების კონ-

ფირმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო იაფად შეასრულებდა სადგინფექციო სამუშაოებს, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ეპიდემიის კერებს თითქმის ალარ ამუშავებდნენ; ან თუ ამუშავებდნენ, სპეციალურ ხსნარს კი არა, მხოლოდ წყალს იყენებდნენ. დღეს კი ამაზეც არაფერი ინუშებს თავს, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელს პირდაპირ აძლევენ ცნობას, რომ მის დაწესებულებაში პროფილაქტიკური სადგინფექციო სამუშაოები „ჩატარდა“.

ტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დირექტორი **პაატა იმნაძე**. — ესა თუ ის ობიექტი ყოველდღიურად უნდა სუფთავდებოდეს. თუ ობიექტი დალაგებულ-დასუფთავებულია, იგი არ საჭიროებს სადგინფექციო პროფილაქტიკას.

— **როგორ? კარგად მასოჟს, სკოლაში სწავლა ისე არ დაიწყო, თუ იგი სადგინფექციო სანარმო არ დამუშავდებოდა. რა, მაშინ სკოლებს ან სხვა დაწესებულებებს დამლაგებლები არ ჰყავდათ?**

— მე დღეისათვის სადგინფექციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას ვერ ვხედავ, მით უმეტეს, სკოლებში(!). მთავარია, ობიექტებში სუფთა ტუალეტები იყოს... და არ უნდა დაგვაყენდეს ხელის დახანაწი.

— **ბევრ სკოლის ტუალეტებში საშინელი ანტისანიტარია.**

— დამლაგებლის მოვალეობაა, ტუალეტი დალაგოს, სკოლის ადმინისტრაციამ კი ტუალეტები გაარემონტოს (ჩვენი თბილისის რამდენიმე სკოლა დავათვალიერეთ. თითქმის ყველგან აუტანელი ანტისანიტარია დაგვხვდა. უმეტესობაში ონკანიც კი არ იყო. სამაგიეროდ, დირექტორების კაბინეტებში თანამდებრივ ევროპურ-მონტაჟ გაკეთებულია. — ზ. ჩ.).

პაატა იმნაძის განცხადებით, შარშან საქართველოში „ჯგუფის პეპატიტი (იმავე ბოტკინით) 1872 კაცი დაავადდა. აქედან 4-დან 15 წლამდე 965 ბავშვი იყო, ხოლო სეფსისი 521 პირს დაეწარა. მიუხედავად ამისა, ბატონი იმნაძე მაინც ვერ ხედავს პროფილაქტიკური დუზინფექციის აუცილებლობას.

„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტური გამოძიების განყოფილებამ გააგრძელა თავისი საქმიანობა და დაინტერესდა, რით განხვავდებოდა თბილისის სადგინფექციო სადგურის შემონახვები ცენტრისგან. ჩვენ დაუკავშირდით თბილისის სადგინფექციო სადგურის ექიმ-დუზინფექციონისტს, **მარიამ მაპარაძეს**. მას თავი საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებად გავაცანი. ჩვენი შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— თბილისში კერძო საბავშვო ბაღი გვაქვს. ნაცნობა გვირჩია, თქვენთვის მოგვემართა — სადგინფექციო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი ცნობა გვინდა.

— კი, ბატონო, იმ კვირის ოთხშაბათს, 11 საათზე ჩვენი თანამშრომელი წამოგყვებათ; ან მისამართი დატოვებთ და თვითონ მოვა.

(გაგრძელება იხ. გვ. 24)

„არ იყო საჭირო საგანგებო განცხადება პრეზიდენტის გამოცხადება“



ყველა პრეზიდენტის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც სიმართლეს არ ამბობენ

ამერიკიდან ქართველ პარლამენტარებს ეკრძალებათ უდიდესი ჩაცმა და საქციელი, ერთმანეთის ფიზიკურ ნაკლებ მითითება და უხამსი სიტყვების ხმარება, სილის განცხადება და მუშტის მოქნევაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თუ ვინმე მაინც იურჩებს და ეთიკის კოდექსის ფარგლებს გასცდება, უთუოდ ხაზითა გოგორიშვილთან მოუწევს საქმის დაჭერა და შესაძლოა, გვარიან ჯარიმასაც გამოჰკრას ხელი.

სანამ **ნინო გუგუშვიანი** ქართული პარლამენტის ამ ინოვაციაზე დაველაპარაკებოდით, „არანაკლებ მნიშვნელოვან“ საგარეო ამბებსა და სტრასბურგში გადატანილ „დედულზე“ ვკითხეთ:

— ამ დებულებით ევროპელებმა გაიგეს რუსების მიმართ ჩვენი პრეტენზიების შინაარსი. ჩვენთვის თვითმზანი არ ყოფილა (და ეს ვთქვით კიდევ) რუსეთის კრიტიკა და ამ ქვეყანასთან არსებული პრობლემების საჯარო არენაზე გამოტანა, მაგრამ, რადგან არ ხერხდება ჩვენ შორის არსებული პრობლემების ორმხრივი მოლაპარაკებებით მოგვარება, იძულებული გავხდით, ევროპელი მეგობრები ჩაგვეყვანა საქმის კურსში, რათა მათ ადგვატური შეფასებები მისცენ მოვლენებს.

— **ევროსაბჭოში კი მოციქვით მარჯვედ, მაგრამ ექსპერტების აზრით, ეუთოს გადან-**

...არ ვიცო, რამდენად მუსკა ინფორმაცია აფხაზეთში რუსული დესანტის გადმოსხმაზე, მაგრამ თუ ეს გამართლდა, რუსეთი მსოფლიოში თავის მოიჭრის. რას ჰქვია, სხვა ქვეყნის გერიტორიაზე დესანტი ისე გადასხა, რომ ამ ქვეყანას არ შეუთანხმო?

...მე შევარდნაძეს ვეუბნებოდი სიმართლეს, მაშინაც კი, როცა ოპოზიციაში არ ვიყავი. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მჭარე სიმართლეს ვეტყვი პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ჩვენი გუნდის წევრია...

ცვტილებამ, საქართველო-რუსეთის სასაზღვრო მონაკვეთზე მონიტორინგის ჯგუფი შეემცირებინა, წამყვანი მფლობელებში ჩაგვყვნა. ითქვას ისიც — ეუთოს ამ გადანაცვლებებზე სწორედ რუსულმა მხარემ იმოქმედა და იქ გავლენა რუსებს მეტი აქვით.

— ვერ ვიტყვი, რომ ეუთოში რუსებს მეტი გავლენა ჰქონდათ, მაგრამ, რადგან იქ გადანაცვლებები მიიღება კონსენსუსით (ან კონსენსუსის მინუს ერთით), თუ რუსეთი რაიმე საკითხს ან გადანაცვლებას არ ეთანხმება, ის იბლოკება. თუმცა საზღვრის მონიტორინგის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადანაცვლებით და თუ ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ, შეიძლება მონიტორინგის მისია არ შემცირდეს. როდესაც რუსები ამბობენ — ჩვენს საზღვარს ადვილად კვეთენ ტერორისტები და ამით საფრთხე გვექმნებაო, მაშინ ხომ უნდა იყვნენ დაინტერესებული, რომ საზღვარი მეტად იყოს დაცული და რაც შეიძლება მეტი მეთვალყურე ჰყავდეს მას? ისინი კი, პირიქით, ეუთოს მისიის შეწყვეტას და იქიდან მეთვალყურეების გამოყვანას ითხოვენ. რატომ? ჰკითხეს კიდევ რუსეთს, რაკი საზღვარზე პრობლემა გაქვით, რატომღა ითხოვთ იქიდან დამკვირვებლების გამოყვანას და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდათ ჩვენს მეზობლებს.

— **სიტყვიერად რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კი აღიარებს, მაგრამ საქმით სხვას აკეთებს. აფხაზეთში მისი ბოლოდროინდელი მოქმედებები და გაგრძელებული ინფორმაცია იქ „რუსული დესანტი“ გადასხმის შესახებ საკმაოდ შემაშფოთებელია.**

— ევროსაბჭოში სწორედ ეს ვთქვით — რუსეთი აფხაზეთს და ოსებს მოქალაქეობას ანიჭებს, რკინიგზა გახსნა და იქაურ სამრეზიდენტო არჩევნებში პირდაპირ და უხეშად ჩაერთო. მართალია, აფხაზეთის არჩევნებს არ ვაღიარებთ, მაგრამ მისი შედეგი საკმაოდ სერიოზული საფუძველი იმავი დასარწმუნებლად, რომ აფხაზეთში

არც რუსებს ულხინთ.

არ ვიცი, რამდენად ზუსტია ინფორმაცია აფხაზეთში რუსული დესანტის გადმოსხმაზე, მაგრამ თუ ეს გამართლდა, რუსეთი მსოფლიოში თავის მოიჭრის. რას ჰქვია, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დესანტი ისე გადასხა, რომ ამ ქვეყანას არ შეუთანხმო?

აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა მაშფოთებს, რადგან იქ დაწყებული არეულობა უთუოდ გადმოინაცვლებს გალში და არასტაბილურობის კერას შექმნის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს არ ვცნობთ, გვინდა, ხალხის რჩეულმა გაიმარჯვოს და იქ სიმშვიდე იყოს.

სტრასბურგში რუსმა კოლეგებმა გვისაყვედურეს — ჩვენთან დიპლომატიის ერთობლივ პრობლემებზე ორმხრივი საუბარი არ გასურთო, რაზეც ვუპასუხე, — მზად ვართ, პარლამენტში ხვალვე მივიღოთ თქვენი დელეგაცია ან თავად ჩამოვიდე მოსკოვში-მეთქი... მაგრამ ჩემს წინადადებას არავინ გამოხმაურებია და ვერც იმას გეტყვით, მათ სატელეფონო ზარებს ვერ ავუღივარ-მეთქი.

— **ახლა საქართველოს შინაპოლიტიკაზე გადავიდეთ. ამას წინათ პრეზიდენტის ერთ-ერთმა მრჩეველმა განაცხადა — სააკაშვილს სიმართლეს უმაღავერო. თქვენ თუ ამწვეთ პრეზიდენტს გარემოცვას ასეთი სიმკვრივები?**

— თუ ასეა, ის მრჩეველი თვითონ რატომ არ ეუბნება სიმართლეს? უცნაურია, პრეზიდენტის მრჩეველი რომ ასე ლაპარაკობს.

ყველა პრეზიდენტის გარემოცვაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სიმართლეს არ ამბობენ და რაც მოეწონება, მხოლოდ იმას ეუბნებიან პრეზიდენტს. ასეთ რამეს თავად პრეზიდენტმა უნდა მიაქციოს ყურადღება და არ მგონია, მიხეილ სააკაშვილს ეს გამოეპაროს. პრეზიდენტის მრჩეველის ნათქვამს საკუთარ თავზე ვერ მივიღებ. იმიტომ, რომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. მე შევარდნაძეს ვეუბნებოდი სიმართლეს, მაშინაც კი, როცა ოპოზიციაში არ ვიყავი. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მწარე სიმართლეს ვეტყვი პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ჩვენი გუნდის წევრია. მინდა, რომ მანაც და ჩვენც ნაკლები შეცდომა დავუშვათ. იმიტომ, რომ ხალხი ყველას მოგვთხოვს ამ შეცდომებზე პასუხს.

პრეზიდენტმა მრჩეველთა საბჭო იმიტომ შექმნა, რომ მათ უთხრან ის, რასაც სხვები არ ეუბნებიან, ამიტომ ბატონ მრჩეველს ვურჩევდი, პრეზიდენტს სიმართლე უთხრას.

— **ხელისუფლების უმთავრეს პრობლემად სააკაშვილი დეფიციტს მიიჩნევს, თქვენც ასე ფიქრობთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღირსეული ადამიანი გვყავს ქვეყანაში, სააკაშვილი დეფიციტი ნამდვილად გვაქვს. თანამდებობაზე მოს-

ვედრის მსურველები ყოველთვის ბევრი არიან, მაგრამ თანამდებობისთვის შესაფერისი კანდიდატურის პოვნა ადვილი არ არის. არის სხვა ფაქტორიც, ბევრი პროფესიონალი საზღვარგარეთ მუშაობს ან ვერძო საქმიანობას ეწევა და არ უნდა სახელმწიფო სამსახურისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა იტვირთოს.

— **გასულ კვირას საპარლამენტო უმრავლესობა რამდენიმე დეპუტატმა მეტად უცნაურ განცხადებით დატოვა. ნოთუ პარლამენტს მართლა არ სურს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზის დადგენა?**

— ეს მხოლოდ ნასვლის საბაბი იყო. უხერხულია, როდესაც მავანნი გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელს იყენებენ. დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ვერ გამოიძიებს. ამის გასაყვეტილად სულ მცირე გვამის ექსპერტიზა უნდა მოხდეს. როგორ უნდა გავაკეთოს ეს პარლამენტმა ან როგორ დამკითხავს მონიშნებს? მკვლელობის გამოძიება არ არის პარლამენტის კომპეტენცია. ამით სპეციალისტები უნდა დაეკავდნენ. ვერ დამისახელებთ მსოფლიოში ვერც ერთ პარლამენტს, რომელსაც მკვლელობა აქვს გამოიძიებული. ამიტომ არ მინდა პოპულისტურ გადაწყვეტილებას დავუჭირო მხარი და მეტე უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდ. პარლამენტის სახელით უშიშროებისა და შს სამინისტროებს, გენერალურ პროკურატურას დავავალე, რომ მოგვანოდოს ინფორმაცია იმ კომისიის მუშაობაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებას იკვლევს. ჩვენ შესაძლოა ამ კომისიის მუშაობა შევაფასოთ ამ პოლიტიკური შეფასებები გავავითო, მაგრამ პარლამენტის ფუნქცია არ არის პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზის დადგენა.

ყოველთვის ვფიქრობდი ჩემი კოლეგების გადაწყვეტილებების მკვეთრ შეფასებას, მაგრამ აშკრად ისინი ძალზე არაკოლეგიალურად მოიქცნენ.

(გაგრძელება ის. გვ. 27)

საპარლამენტო უმრავლესობა დეპუტატთა კიდევ ერთმა ჯგუფმა დატოვა, მაგრამ სახელისუფლებო ფრაქციის ხელმძღვანელობამ თავიდან რატომღაც არაფრისმთქმელი პოზა მიიღო და თითქმის აინუნსიც არ ჩააგდო ეს ამბავი, მერე კი განაცხადა — ეგენი კი ნავიდნენ, მაგრამ სხვები მოვლენო. რამდენად მოსალოდნელია „ნაციონალ-დემოკრატებში“ როქი და რამდენად სწორია თვითდარწმუნება — „იგი ნავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, ძნელი სათქმელია. თუმცა პოლიტიკური ექსპერტები ამბობენ, რომ სახელისუფლებო გუნდიდან კიდევ არაერთი დეპუტატია გამოქცევაზე და შევსების ნაცვლად, იქ სუბიექტების კლება უფროა მოსალოდნელი.

ვესაუბრებით რესპუბლიკური პარტიის წევრს **ლევან ბარამიშვილს**, რომელიც სტრასბურგის საპარლამენტო, ფაქტობრივად კი, სახელისუფლებო დელეგაციაში ერთადერთი „უცხო“ კაცი იყო.

— ევროსაბჭოში ქართული საპარლამენტო დელეგაციიდან ერთადერთი ოპოზიციონერი ვიყავი და აქედან გამომდინარე, განსხვავებული თვალსაზრისი მქონდა იქ განვითარებულ მოვლენებზე. საქართველომ 1.0 ჯერ მაშინ მოუგო

ძიების უნარი არ გვაქვს, სამაჰაბლოზე, აფხაზეთსა და საქართველოს აღორძინებაზე ნულარ ვილაპარაკებთ. კენედის მკვლელობის გამოძიებით კმაყოფილი ყველა არ იყო, მაგრამ უორენის კომისია მუშაობდა ამ საქმეზე. უმრავლესობამ უარი გააღიზიანა უმნიშვნელოვანესი რეგიონი — სამეგრელო. როდესაც კომისიის შექმნას უმრავლესობის ერთმა წევრმა მხარი დაუჭირა, ფრაქციის ორი წევრი მაშინვე მივიარდა და მამის ტოლ კაცს დარბაზშივე გაურჩია საქმე, როდესაც განაწყენებულმა დეპუტატებმა უმრავლესობა დატოვეს, არ უნდა თქმულიყო, — ისინი სექტანტები არიანო. გუშინ თუ ამ სექტანტებთან ერთად იყო უმრავლესობა, ახლა განმენდდა? ზვიადისტებს ვერაფერ გააუქმებს. ახალი, ერთიანი სახელმწიფო ამ ხალხთან ერთად უნდა ავაშენოთ. მართალია, ერთმანეთი არ შეგვიყვარდება და ზვიადისტები ჩემს სურათს არ დაიკიდებენ ოთახში და არ იტყვიან, — ა, კაცური კაციო, მაგრამ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა შევქოლოთ. მიუხედავად იმისა, მიყვარდა თუ არა ზვიად გამსახურდია, მაინც ტერესებს, ეს კაცი მართლა მოკლეს თუ არა. ჩვენ გვანტერესებს, როგორ მოქმედებდა პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში უშიშროების მაშინდელი კო-

ვინ სად, როგორ ინიშნება და ვის ვინ სად უეჭვად...



„სააკაშვილის ადგილზე, დავფიქრდებოდი — ვის მოკვლას აპირებენ-მეთქი“

სისუსტე რომ დაეფარა, ვითომ მაგარი ვარო და ვარშალომიძემ ორი გამგებელი დაიჭირა. აქაოდა, ჩვენ ჩვენები დავიჭირეთო. საქართველოში მოდამია „შენიანების“ დაჭერა — ერთ „შენს“ რომ დაიჭრო და ბევრი შენი გაჯეჯილდება.

რუსებს, როდესაც ევროსაბჭოში განაცხადა, — დებატები გვინდაო. დებატებზე რუსების მოუშვადებლობამ გამაკვირვა, მათ ვერც ერთი პოლიტიკური არგუმენტი ვერ მოგვიყვანეს. დებატებშიც ქართველებმა მოუგეს რუსებს, მაგრამ ამ დროს დარბაზში ჩვენი და რუსული დელეგაციის გარდა, არავინ იყო (თუ არ ჩავთვლით სიტყვაში გამოხსენილ რამდენიმე პირს), როგორც ჩანს, წინასწარ იცოდნენ, რუსები ჩაფლავდებიანო და არავინ ინდობა მათი შერცხვების მოწმე გამხდარიყო. საგულისხმოა ისიც, რომ რუსული მედიაც არ დასწრებია დებატებს — მათ ასე უბრძანეს, თორემ ძალიანაც აინტერესებდათ, რაც დარბაზში ხდებოდა. საპარლამენტო ასამბლეის გასულ სასესიო კვირას ორჯერ მიიღო რუსეთმა სახეში სილა — პირველად ჩვენების საკითხის, მეორედ კი საქართველოს გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერი ვარ, ვერ ვიტყვი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის, გიგა ბოკერიაშა და გიორგი არველაძის გამოსვლები ცუდი იყო-მეთქი. ისინი კარგად გამოვიდნენ, კარგი ინგლისური ილაპარაკეს. რუსების მხრიდან მათ საშუალოზე მაღალი დონის ინგლისური ერთი კოსანკეი პასუხობდა, დანარჩენები კი — რუსულად, რის გამოც ისინი წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

დებატებმა ერთი ნაბიჯითაც ვერ მიგვაახლოვა ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების პრობლემის გადაწყვეტასთან, მაგრამ პოზიტიური იყო იმის გამო, რომ საქართველომ ასტანის შემდეგ კიდევ ერთხელ აშოილო ხმა. ამ გამარჯვებით ფინალში არ გავსულვართ, მაგრამ ეს იყო სწორად დადებული აგური.

— **ამას წინათ თქვით, ურჩველთა გოგებური პროგრესითი დაიშლითო, მთლად ამ კანონზომიერებით არა, მაგრამ უმრავლესობა იშლება. რა არის ამის მიზეზი?**

— უმრავლესობის დამლა ურანის დამლის პროცესს ჰგავს და ამას მაია ნადირაძე კი არა, ვერაფერ შეაჩერებს. ეს პარლამენტი რომ დაამთავრებს საქმიანობას, იმ დროისთვის სულ მცირე 10 ფრაქცია მაინც იქნება. ასეთი ტიპის უმრავლესობისთვის ეს დაუწერელი კანონია. უმრავლესობამ უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც უაზროდ აწყენინა თანამებრძოლებს. რატომ არ უნდა გამოიძიოს საქართველომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებები, ჩემთვის გაუგებარია. თუ ვინმეს კიდევ ახალი ჰყავს მოსაგლავი და არ უნდათ ამ საქმეში ხელგანაფული ხალხის დაჩაგრვა, პრეზიდენტის ადგილზე დავფიქრდებოდი — ვის მოკვლას აპირებენ-მეთქი. პრეზიდენტების მკვლელები კი არ უნდა შეინახო, უნდა გამოაშვარო და თუ ამის გამო-

მიტეტი, რათა კიდევ არ მოხდეს ასეთი რამ.

რესპუბლიკელებმა ეთიკის კოდექსს ხელი არ მოვანერ-კო და იცით, რატომ? მოგვასწრეს და ყველა არეუთიკურმა მოაწერა ხელი... თუ ასეთი სექტანტების დადგმა საჭირო, მაშინ ჩავიცვამ „ბე-ბეს“, ნავალ რეზერვისტად, ვაჩვენებ ტელევიზიას, მეც შემოიღია სირილი და კიდევ სხვა რამეები-მეთქი, მაგრამ რა გამოვა აქედან? როდესაც უმრავლესობა ისევ არასწორად მოიქცევა, კიდევ ნა-მოვა იქიდან ხალხი და ამით კრუნჩხდება არ უნდა ნაც-ვიდნენ და არ უნდა თქვან, — ერთი თუ ნავა, ათი მოვაო. დღეს ოპოზიცია სუსტია, მაგრამ სახელისუფლებო უმრავლესობას იმედის თვალით ვუყურებთ, რადგან იქ გვეგ-

— **აჭარაში მოსახლობა განსაკუთრებით გააღიზიანა ხულოსა და ქედის გამგებლების დაპატიმრებამ, რომლებიც თავის მხრივ, აჭარის ხელისუფლებამ არსებულ მაფიაზე ლაპარაკობენ. რა ხდება აჭარაში?**

— თუ აჭარაში ხეტყის ჭრის გამო ყველა დამნაშავეს დაიჭერენ, აღმოჩნდება, რომ ცუცს-ლაძე და ქარცივაძე ყველაზე ნაკლებად არიან დამნაშავე. აჭარის ხელისუფალი ვარშალომიძე ძალიან სუსტია, ყველამ იცის, რომ ის მამისა და მეგობრების გარეშე საქმეს თავს ვერ ართმევს. სისუსტე რომ დაფუარა, ვითომ მაგარი ვარო და ვარშალომიძემ ორი გამგებელი დაიჭირა. აქაოდა, ჩვენ ჩვენები დავიჭირეთო. საქართველოში მოდამია „შენიანების“ დაჭერა — ერთ „შენს“ რომ დაიჭრო და ბევრი შენი გაჯეჯილდება.

ვარშალომიძე ცუდად პაპაძეს საქართველოს პრეზიდენტს. ვარშალომიძე ნამდვილი კი არა, შეკვეთილი გმირია. ატვორიტესა და ხალხის სიყვარულს მოპოვება სჭირდება. დაპატიმრებით რომ მოიპოვო სიყვარული, მაშინ სტალინი უნდა იყო, ვარშალომიძეს კი ბევრი უკლა სტალი-ნამდე კი არა... რაკი ვარშალომიძემ არ ივარგა, მოადგილეს მაინც უნდა გამოეღო ხელი, მაგრამ... ვარშალომიძისა და ხაბაზის აჯავაბა აჭარას არ აყვავებს. ჩვენ ველოდებით, როდის აღიარებს სააკაშვილი შეცდომას და როდის მოაცილებს სუსტ ხელისუფლებას აჭარას. ხომ ხედავენ, რომ ეს ხალხი არ „ყოფნის“ აჭარას. ამის გამო საყვედური ეკუთვნის პრეზიდენტს. თუ ვინმე მეტყვის, აჭარაში ვარშალომიძეზე ჭკვიანი არავინ დაბადებულაო, არ მივიღებ ამ არგუმენტს.

ხეტყის ჭრის გამო იმდენია დასაჭერი, რომ შეიძლება ნახევარი პარლამენტი ციხეში აღმოჩნდეს. ვიცით, რომ ერთი პარლამენტარი დაპატიმრეს და იმ ერთმა იტვირთა ყველას ცოდაც, თითქმის დანარჩენები ყველანი წმინდანები არიან დარბაზში. ხომ ვიცით, რომ ეს სიმართლე არ არის. ისიც ვიცით, რატომ გააშვირეს პარლამენტარებმა ბათუმში ჩასვლა-ჩამოსვლა. ვიცით, თბილისში ვინ სად, როგორ ინიშნება და ვის ვინ სად შეჰყავს. ასეთ ვითარებაში ტყუილის თქმა, — ორი დამნაშავე „ვიშოვებ“, არ შეიძლება. ისინი ყველაზე პატარა ჭიჭიკები არიან იმ საქმისგან, რომლებიც ხეტყის გაკავფით ითბობენ ხელს...

იზო რეაძე

კანონმდებელი

გუგუნი მოხუცი
კონგრესანტული
გაგაქონა აქაქონიახალი დეგალები ИЛ-18-ის
დაღუპვასთან დაკავშირებით

- Батуми, 295 наблюдаете нас?
- Пока не наблюдаю 295, нажатие.
- А удаление, не подскажите сейчас как-о, хотя бы?
- Не наблюдаю пока.
- Понятно.
- Ваше удаление?
- ...
- 295 Батуми?
- ...
- 295 Батуми?

ამის შემდეგ თვითმფრინავ №74295-თან კავშირი აღარავის ჰქონია. 2000 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო-საჰაერო თვითმფრინავმა ИЛ-18-მა საქართველოს საჰაერო სივრცეში ბათუმთან ახლოს (მტირალას მთაზე) კატასტროფა განიცადა... დაიღუპა 73 კაცი. ოფიციალური ვერსიით, კატასტროფა ეკიპაჟის წევრებისა და ქართველი დისპეტჩერების დაუდევრობის გამო მოხდა, თუმცა მონათვა ჩვენებებიდან სულ სხვა რამ ირკვევა. საჰმის მასალებიდან: 18 საათსა და 10 წუთზე ხომალდის მეთაური კოტოვი კავშირზე გავიდა ბათუმის დისპეტჩერ ბერიძესთან, რომელმაც დაუდასტურა, რომ მზად იყო თვითმფრინავის მისაღებად და მისი მართვა საკუთარ თავზე აიღო. ცუდი ამინდის გამო ბერიძეს არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია თვითმფრინავის ადგილმდებარეობის შესახებ. ის ეკიპაჟის მიერ მონოღებულ კოორდინატებს დაეყრდნო, რომელიც როგორც მოგვიანებით გაირკვა, მცდარი აღმოჩნდა. ბერიძე ვალდებული იყო, თვითმფრინავი აეყვანა იმ სიმაღლეზე, სადაც რადიოლოკატორზე ხილული გახდებოდა თვითმფრინავის ადგილსამყოფელი. დისპეტჩერს თვითმფრინავის ადგილსამყოფლის უწყვეტი კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, მკაცრად ეკრძალება ნებართვის გაცემა ხომალდის დაშვებაზე. იგი ვალდებულია, თვითმფრინავის ეკიპაჟს სათანადო აეროპორტში წასვლა უბრძანოს. მიუხედავად ამისა, ბერიძემ თვითმფრინავის ბათუმის აეროპორტში დაშვების ნებართვა მაინც გასცა. როდესაც პილოტს ეუცხოვა დაშვების ადგილი და გონს მოეგო, უკვე გვიანი იყო — ИЛ-18 მტირალას შეეჯახა...

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

რა ღვას ენერგოლივერსიის მიღება?

ეკონომიკური საბოტაჟი თუ შორს მიმავალი
პოლიტიკური მრახვები

რუსეთი საქართველოს ხელისუფლების შეცვლას გეგმავს

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: დივერსიები საქართველოში ქრონიკულ ხასიათს იღებს. 9 ოქტომბერს მომხდარ აფეთქებას დივერსიათა მთელი სერიალი მოჰყვა. იმავე დღეს დივერსანტებმა სოფელ შავშევებთან ელექტროგადამცემი მაღალი ანტენის აფეთქება სცადეს. ტროტილის უკმარისობის გამო ანძა გადარჩა, მაგრამ სამი დღის შემდეგ იმავე სახის ოპერაცია იმერეთის ტერიტორიაზე „წარმატებით“ განხორციელდა, რის გამოც მწყობრიდან გამოვიდა ორი ელექტროგადამცემი ანძა, რომლის აღდგენას, სპეციალისტთა თქმით, რამდენიმე დღე სჭირდება.

ჩვენთან საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტმა **გიორგი ჯიშკალიაძე** დღემდე გაუხმაურებული დეტალები გაგვაცნო.

— **უშიშროების სამინისტროში ამ საკითხზე საუბრისაგან თავი შეიკავეს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მათ ხელის მოსაიდებელი არაფერი აქვთ?**

— უშიშროების სამინისტრო ოფიციალური სტრუქტურაა და ამ საკითხზე აშკარად ვერ ილაპარაკებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება.

— **იმის დაფიქსირება ხომ მაინც შეიძლება, რა შეფასება ეძლევა დივერსიულ აქტებს?**

— რომ იცოდეთ, საით მივყავართ კვალს, ამას აღარ მკითხავდით. რა გინდათ, ადგეს ოფიციალური სტრუქტურა და რომელიმე ქვეყანას ხელი დაადოს? ეს ამ უწყების საქმე არ არის. უშიშროება გადასცემს ინფორმაციას ვისაც საჭიროა და შემდეგ პოლიტიკოსებმა იფიქრონ, რა უნდა თქვან ან დიპლომატიური მოსაზრებით რა უნდა დამალონ.

აქ, უპირველესად რუსეთის ინტერესებია ჩართული, რომელიც საქართველოში დესტაბილიზაციის შემოტანას ცდილობს. მე არ ვამბობ, რომ სოფელ შავშევებთან ანძა რუსეთიდან გადმოსროლილმა „სპეციალისტებმა“ აფეთქეს. სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენთან რუსული მესუთე კოლონა კარგად მუშაობს და ქვეყანაში რუსეთს ჯერ კიდევ სერიოზული აგენტურა ჰყავს.

— **ასეთი სახის დივერსიული აქტები რას აძლევს რუსეთს?**

— კრემლში იციან, რომ სააკაშვილის მათთან „ჩახუტება“ შეუძლებელია. იგი აშკარად პროდასავლური პოლიტიკოსია. ამიტომ რუსეთმა

სრულიად სხვა ტექნოლოგია შეიმუშავა — საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენსის მკვეთრი დაცემა, რის შემდეგაც ხალხი ხელისუფლების შეცვლაზე დაიწყებს ლაპარაკს. მაშინ რუსეთი საკუთარ კანდიდატურას შემოგვთავაზებს.

— **გამოდის, რომ დივერსიებსა და ტერაქტებს კიდევ უნდა ველოდეთ?**

— დივერსიები არ მიიღებს ისეთ სახეს, რასაც ჩვენნი ტერორისტები სჩადიან მოსკოვში. წარმოდგინეთ რა მოხდება, თბილისში აფეთქებებს თუნდაც ერთი კაცის სიცოცხლეც რომ ემსხვერპლოს. ყველამ იცის, ვინ დგას ყოველივე ამის უკან. ასე რომ, ასეთ შემთხვევაში უფსკრული ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კარგად იციან რუსეთშიც. ამიტომ მათი გეგმა უფრო შორსმჭვრეტელურია: აფეთქებები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. იგი აუცილებლად იმოქმედებს ხელისუფლების რეიტინგზე, რომელიც თუნდაც ერთი ზამთრის განმავლობაში შეიძლება კატასტროფულად დაეცეს. ისევ წარსულს თუ გავისვენებთ, შევარდნაძის ერთ დროს დიდი რეიტინგი არაა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვამ, არამედ საბოლოოდ წლების მანძილზე არსებულმა ენერგოკრიზისმა დასცა.

— **ანუ რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას გეგმავს?**

— ეს მათი ოცნებაა, რომლის ასახედნად ყველაფერზე ნავლენ. ასე რომ, სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომელიც დროზე უნდა მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დივერსიები გამოწვეულ ენერგოკრიზისს ხალხი ხელისუფლებას მართლაც არ აპატიებს და რუსეთიც სანადვლს მიაღწევს.

— **თუკი ასეთი ინფორმაცია გაქვთ, მაშინ რეაგირებაც ძნელი აღარ უნდა იყოს.**

— სამწუხაროდ, ძნელი გასაგებია, როდის რა სახის დივერსია იგეგმება ამა თუ იმ მომენტში. თუ საჭირო იქნება, ენერგოობიექტები მთელ პერიმეტრზე უნდა დავიცვათ. ამით დივერსიათა რაოდენობას მაინც შევამცირებთ. არსებობს სხვა გზებიც. სასწრაფოდ უნდა დააპატიმრონ ის აგენტურა, რომელიც რუსეთზე მუშაობს. თუ ყველაფერი სწორად გაკეთდა, ვფიქრობ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ეს გეგმაც ასევე ჩაიფუშება.

დავით დვინიძე

ქვეყნის

ლიკვირებული
ელექტრონების
აფეთქებული
გარეობა!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ზუსტად არ ვიცით, ვისი დაგეგმილი იყო ეს ოპერაცია და რამდენ ხანს ემზადებოდნენ ამისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა ერთგვარი ებრაული „მოსადის“ კარტის გათამაშება — დაუსჯელი არ დარჩა ის პირი, ვინც ხელყოფდა ქვეყნის უსაფრთხოებას.

ჩვენი ინფორმატორის თქმით, ამ საქმის ერთგვარ გაგრძელებად იქცა კონფლიქტის ზონაში საქართველოს სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილის, პოლკოვნიკ მისხილ ქებაძის მოულოდნელი დაპატიმრება.

თვითონ პოლკოვნიკ ქებაძის აყვანის საბაბი — სოფელ ვარიანში, მის საცხოვრებელ სახლში ერთი პისტოლეტისა და სამი ხელყუმბარის აღმოჩენის ფაქტი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილის „გაფუჭება“ იარაღის და, მით უმეტეს, ხელყუმბარების (არც ერთი ჭკუათამყოფელი ხელყუმბარას თეთრეულში არ შეინახავს) გამო წარმოუდგენელია.

ჩვენი ინფორმატორის ვერსიით, პოლკოვნიკ ქებაძის დაკავება უშუალოდ უკავშირდება 12 ოქტომბერს განხორციელებულ სპეცოპერაციას — ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე ეჭვმიტანილია ოსური მხარისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებაში, რომელმაც კინაღამ ჩაშალა „ელექტროტერორისტის“ დაკავების მცდელობის სპეცოპერაცია. უკანონო იარაღის შენახვა კი საბაბი გახდა პოლკოვნიკ ქებაძის სასწრაფოდ დაკავებისა.

ჩვენი ვერსიის აბსოლუტურ სიზუსტეზე თავის დადება ძნელია, რადგან სპეცსამსახურები ცხრაკლიტულში ინახავენ ნამდვილ ცნობას, მაგრამ ერთი რამ უთუოდ მისასაღმებელია — თუკი მართლაც დაისაჯა სახელმწიფო ინტერესების მოწინააღმდეგე ტერორისტი, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება, ძველისგან განსხვავებით, ცდილობს, დაუსჯელი არ დატოვოს ის, ვინც საქართველოს ებრძვის.

ირაკლი ალადაშვილი

აქსონი ახალი მშენებარე სახლი მთხეთის ქ.17
(მთხეთის მთიდან)

პრაქტიკუმილის ქ.№14 გელ: 25 34 34; 91 25 34

ადვილი წარმოსადგენია იმ სამხედროს სახე, რომელიც საზენიტო „სტრელას“ კონტეინერში მრისხანე რაკეტის ნაცვლად „კოკა-კოლას“ გადაჭრილ, ცარიელ პლასტმასის ბოთლს აღმოაჩენდა!
თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებაში არსებული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის „სტრელას“ გასაშვები ათი კონტეინერიდან შეიღძი რაკეტის ნაცვლად ქვიშა აღმოჩნდა, ერთში კი რაკეტის ფორმის ორი საგულდაგულოდ გამოთლილი ხის ნაჭერი, რომლებსაც თავსა და ბოლოში „კოკა-კოლას“ გადაჭრილი პლასტმასის ბოთლის ბოლოები ჰქონდათ ჩამოტყული... მხოლოდ ორში აღმოჩნდა რაკეტა.

ისე, ჭორი, ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული „სტრელების“ გამართულობა საეჭვოაო — დიდი ხანია დადიოდა. ალბათ ამანაც ათქმევინა ყოფილ თავდაცვის მინისტრს უკვე ფრთიან ფრაზად ქცეული — რითი ჩამოვაგდო, „რაგატკით“?! „რაგატკისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ „კოკა-კოლას“ ცარიელი (და ვერც სავსე!) ბოთლით რუსულ ბომბდამშენს კი არა, ბელურასაც ვერაფერს დააკლევ. ან. 19 მაისს მაშინდელმა გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუჟურჩიძემ თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაავალა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი დანაკლისის მოკვლევა.

როგორც თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ირაკლი სამყურაშვილმა „კვირის პალიტრას“ უთხრა, ათ ცალ „სტრელას“ კომპლექსზე არ აღმოჩნდა საინვენტარიზაციო აქტები.

ეს უცნაური ამბავი კი 1999 წელს დაიწყო. ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურმა შეადგინა აქტი, რომლის თანახმადაც, 10 ცალი „სტრელას“ რაკეტა, სხვა საბრძოლო მასალებთან ერთად, გაიხარჯა ორფოლის პოლიგონზე წვრთნების დროს და ისინი ჩამოინერა.

მაგრამ 2000 წლის დასაწყისში თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ზურგის სამსახურმა გააუქმა საზენიტო რაკეტების ჩამოინერის აქტი და ათივე „სტრელა“ კვლავ შეიარაღებაში აღრიცხვავ იყვნენ. დღეს არ ჩანს, რატომ მოხდა ეს, მაგრამ კულუარულ საუბრებში აცხადებენ, მაშინ ორფოლის პოლიგონზე „სტრელები“ არავის უსვრიანო.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეს ათი „სტრელა“, ისევე, როგორც დანარჩენი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები (მათ საერთო რაოდენობას არ დავაზუსტებთ), არაერთმა კომისიამ შეამოწმა. ისინი აგრეთვე შეამოწმეს სამხედრო ნაწილის დაშლის შემდეგ სხვა ნაწილისთვის გადაცემის დროსაც.


ათივე „სტრელას“ მინიჭებული ჰქონდა მე-5 კატეგორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანი სასროლად უფარგისი იყო და უტილიზაციას ექვემდებარებოდა. თუმცა დანამდ-

საზენიტო „სტრელა“ „კოკა-კოლას“ შიგთავსით

გუშინ რიყის ქვები ხელყუმბარების ნაცვლად, დღეს მდინარის ქვიშა „სტრელების“ მაგივრად, ხვალ — მუყაოს ყუთები განკების კოშკურების სანაცვლოდ?!

ვილებით ვერავინ იტყვის, როდის ჩაიყარა ამ კონტეინერებში ქვიშა და ჩაიდო ცარიელი „კოკა-კოლას“ ბოთლი, რადგან წლების განმავლობაში არ მომხდარა ამ სარაკეტო კონტეინერების ინვენტარიზაცია საქარხნო ნომრების მითითებით!

ამ საქმეზე, რომელიც პროკურატურას გადაეცა, უკვე წინასწარ პატიმრობაშია აყვანილი ორი ოფიცერი, მათ შორის იმ ნაწილის ყოფილი მეთაური, რომელმაც ვითომდა ორფოლოს პოლიგონზე გასროლა ათივე „სტრელა“.



ჩვენი დონი: გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **СТРЕЛА 2М** შედგება ორი ნაწილისგან — გასაშვები მოწყობილობისა და სატრანსპორტო-გასაშვები კონტეინერისგან, რომელშიც პერმეტულად არის მოთავსებული თვითდამიზნებადი რაკეტა 9М32М.

თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მომზადებული აქვს გრძელი სია იმ ოფიცრებისა, რომლებსაც შემოწმებებისა და ინვენტარიზაციების დროს მათზე დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად შეუსრულებლობის გამო შეიძლება საყვედური გამოეცხადოთ. გენერალურ ინსპექციაში ასევე მომზადებულია მეორე, 9-კაციანი სია იმ მაღალჩინოსანი ოფიცრებისა (მათ შორის გენერალ-მაიორის), რომელთა მოქმედებაშიც იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის კვალი.

ფაქტობრივად, გამოირდა რიყის ქვებით შეცვლილი ხელყუმბარების საქმე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ხელყუმბარის ნაცვლად ქალაქში გახვეული ქვის აღმოჩენა ადვილია, რასაც „სტრელებზე“ ვერ ვიტყვი.

სატრანსპორტო-გასაშვები ერთჯერადი კონტეინერისთვის ხშირად ხუფის მოხსნა და შიგ ჩახედვა, იმის სანახავად, მართლაც არის შიგ თუ არა რაკეტა, რეკომენდებული არ არის, რადგან თუკი კონტეინერში პერმეტულად შენახული რაკეტის საბრძოლო ვარგისიანობა 15 წლით ისახლვრება, პერმეტულობის დარ-

ღვევის შემდეგ ეს დრო მნიშვნელოვნად მცირდება. ამიტომაც საინვენტარიზაციო კომისიების წევრების დადანიშნულება იმაში, კონტეინერებს ხუფები რატომ არ დახსენით და შიგ არ ჩაიჭყიტეთო, სამართლიანი არ იქნება. კონტეინერში მოთავსებული რაკეტის ვარგისიანობის დასადგენად არსებობს სპეციალური ელექტრონული აპარატურა, რომელიც საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს არ გააჩნდათ. მართო ხელით იმის შემოწმება, მართლა იდო თუ არა კონტეინერში რაკეტა, არც ისე

ადვილია, რადგან მასში დაახლოებით რაკეტის ნონის (9,15 კგ) ქვიშა ეყარა.

თუმცა, მაინც რჩება ეჭვი, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ათი „სტრელას“ ჩამონერის თავის თავზე ალბა (მაშინ უნდა გარკვეულიყო, სად „გაქრა“ ნამდვილი რაკეტები) არავის უნდოდა და თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ ახლანდელმა ხელმძღვანელობამ გამოაშვარავა ეს საქმე.

მართლაც, სად უნდა გამქრალიყო რაკეტები კონტეინერებიდან? „სტრელას“ ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, კონტეინერიდან ამოღებულ რაკეტას ვერაფერში გამოიყენებ. უფრო სავარაუდოა, რომ ცარიელი რვა „სტრელას“ კონტეინერი უბრალოდ შეიცვალა, ანუ კონტეინერში ჩადებული საბრძოლველად ვარგისი რაკეტები ჩაინაცვლა გასროლილი რაკეტების ცარიელი კონტეინერე-

ბით, რომლებიც შემდგომში ქვიშით აივსო, ხოლო ერთ-ერთში ხის ნაჭრებზე ჩამოცმული „კოკა-კოლას“ გადაჭრილი ბოთლი აღმოჩნდა (ჩვენი რჩევა გამოძიებას: „კოკა-კოლას“ ბოთლის ანალიზით და გამოშვების თარიღის დადგენით შეიძლება განისაზღვროს ამ ბოთლის „სტრელას“ ნაცვლად კონტეინერში ჩადების მიახლოებითი დრო). ამ ოპერაციას აადვილებდა ის გარემოებაც, რომ ამ ათი რაკეტიდან არც ერთზე არ არსებობდა საინვენტარიზაციო აქტი და არც კონტეინერების საქარხნო ნომერი იყო დაფიქსირებული.

ვის შეიძლება დასჭირვებოდა „სტრელები“? რა თქმა უნდა, მას, ვინც მას იყენებს ლოკალურ ბრძოლებში. მით უმეტეს, არსებობს ვერსია, რომ თითოეული „სტრელა“ დაახლოებით 5 ათას დოლარად გაიყიდა.

არსებობს ერთი წინააღმდეგობა: ყველა იმ „სტრელას“ სატრანსპორტო-გასაშვებ კონტეინერზე, რომლებიც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 1992-93 წლებში გადმოგვცა, გამოშვების თარიღი 1973-76 წლებში მერყეობს. იქიდან გამომდინარე, რომ „სტრელების“ საბრძოლო მდგომარეობაში შენახვის ვადა 15 წლითაა განსაზღვრული, უკვე გადმოცემის მომენტისთვის — 1993 წლისთვის, ყველა ამ „სტრელას“ გასული ჰქონდა საგარანტიო ვადა და ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ გამოცდილ ჩეჩენ მეზრძოლებს, რომლებსაც „სტრელებითა“ და „იგლებით“ 50-ზე მეტი რუსული საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი ჰყავთ ჩამოგდებული, ქართული არმიის საწყობებიდან მოპარული ვადაგასული „სტრელები“ შეესყიდათ.

ასეა თუ ისე, „სტრელების“ რაკეტების ნაცვლად ქვიშის აღმოჩენის შეიძლება საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვეს, რადგან, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, — „სტრელა“, ისევე როგორც „იგლა“ თუ „სტინგერი“, იარაღის ის ეფექტიანი საშუალებაა, რომლის ერთმა გასროლამ შესაძლოა მთელი ქვეყნის ან სულაც მსოფლიოს ბედი შეცვალოს, თუკი სამიზნედ რომელიმე პრეზიდენტის სამგზავრო თვითმფრინავი ან შვეულმფრენი აღმოჩნდება.

წელს აშშ-მა და რუსეთმა სხვა ქვეყნებთან ერთად მიიღეს დადგენილება, რომელიც ძალზე მკაცრ კონტროლს აწესებს კომპაქტური, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შენახვასა და გაყიდვებზე. ქართული არმიის საწყობებიდან თუნდაც ვადაგასული „სტრელების“ გაქრობა ძალზე საშიში პრეცედენტია, რაც რუსეთის კიდევ ერთხელ მისცემს საბაბს, საქართველოს ბრალი დასდოს მათ გაყიდვაში, ხოლო მეგობარ ამერიკელ გენერლებს კიდევ ერთხელ დააფიქრებს, დაეხმარონ თუ არა ქართულ არმიას საპაერო თავდაცვის მოწყობისთვის ამგვარი საზენიტო საშუალებების გამოცემის საქმეში.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

აფხაზეური „შინაგარჩევები“

ჩრდილოკავკასიელების დახმარება ქართველებთან ბრძოლაში დღეს უკან შემოუბრუნდათ აფხაზებს

აფხაზეთი დენთით სავსე კასრს წააგავს, რომლის აფეთქება რამდენიმე ძალას ერთდროულად სურს.

მათ შორის შეიძლება ქართული ინტერესებიც იდოს: თუკი აფხაზები ერთმანეთს წაევიდებიან პრეზიდენტის სკამისთვის და, შესაბამისად, ხელისუფლების ხელახალი გადანაწილებისთვის, ეს ოფიციალურ თბილისს ხელს უნდა აძლევდეს. ამის აფიშირება გამართლებული არ იქნება, თუმცა სრულიად მისაღებია, თუკი ქართული სპეცსამსახურები ხანდახან „ხელს“ შეაშველებენ ამ პროცესების დაქარვებას.

მეორე, გარეშე დაინტერესებული მხარე კვლავ მოსკოვია. მან, ფაქტობრივად, წააგვო პოლიტიკური თამაში, რასაც რაულ ხაჯიმბას გაპრეზიდენტება ერქვა და ახლა კრემლი იძულებულია, საქმეში „შიშველი“ ძალა ჩართოს, ოღონდ არა რუსეთის სამფეროვანდროშიანი ტანკები (ეს უკანასკნელი არგუმენტი იქნება), არამედ ჩრდილოკავკასიური ნახევრად ოფიციალური შეიარაღებული დაჯგუფებები.

თავის დროზე საბჭოთა КГБ-ს, ხოლო შემდგომში რუსული ФСБ-ს მიერ შექმნილმა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ“ არც ისე პატარა როლი ითამაშა აფხაზეთის ომში თბილისის დამარცხებაში. აქ უფრო მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ავტომატიან ადილეღთა თუ ჩეჩენთა ბრძოლა ქართულ სამხედრო დანაყოფებთან, არამედ იმ სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედება, რასაც კრემლი „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ საფარქვეშ ახდენდა.

აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ კრემლი დარწმუნებული იყო თავისი კანდიდატის

— ხაჯიმბას უპირობო გამარჯვებაში, მაგრამ თავად აფხაზების ინტერესებმა პრეზიდენტ პუტინის გეგმებში ბევრი მოულოდნელი ცვლილება შეიტანეს.

მოხდა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება. მასში გამარჯვების მისაღწევად კრემლი ნაცად ხერხს მიმართავს — აფხაზეთში ყოველგვარი სასაზღვრო პროცედურების გარეშე ატარებს „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ასობით წევრს, მათ შორის შეიარაღებულებსაც და სამხედროფორმირებებსაც.

მოსკოვი ცდილობს, ამჯერად „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ გამოიყენოს თავისი ინტერესების გასატარებლად და რაულ ხაჯიმბას გასაპრეზიდენტებლად, ანუ თუკი 12 წლის წინ „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ აფხაზებს ქართველებზე გამარჯვებაში ეხმარებოდა, დღეს აფხაზი ხალხის ურთიერთდაპირისპირებაში მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

ფაქტობრივად, აფხაზებს უკან უბრუნდებათ 1992-93 წლების მოვლენები — მათ ერთხელ უკვე მისცეს უფლება სხვებს — აქტიურად ჩარეულიყვნენ მათ სამინაო საქმეებში. ეს „სხვები“ კი დღეს აფხაზეთის უდიდესი ნაწილის დაუკითხავად უკვე თავად (უფრო სწორად, კრემლის დაკვეთით) ერევიან აფხაზების მომავალის გადანყვებაში.

ეს არ არის გასაკვირი — უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია — მოსკოვი ვერ შეეგუება დამოუკიდებელ აფხაზეთს, მას ყურმოჭრილი ვასალი უნდა შავი ზღვის სპირეთის მშვენიერ სანაპიროზე.

ასე რომ, დედის (საქართველოს) წინ მორბენალ კვიცს (აფხაზეთს) ან მგელი (კრემლი) შეჭამს ან მგლისფერი ძაღლი („კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“).



არ მინდა ჩრდილი მივაყენო გარდაცვლილთა ხსოვნას მხოლოდ იმისთვის, რომ მათი ნაშთები ნაძირალა გამოდგას. ამიტომ შევცვლილი გვარ-სახელით მოვისხენიებ იმ ადამიანებს, რომლებიც თანამედროვეთა უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ თუნდაც იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლე კომუნისტურ დიქტატურას ებრძოდნენ, რამაც ცოლ-ქმარს გულაგის მავთულხლართებს იქით ამოაყოფინა თავი.

ნომრიანი პატიმრები

ამონანერი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ივანოვის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსის ბრძანებობიდან:

„შინაგანი ციხის უფროსს, მის მორიგეებსა და თანამშემგებებს ევალებათ:

ა) საიდუმლოდ შენახვა იმ ფაქტისა, რომ ციხეში არიან ნომრიანი პატიმრები;

ბ) საიდუმლოდ შენახვა მათი სახელების, გვარების, წარმოშობისა და წარსულისა და ა.შ.

გ) გაქცევის მცდელობის, თავისუფალ მოქალაქეებსა და პატიმრებს შორის კავშირების აღმოფხვრა;

დ) არც ერთმა ზედამხედველმა არ უნდა იცოდეს მათი სახელი და გვარი, არ უნდა ეკონტაქტებოდნენ მათ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ისინი უნდა მოიხსენიონ პირადი ან საკნის ნომრით...

სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ვიქტორი, 16 აპრილი, 1947 წელი.“ პატიმართა სია თხუთმეტ ფურცელს მოიცავს. ჩვენ ორი პატიმარი, ბეთანელი და ბიგვაგა გვანტრესებს. ისინი ცოლ-ქმარი არიან, ქართველი მეცნიერები, ივანოვის მასლობლად ერთ-ერთ საპრობოლეში იხდიან სასჯელს. მართალია, როგორც სხვაგან, ქალები და კაცები აქაც სხვადასხვა შენობაში სხედან, მაგრამ დროდადრო ახერხებენ რკინის გისოსებიდან შესვლას ერთმანეთს. კაცმა არ იცის, როგორ მოხდა, რომ ცოლი და ქმარი ერთ საპრობოლეში აღმოჩნდა. უფველია, ჩეკისტებს რაღაც შემოღობა და ამას სულ მალე მწარედ ინახებენ, მაგრამ ჯერჯერობით, უფრო სწორად კი, აგერ, უკვე მესხეთე წელია, ცოლ-ქმარი მხოლოდ მათთვის ნაცნობი შიფრით ესაუბრება ერთმანეთს. ეს კი სხვა არაფერია, ხელეობით გადამხატული რაღაც ნიშნების გარდა, მაგრამ მთავარია, რომ მხოლოდ ამ ორმა იცის მისი გასაღები, მესამე ვერასოდეს შეიტყობს, რა ენაზე საუბრობენ ისინი.

აი, ახლაც, ნასადილევს, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვისმართო, ქალმა დაახლოებით ასეთი მესიჯი გაუგზავნა ქმარს:


— იცი, გიო, გაქცევა გადაწყვიტე. მართალია, პატიმრის პირობაზე აქ სულაც არაა გაუსაძლიის პირობები და შენც ახლოს მყავხარ, მაგრამ ერთხელ მაინც რომ არ დახვდეთ ჩემს გოგონას, შეიძლება მართლა შევიშალო.

პასუხი: — გაგიჟე? გაგიგია, რომ ვინმეს აქედან გაუღწიო? მით უმეტეს, ქალს? ეგ რამ გაფიქრებინა? უმჯობესია, ახლავე ამოიგდო თავიდან ეგ სისულელე და მომავლის იმედით იცხოვრო, ოდესმე ხომ ჩამთავრდება ეს დაწყევლილი სასჯელი. ზუთი წელი გავძიებ, ორჯერ ხუთსაც როგორმე ჩავათავებთ ან იქნებ მანამდე შეიცვალოს რამე. ეგ არ გაბეგო, იცოდე!

შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. ნინო წინდან-ინე იცოდა, რომ გიორგი ამას არ დასთანხმდებოდა. აქედან გაქცევის იდეა მართლაც სიგაჟე იქნებოდა და ამას თავისი გამართლებაც ჰქონდა, რადგან დღემდე არავის გაუღწევია გულაგებიდან. ის, ვინც ჩრდილოეთის მარშრუტი აირჩია, ყველაზე ყინულებში ჩარჩნენ, ან გაიყინენ, ან თეთრმა დათვებმა დაგვიტყვეს, სამხრეთისაკენ დაძრულებს კი გზაში ჩეკისტები ელოდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ნინოს რაღაც ისეთი მოეფიქრებინა, რომ გაღწევის დიდი იმედი ჰქონდა და ახლა მას ველარაფერი შეაჩერებდა. ხშირად იგონებდა ქართულ გამოთქმას — ქალმა თუ აიწყვიტა, ცხრა ულელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო და ტკბილმწარედ ეღიმებოდა.

— ან ერთხელ მაინც ჩავიკრავ მკერდში ჩემს ერთადერთ გოგონას, ან სულერთია, მასზე დარდით მოვკვდებიო, — არწმუნებდა საკუთარ თავს, თორემ საპრობოლეში, გარდა იმისა, რომ მოწყვეტილები იყვნენ გარე სამყაროს, არსებობა არ ჰქონდა. აქ ყველა პატიმარი იღებდა თეთრულის სრულ პაკეტს. ჰქონდათ ბიბლიოთეკა და შემოქმედებითი საქმიანობის უფლება (ძელივით ფურცლები, კალმისტრები და სხვ.). უქმე დღეებში მორწმუნე ეკლესიაშიც კი დაჰყავდათ. ჰქონდათ ბევრად უკეთესი კვება, ვიდრე თავისუფალ დამშეულ საბჭოთა მოქალაქეებს, მაგრამ ეს არავის უკვირდა, რადგან აქ, ამ საპრობოლეში, ყველა ისეთი ადამიანი იხდიდა სასჯელს, რომლებიც შესაძლო იყო, ყოველ წელს მოეცათ ხალხთა ბელადს და ვაი, იმ მეციხოვნის ბრალი, ვისზეც უპატივებდნენ, რომ პატიმრებს შიმშილსა და სიცივეში სული ამოხადო.

აქ იხიდნენ სასჯელს ყოფილი მინისტრები და მათი მოადგილეები, რაიკომის მდივნები და მათი ცოლები, გერმანელი ფელდმარშლები და საზოგადო მოღვაწეები, მაგრამ ახლა მათ მხოლოდ პირადი ნომრით თუ მიმართავდნენ. სხვა რეგალიებით აქ არავის მოიხსენიებდნენ და მაინც იყო ერთი კაცი, რომელიც ნინოს „ქალბატონო“ მიმართავდა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა სახლობლო არავის იდგას. სხვა შემთხვევაში ნინო ნომერი ასთექსმეტი იყო. ეს გახლდათ საშუალო ასაკს გადაცილებული მდაბიო რუსის ქალი, რომელიც აქ დამოუკიდებლად მუშაობდა. პატიმართა უმრავლესობა, რომელსაც წარსულში გამოჩენილი მდგომარეობა ეკავა, დღესაც ვერ გულობდა მდაბიოებს, ზემოდან დასცქერო-



იმ დღეს ეკლესიაში აუარება ხალხი ირეოდა. მართლმადიდებელი რუსები შობას დღესასწაულს აღნიშნავდნენ. საპრობოლეში მხოლოდ ქალები მიეყვანათ და რაკი მათგან ექსცესებს არ ელოდნენ, ბადრაგის წვერები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ პატიმრებს. ნინომ ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა და შეწევნა სთხოვა. იცოდა, თითქმის შეუძლებელს შესთხოვდა, მაგრამ იმის იმედით ჰქონდა, რომ ღმერთი არ გასწირავდა და მართლაც, ის იყო, ბადრაგს თვალი შეაგვლო, რომ გაძარში შუქი ჩაქრა...

და ასეთებს, მაგრამ ნინო სულ სხვა იყო. ქალს უმცროს დასავით ექცეოდა, ეფერებოდა, იცოდა, რომ დამლაგებელსა და მის ოჯახს პატიმრებზე მეტად უჭირდათ და როცა გაიგო, ქალს სიციხიანი შვილისთვის წამლის საყიდელი ფული არ ჰქონდა, სასწაულებრივად შემორჩენილი ერთადერთი ბუქედი წაიძრო თითიდან, — დუსია, დღესვე გაყიდე და ბავშვებს მოახმარე, სამკურნელებზე კი მერე ვიფიქროთ, როცა უკეთესი ცხოვრება იქნებაო, — ჩასწორწულა და საკნის კარამდე მიაცილა მოულოდნელი საჩუქრით უზომოდ გახარებული ქალი. მერე და მერე კიდევ უფრო დამეგობრდნენ და როცა გაქცევის გადაწყვეტილება მიიღო, ქმრის შემდეგ პირველს დუსიას გამოუტყდა ნინო.

— ვაიმე, ეგ რამ გაფიქრებინათ, ნინა სევერიანოვს? ასე ხომ დაიღუპები!

— მეექვსე წელი დაიწყო, რაც ჩემი გოგონა არ მინახავს. ისიც არ ვიცი, რა უჭირს, რა უღისის. რაც მოხდება, მოხდეს, უნდა წავიდე.

— მეც დედა ვარ და თქვენი კარგად მესმის, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, აქედან როგორ უნდა გაღწიო? ხომ იცით, ყველა სადგურში ჩეკისტები ჩხრევენ მატარებლებს, მით უმეტეს, როცა გაქცეული პატიმრის გამო განგაშია გამოცხადებული.

— ჰო, მაგრამ ისინი მარტოხელა ქალის ძებნას დაიწყებენ, მე კი ბავშვინი ვიქნები. ასე რომ, შანსი იზრდება.

— მერედა, სად არის ბავშვი, როგორ უნდა იშოვო, ნინა სერგეევნა?

— თოჯინას გავაკეთებ და მთელი გზა ძუძუს არ მოვამოვებ პირიდან, ვერ შემიტყობან.

— შეგეხებინა და მერე როგორ. ესენი აქ, საპრობოლეში, არიან ასე მოკრძალებულნი, თორემ გარეთ ნაგებობივით იყვებიან. არა, ასე არ გამოვა. მე შევეცდები ნამდვილი ბავშვი და „ქმარი“ გიშოვოთ. ვიცი, ვისაც უნდა მიგაციხოთ.

ნინოს წინააღმდეგობის მიუხედავად — ცოდო ხარ, არ მინდა ჩემი გულისთვის რაიმე შეგემთხვესო, — ორი დღის შემდეგ დუსია ჩურჩულით აბარებდა თავის კეთილისმყოფელს ანგარიშს.

— აქ ერთი გათასბრელი ქალი ცხოვრობს. ექვსი თვის ბავშვი ჰყავს, მაგრამ ხეირიანად არც კი იცის, ვისგან. ოღონდ თავიდან მოიცოცხლოს და თანახმა იქნება, ბავშვი პირველსავე შემხედდეს დაუთმოს. სხვათა შორის, ეს ქალი ადრე ჩემი ვიტას ცოლი იყო და განქორწინება დღემდე არა აქვთ გაფორმებული. მისი პასპორტიც ჩვენთან ინახება. გარეგნულად ძალიან გავით, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ამიერიდან თქვენ ლიუდმილა პაპანოვა ხართ და ქმარ-შვილთან ერთად მიემგზავრებით მოსკოვს თქვენთანების მოსანახულებლად. ვიტას მე მოველაპარაკები. თუმცა ვერ წარმომიდგენია, აქედან როგორ უნდა გახვიდეთ.

— მაგას მე მოვახერხებ, დუსენკა. შინ დამელოდე, მეტს ნულარაფერს მკითხავ...

ნათხოვარი სოცოცხლე

საპრობოლეში გაქცევა სარისკო იყო. ნინოს ერთადერთი იმედი ეკლესია იყო და რაკი იქ ბადრაგის თანხლებით ყოველ კვირა დღეს დადიოდა, ყველაფერი ზედმიწევნით შეისწავლა. წინააღმდეგობა გიორგის „ელაპარაკა“: „წურაფერს მკითხვე. მივდივარ და ღვთის მადლით, ალბათ გავაღწევ კიდევ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ კვლავაც ერთად ვიქნებით, თუმცა არ ვიცი, რამდენ ხანს უნდა ველოდოთ ამ დღეს, ნახვადის!..“ ხელი დაუქნია და ისე გაცეცხლა ფანჯარას, რომ კაცმა რაიმეს მინიშნება ვეღარ მოახსრო.

იმ დღეს ეკლესიაში აუარება ხალხი ირეოდა. მართლმადიდებელი რუსები შობას დღესასწაულობდნენ. საპრობოლეში მხოლოდ ქალები მიეყვანათ და რაკი მათგან ექსცესებს არ ელოდნენ, ბადრაგის წვერები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ პატიმრებს. ნინომ ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა და შეწევნა სთხოვა. იცოდა, თითქმის შეუძლებელს შესთხოვდა, მაგრამ იმის იმედით ჰქონდა, რომ ღმერთი არ გასწირავდა და მართლაც, ის იყო, ბადრაგს თვალი შეაგვლო, რომ ტაძარში შუქი ჩაქრა. ელექტრობას მიჩვეული თვალისთვის გზის გაგნება გაჭირდებოდა, მაგრამ ნინომ ეს სიბნელეც ღვთის ნიშნად ჩათვალა და ტაძრის კარს მიღმა მოკიფე პოლარულ ღამეს ისე შეერია, ეჭვი არავის აუღია... დუსიამ პასპორტი და ქორწინების მოწმობა დათქმულ ადგილას დაახვედრა ნინოს, მერე ვიქტორი აახლა, რომელმაც ცოლყოფილის სახლამდე მიაცილა ქალი.

— ლიუდმილა სემიონოვნა თქვენ ბოძანდებიო? — თანახიანად მიმართა ქობის ზღურბლზე მდგარ საკინძუმესხნილ და არყისგან თვალეზიმდრეულ მასპინძელს. როცა დარწმუნდა, ეს ის ქალი იყო, ვისაც ეძებდა, ამდენ ხანს საგულდაგულად გადამალული ძვირად ღირებული ოქროს საყურე ქალს გაუწოდა და ჯიქურ მიახალა: — გაგიგე, რომ ბავშვის გამწვლელს აპირებთ, ამაზე მეტს ვერავინ გადაგიხდით. თანაც იცოდეთ, თქვენი შვილის ბედნიერება ჩემს კარგად ყოფნაზე იქნება დამოკიდებული... — ლიუდამ თვალები ააფხვინა, მასში იმ წუთით დედურმა ინსტიქტმა გაიღვინა და ლამის უარის თქმა დააპირა, მაგრამ უმალვე გაახსენდა, რომ იმდენი ფულიც კი არ ჰქონდა, საღამოს ბავშვისთვის რძე და ბურღული ყყდა და საერთოდ, ამ ბავშვის გამო გამწარებული ჰქონდა ცხოვრება, ახლა კი აგერ, ოქროს სთავაზობენ მასში. რა დროს ბავშვია, როცა ხვალ დილით ნაბახუსევზე გამოსასვლელად კაპიციც არ გააჩნია. სახელდახელოდ შეახვია პატარა, გარედან სქელი პლუდი გადააფარა და მისულს ისე გადასცა, არც გვარი უკითხავს, არც სახელი, თუმცა მეორე დღეს, როცა დაბაში განგაში გამოცხადდა, საპრობოლეში ქალი გაიქცა, მან უკვე იცოდა, ვისაც გადასცა შვილი, მაგრამ იმის შიშით, ბავშვი უკან არ დაიმბრუნონო, კრინტიც არ დაუბრავს.

ნინო და ვიტა კი ამ დროს ბავშვიანად იმ მატარებლის კუბურს იხსდნენ, რომელიც მოსკოვისაკენ მიიქაჩროდა. იმ ღამეს დაიწყო №116 პატიმრის, ნინო ბიგვაგას ორწლიანი მოგზაურობა ლიუდმილა პაპანოვას, ანუ სხვისი სახელგანთით, უფრო სწორად კი ნათხოვარი სოცოცხლით. როსტოვამდე ისე ჩამოაღწია, ეჭვიც არავის აუღია, არადა, თითქმის ყველა სადგურში ამონებდნენ საბუთებს, მაგრამ პასპორტის ფოტოსთან მსგავსება იმდენად თვალში საცემი იყო, თანაც ქალს ბავშვი და „ქმარი“ ახლდნენ, სიტყვა არავის დასცდნია.

საქართველოში ჩასვლა არც უფიქრია, იქ ალბათ უკვე ელოდებოდნენ ქართველი ჩეკისტები. როსტოვში დარჩა ერთ თავის სტუდენტობის დროინდელ ამხანაგთან. მალე სამწუხარო ამაზე შეიტყო — ბებიაშის ახარა დარჩენილი პატარა ლია ჯერ კიდევ გასულ წელს დაღუპულიყო მალარიით. ბებიაც მის დარდს გადაჰყოლია, ბაბუა კი, ნინოს დაუძლურებულ იმამა, სიძის, გიორგის ბუთანელის ძმამ, გურამმა შეიფარაო.

თითქოს კლდედ იქცა ქალი, სიტყვის უთქმელად გავიდა გარეთ. ზემოდან დახედა ეზოს ბოლოს გამავალ ლიანდაგს და მოახლოებული მატარებლის ხმაურს მიუგდო ყური. იფიქრა, — კარგი იქნება, თუ მატარებელს ჩაუვარდებიო. ნაბიჯიც წადგა წინ, მაგრამ უმალ მოთოვა თავი. ოთახში ფეიქავდა ჩველი გოგონას ციციქა გული, რომელსაც თავისი სიკვდილით გასწირავდა, რადგან ბავშვს არც დედა ჰყავდა და არც მამა. ამ საცოდავმა რაღა დააშავა, რატომ უნდა გაინანოლოს ჩემი უბედურებო, დაასკვნა და შინ შებრუნდა.

ლამით ცხარე ცრემლით დაიტირა შვილი... 1953 წლის მარტი იდგა. ერთი კვირის შემდეგ კი პროლეტარიატის საბჭოთა ბელადი დაიტირეს ადამიანებმა. მოგვიანებით, ხრუშჩოვის „ოტტებელიც“ მოიტოვეს უკან. მერე გულაგიც დაიკალა პატიმრებისაგან. გიორგიც შინ დაბრუნდა და ნინოც გამოვიდა სამალავიდან... თავისი პატარა გოგონა, რომელსაც ლია დაარქვეს... ცხოვრებას ისევ მიეცა აზრი. გიორგი სამსახურს დაუბრუნდა, ნინოც შეეშველა და კვლავ გაღვივდა მათი კერა. ეგ იყო, ცოტა რომ წამოიზარდა გოგონა, ისეთი ზნე გამოამყვანა, რომ გამზრდევები ჩაფიქრდნენ კიდევ. გაიზრდება და დადინჯდებაო, თავს იმპიდებდნენ გიორგი და ნინო, მაგრამ მოხდა პირიქით. მესხეთე კლასში იყო, ხმა რომ დაუბოხდა. ყველაფერზე უპაყოფილო სულ ჩხუბობდა. მერე და მერე ერთ ამბავს ტყბდა, მისთვის სასურველ ნივთს თუ არ უყიდდნენ. ერთი სიტყვით, უფარგის გამოდგა, მაგრამ ცოლ-ქმარს შვილივით უყვარდათ და მის სიგლახს თავიანთ თავს აბრალდებდნენ — ალბათ აღზრდაში რამე შეგვეშალაო. საუბედუროდ, ასე არ იყო, უბრალოდ, კვიცი გვარზე ხტოდა.

მერვე კლასში რომ გადავიდა, სწავლაზე სულ აიღო ხელი და შუალამდე შინ აღარ ბრუნდებოდა. ისე გათავსდდა ერთხელ, რას ჰქვია, ზღვაზე მარტოს არ მიშვებოდა და ხელითაც შეეხო ნინოს. აბა, სამგზავრო ფული გადმოალავეთო, რომ აჩხავლდა, მოთმინების ფილა ავესო გიორგის და თავხედს ისეთი სილა სტკიცა, გოგონა დაკარგული მისკდა კედელს. რამდენიმე დღე კატასავით ფხვარეფით დაიარებოდა, თუმცა მაინც თავისი გაიტანა — ფული დასცინცლა გამოზდელებს და გაგრას მიაშურა.

მღვა, ყვავილები, სისხლი

რესტორან „გაგრიფში“ ჩვეულებრივად ხალხმრავლობა იყო. ორკესტრი საცეკვაო ჰანგებს უკრავდა და წყვილები თავბრუდამხვევად ტრი-ალბედნენ დარბაზში. რესტორნის წინ მარტო-მარტო იდგა ასე თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ტანკენარი ქალიშვილი და ბოროტი მხერით აცილებდა ხელისელგადახვეულ წველებს. გოგონს იმდენად ხალვათად ეცვა, არ შეიძლებოდა თუნდაც ამის გამო არ მიეციათ ყურადღება.

— ლია, ჯერჯერობით ვერავინ შეაბი? — დამცინავად ჰკითხა მოხდენილ კავალერთან ერთად დარბაზიდან გამოსულმა მისმა თბილისელმა ნაცნობმა და გესლიანად ჩაიხიხითია.

— გაიარე, მაგისტანა კუბიშვილი რომ მიწოდეს, ბარე თხუთმეტი ვიშვიდი, — ისე შეუღრინა, კაცი იფიქრებდა, ეს-ესა ყელში ეცემო და არც ეს იქნებოდა გასაკვირი იმ გოგონას, რომელიც დედასაც კი იმეტებდა საცემრად, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. ერთბაშად ლიას წინ ვილაც გაეკაცა აღიმართა და სასმელისაგან გათამამებულმა ხელი გაუწოდა — გამარჯობა! მე ტარიელი ვარ, ძნელად, მოდი, ვიცეკვით. იქ, დარბაზში, ჩემი მეგობრები არიან გოგონებთან ერთად, მე კი მარტო ვარ, შემიცოდე რა! ის იყო, უნდა გაჰყოლოდა, რომ ლიამ თვალი მოჰკრა კიბეზე ამომავალ ბიჭების გუნდს და მზერა მათზე გადაიტანა. იფიქრა, ეგებ უფრო მოხდენილი კავალერი დავითირო, მაგრამ ესეც დაკარგა, რადგან ტარიელს მეგობრებმა მოაკითხეს და ლიამ აშკარად გაიგოთა ერთ-ერთი მათგანის ნათქვამი, — ნამო, ბიჭო, რას ატორლიალე-ბულხარ მაგ კაპასო?

ამ დროს ლიას ერთმა გაღვივებულმა ლოთბაზ-არამ წავლო ხელი და დარბაზის შუაგულში შეათრია, ორივე ხელი წელზე მათვია და ცეკვა დაიწყო. კი არ აცეკვებდა, დათირვდა ქალს, რომელმაც თვალით მოქებნა ტარიელი და აგრძნობინა — შენი იმედი მაქვს, მიწველეო. ამასობაში ლიას პარტნიორს მისი მძაკაცები აქებდნენ — სალო, გიგო, სად გაჩითე ეს გვრიტი, მიდი, დაიჭირე, თორემ გაქცევას აპირებ...

ერთხანს უყურა ტარიელმა გოგონს საცოდობას, მერე გულმა აღარ მოუთმინა და საცეკვაო მოედნისაკენ გასტყდა, კაცს ხელი წავლო, ხელი ამოუგრინა და გოგო გამოსტაცა.

— ნამიყვანე აქედან, — შევედრა ქალი. ბიჭს სისხლი აუვარდა ისედაც შესურებულ თავში. გოგო, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ცეკვებზეც კი ვერ დაითანხმა, ახლა თვითონ სთავაზობდა თავს. ბევრი არ უფიქრია, ხელი ჩაჰკიდა და გასასვლელისკენ გაემართა, სადაც უკვე ელოდნენ გიგოს მძაკაცები. ის იყო, ზღურბლს გადააბიჯა, რომ ერთმა ფეხი დაუდო ბიჭს. ნაფორსილებულს მეორემ სახეში დაუხვედრა წიხლი, მესამემ ზურგიდან ჩაარტყა და მერე ხუთი კაცი მისდა ერთს. დაუზოგავად სცემდნენ, ვიდრე ტარიელის მეგობრები არ გამოერკვნენ, თუმცა უკვე გვიანი იყო. მართალია, გიგოს მძაკაცები გაიქცნენ, მაგრამ დანით გულში დაჭრილი ბიჭი ისე სრიალებდა, აშკარა იყო, სამაქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციელებს მხარამოვარდნილი გიგო შერჩათ ხელი. იმავე ღამეს მკვლელებიც დასავეს, მაგრამ ვერავინ გაიგო, ვინ იყო ან სად გაქრა ის მაცდური გოგო, ვის გამოც მოკვდა სწავალი ბიჭი.

ლია კი არც სულელი იყო, იმ ადგილებში გამოჩენილიყო, ამიტომ იმავე ღამეს თბილისში დაბრუნდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

არ გათვითრდების ყორანი...

— ნინო, ხომ გუბნებოდი, გარდამავალი ასაკი აქვს და მალე ყველაფერი გაივლის-მეთქი. მთელი თვეა, რაც გაგრიდან დაბრუნდა და დღედაღამ წინგნებს ჩაჰკირკიტებს.

— ვხედავ, გიორგი, როგორ არ ვხედავ. ყოველ შემთხვევაში, მინდა მჭეროდეს, რომ ასეა.

— გახსოვს, რა ისტერიკებს ტეხდა, ძაღლე-ბი მოაშორეთ აქაურობასო, სულ მიკვირდა, კას ერჩოდა ამ უწყინარ ცხოველებს. ამ დილით კი ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეფერებოდა ორივე ძაღლს.

— გამოვიდს, რომ ძაღლებიც შეირიგა? აქამდე ახლოსაც არ იკარებდნენ.

— კი, კი, შეირიგა და როცა ადამიანი ცხოველს უშეგობრდება, ეს ნიშნავს, რომ იგი სრულყოფილებისკენ მიიღტვის.

— ღმერთმა გიმსინოს, გიორგი. მეტი ვინ დაგერჩენია ამქვეყნად, ან ეს ქონება რად გვინდა, ან სახლ-კარი.

არ უჭირდათ — ვეებერთელა სახლი, რომელიც გიორგიმ მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო, თბილისის პრესტიჟიულ უბანში, საკმაოდ განიერი ეზოში იდგა. გემოვნებით ჰქონდათ განყო-

ნათხოვარი სიცოცხლე

ბილი სახლი — არც ანტიკვარული ჭურჭელი აკლდათ და არც ფერწერული ტილოები. გიორგი სამეცნიერო ნაშრომებში იმდენად მაღალ პონორარებს იღებდა, რომ გოგოსთვის საქონილო და სამზითოვო ფული კარგა ხნის წინ ჰქონდა გადანახული და ახლა, როცა დარწმუნდა, რთულმა პერიოდმა გაიარა, დადინჯდაო, ღია გულში ჩაიკრა და დიდი ხნის ნამალავი გაანდო.

— არა, მამა, ისედაც გაგამწარეთ. მე გათხოვებას არ ვაპირებ. კაცმა არ იცის, რა ზნე აღმოაჩნდება ჩემს ქმარს. აღარ მინდა კიდევ ერთხელ მოგინამლოთ სიცოცხლე. ვისწავლი და შევეცდები, შენი და დედას გზა გავაგრძელო მეცნიერებაში. ასე ავიღებებს.

— მე კი ამ სიბერეში მეცნიერებას შეიღიშვილები მირჩენია, მაგრამ ძაღლს არ დაგატან, შვილო, ოღონდ წარსული დაივიწყე და... — გიორგის ცრემლი მოადგა თვაღზე. გოგოს ერთხელ კიდევ მიუღერსა და თავის ოთახში გავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, შუალამისას, ჯოჯოხეთი დატრიალდა ოჯახში. მძინარეებს ნიღბიანი ბანდიტები დაადგნენ თავს. კაცს ხელ-ფეხი გაუკრეს და ქალებს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. სახლში იმდენი ძვირფასი ნივთი იყო, რომ ყველას ეყოფოდა. ესენი მაინცდამაინც ფულსა და ოქროს ითხოვდნენ.

— თუ ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებთ, თქვენს გოგონას აი, ამ დანით დავუსერავთ სახეს! — დაუღრინა ახმახმა ნიღბიანმა ნინოს და ლილავიანი დანა გამშალა.

უცებ ღიამ არაადამიანურად იკივლა — არაფერიც არ გვაქვს... გინდ დამსეროთ და გინდ ყელი გამომჭრათ, არც ფული გვაქვს და არც ოქრო, აქედან გაეთრიეთ, თქვე ასერებო. დაისხიმეთ, აქ თქვენი არ უმინიათ, გარენერბო.

— ასე ხომ? შენს თავს დააბრალე, ლამაზო, და ახმახმა ის იყო, დანიანი ხელი შემართა, რომ წინომ იკივლა — ღვთის გულისასთვის, ღიას ნურაფერს აწებთ და ყველაფერს მოგცემითო... გამთენიისას მილიცია მოვიდა. სამივენი დაჰ-

„სამოქალაქო განათლების ახალგაზრდული ცენტრი“

„დევნილთა და ღგოლვილთა სამოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“

საინფორმაციო ბიულეტენი დევნილთათვის
რა უფლებებით სარგებლობს დევნილი კომპაქტური განსახლების ობიექტების პრევატებისას? გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ ნათლად განსაზღვრავს, ერთი მხრე, დევნილის უფლებას თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი და მცირე მხრე, სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს დევნილი საცხოვრებელი ფართით. „ყოველ იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება“, პრინციპი მე-14 ამდენად, ყველა დევნილს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და ამ უფლების რეალიზების გარანტი სახელმწიფო უნდა იყოს. „იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ დაცული იყვნენ იძულებითი დასახლებისგან ისეთ ადგილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება,“ პრინციპი მე-15 ეს პრინციპი კიდევ ერთხელ ამასვილებს ყურადღებას დევნილთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობათვის უსაფრთხო გარემოში განსახლების უფლებაზე. მსგავსი გარემოს შექმნა და უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფოს და მისი შესაბამისი ორგანოების ვალდებულებაა. „ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს შესაბამისი ადეკვატური ცხოვრების უფლება. როგორც მინიმუმი, ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ნებისმიერ ჰითარებაში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თავშესაფრისა და საცხოვრებლის უსაფრთხოდ ხელმისაწვდომობა,“ პრინციპი მე-18 აწინშნული პრინციპები გაეროს ყველა წყერი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის, საქართველოსათვის, სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენს. სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს დევნილთა უფლებების დაცვის გარანტი. სახელმწიფო „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა“ შესახებ კანონით აკისრებს ვალდებულებას ღტლოვლითა და განსახლების სამინისტროს, დაენმაროს დევნილებს საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში და დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაში. თუ თქვენ ცხოვრობთ სახელმწიფოს მერ დროებითი სარგებლობისთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ფართში, შესაძლია თქვენი საცხოვრებელი მოხვდეს სპარიტატზაციო ნუსხაში ანუ სახელმწიფოს გადაწყვეტილებით დაექვემდებაროს გასწიფებას. ბუნებრივია, ამ დროს დადგება თქვენი გამოსახლების საკითხიც. ამ შემთხვევაში აუცილებელია იცოდეთ, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა“ შესახებ კანონის მე-7 მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ თქვენი გამოსახლება კომპაქტური განსახლების ობიექტებთან დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) სახელმწიფო თქვენთან გაყოიმებს შეთანხმებას; ბ) გამოვიყოფთ შესაბამის საცხოვრებელ ფართს, რომლითაც არ გაუარესდება თქვენი საყოფაცხოვრებო პირობები. თუ ადგილი აქვს დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართის პრევატზაციას, სახელმწიფო ვალდებულია დევნილთა გაფორმოს შეთანხმება ან გამოუყოს მას შესაბამისი საცხოვრებელი ფართი. სახელმწიფოსა და დევნილს შორის გაფორმებული შეთანხმებით შესაძლია გამოსახლების სანაცვლოდ დევნილს მიეცეს კომპენსაცია, რის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ფართის შეძენა ან გარკვეული ვადით დაქირაება. კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს გამოსახლების სანაცვლო კომპენსაციის ოდენობას, მაგრამ კანონი მკაფიოდ და ნათლად ადგენს, რომ დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ფართის პრევატზაციის შედეგად დევნილი არათუ არ უნდა დარჩეს დროებითი საცხოვრებელი ფართის გარეშე, არამედ უნდა მოხდეს ისეთი ფართის გამოყოფა, რომელშიც ცხოვრება არ იქნება საზიანი დევნილთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რომლითაც არ გაუარესდება მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ამდენად, თუ სახელმწიფო ვერ ახერხებს დევნილთან შეთანხმების გაფორმებას და გარკვეული საკომპენსაციო თანხების შეთავაზებას, ის ვალდებული ხდება გამოსახლებისას უზრუნველყოს დევნილი სხვა შესაბამისი საცხოვრებელი ფართით. თუ თქვენი დროებითი საცხოვრებელი ფართის

პრევატზებისას და გამოსახლებისას შევექმნებით პირობებში, შეგიძლიათ საერთო წესით მიმართოთ სასამართლოს და შეიტანოთ სარჩელი იმ პირის, ორგანიზაციის წინააღმდეგ, ვინც არ გაითვალისწინა ანდა დაარღვია თქვენთვის კანონით მონიჭებული და გარანტირებული უფლებები.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, დევნილთა გამოსახლება დროებითი განსახლების ობიექტიდან შესაძლია მოხდეს, თუ:

ა) ადგილი აქვს ქვეყანაში სტიქიურ ან სხვა მოვლერხს, რაც არ ითვალისწინებს კომპენსაციას;

ბ) თუ დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

თუ სახელმწიფო გამოეპასალებთ თვითნებურად (შესაბამის ნებართვის გარეშე) დაკავებული ფართიდან ადმიონდება, რომ თქვენ რეალურად სხვა საცხოვრებელი არ გავანჩიათ, გასწოდეო, სახელმწიფო მაინც ვალდებულია დაუაკმაყოფილოთ დროებითი საცხოვრებელი ფართით.

საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ მუხლი მე-7 ადგენს:

3. საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ორისდეიციის ადვოკატმა დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებთან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) დევნილთან იდება შეთანხმება;

ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;

დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით (18.12.2001, №1119)

განსწოდეო, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან დევნილთა გამოსახლება შესაბამისი კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ ან სხვა საფუძვლით არ გამოიწვევს დევნილის სტატუსის შეჩერებას, დაკარგვას ან ჩამოთმევას.

როგორ მოვიპოვოთ საჯარო ინფორმაცია

ხელისუფლება ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, ენაიდან სწორედ ხალხია ხელისუფლების წყარი. სწორედ ამიტომ საზოგადოების უფლება აქვს, იცოდეს, თუ როგორ იხარჯება მის მიერ გადახდილი გადასახადი, ასევე, სახელმწიფოსათვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებები, რომლებიც ისევ ხალხის კეთილდღეობას და ქვეყნის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ამ უფლების განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გაცნობის და ადამიანის უფლებების რეალიზაციის მოთხოვნის გზით.

ხმარად სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული სხვადასხვა შეღავათია თუ დახმარებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს სწორედ ინფორმაციის არარსებობის გამო, რაცაც ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო მოხელე პირადი ინტერესებისათვის იყენებს. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აქტიურობის და საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნების ზრდას.

საქმიანსაწვდომია თუ არა საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაცია ღაა და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის მოუხდავად იმისა, ინფორმაციის მომთხოენი საქართველოს მოქალაქეა, მოქალაქეობის არმქონე პირი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე. ფიზიკური პირია იგი თუ ორგანოელი.

საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს სხვადასხვა ფორმით. მაგ: დოკუმენტის, ნახაზის, ნახატის, ელექტრონული სახით და სხვა ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მოუხდავად მისი შენახვის ფორმისა.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ინფორმაცია ინახება სხვადასხვა ფორმით, პირს უფლება აქვს:

* თავად განსაზღვროს, თუ რა ფორმით სურს ინფორმაციის მიღება;

* გაეცნოს ინფორმაციას ღღენმა;

* მოითხოვოს ან ინფორმაციის ასლი.

თუკი არსებობს ღდენის დაზიანების საფრთხე, მაშინ საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გაცნობის შესაძლებელია მისი ზედამხედველობის ქვეშ ან მან უნდა წარუღდინოს პირს სათანადო წესით დამოუ-

მებული ასლი.

დაუშვებელია რაიმე საზღაური დაწესდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ასლის გადაღებისათვის გათვალისწინებული ხარჯის გარდა.

30ს უნდა მიჰმარტოთ და როგორ უნდა გამოვიძიოთრომ საჯარო ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოძირობა შესაძლებელია ნებისმიერი საჯარო დაწესებულებაში

საჯარო დაწესებულება არის ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის ორგანიზაცია, სახელმწიფო ან ადგილობრივი მოუეცების სახსრებდან დაფინანსებული კერძო სამართლის ორგანიზაცია, ასეთი დაფინანსების ფარგლებში, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

ხმარია ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ინფორმაცია არ ინახება იმ დაწესებულებაში, რომელსაც პირმა მიმართა. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არა უგვიანეს 5 დღისა, ეს განცხადება გადაუზაწვოს იმ უწყების, სადაც ინახება მოთხოვნილი ინფორმაცია. ამის თაბაზე განმცხადებელს, გადაგზავნიდან 2 დღის ვადაში, აუცილებლად უნდა ეცნობოს. ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული და იგი უნდა ატარებდეს წერილობით ფორმის.

ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია წერილობითი განცხადების წარდგენა. სასურველია, განცხადება დაიწეროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე, თუქცა, შესაძლებელია განცხადება დაიწეროს უწყების ხელმძღვანელი პირის სახელზეც.

ინფორმაციის მოთხოვნაზე შეტანილი განცხადება შესაბამისმა მოხელემ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ამის შემდეგ იგი ვალდებულია თქვენი მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაამოიყურო განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

უჭიროებაა, განცხადება შედგენილ იქნას ორ გვზე-პლარად, რომელთაგანაც ერთი ჩაბარდება ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო მეორე გვზემპლარზე ხელი უნდა მოაწეროს განცხადების მიმღებმა და მოუითოს მისი მიღების თარიღი. ეს განცხადება რჩება განმცხადებელთან და იგი წარმოადგენს საბუთს, რომელიც დავის შემთხვევაში დადასტურებს პირის მიერ კონკრეტული უწყებისადმი მიმართვისა და ინფორმაციის გამოთხოვის ფაქტს.

თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემოთ მოყენილი ორი წესიდან ერთ-ერთით, მაგრამ განსწოდეო, აუცილებლად უნდა გქონდეთ განცხადების ჩაბარების შესახებ დადასტურება.

განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ უნდა შეიკრფეს შემდეგ რეკვიზიტებს:

* იმ სახელმწიფო ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავენ ინფორმაციისთვის;

* თქვენს ენაბას (სახელი და გვარი) და მისამართს;

* მოთხოვნილი ინფორმაციის ჩამონათვაღს;

* თარიღსა და ხელმოწერას;

განსწოდეო: თქვენი არ ხართ ვალდებული, განცხადებაში მოითხოვოთ, თუ რატომ, რისთვის გვჭირდება ინფორმაცია. არავის აქვს უფლება, ამასთან დაკავშირებით მოგთხოვოთ ახსნა-განმარტება.

რა პალაში უნდა მიგაწყოღონ ინფორმაცია

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ!

სიტყვა „დაუყოვნებლივ“ ნიშნავს იმას, რომ განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ განცხადების განხილვას და უმოკლეს ვადაში გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია. იგი ვალდებულია, დამოუკიდებლად მიიღოს ეს გადაწყვეტილება და ამისათვის მას არ სჭირდება ზემდგომი თანამდებობის პირის თანხმობა.

რეგ შემთხვევაში ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა შეუძლებელია. კანონი, ბუნებრივია, ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს და ამისათვის გამოძალისის სახით ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემის 10-ღლიან ვადას. ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი 10-ღლიანი ვადა გამოიყენება მხოლოდ სამ შემთხვევაში, ეს შემთხვევები ამომწურავადაა ჩამოთვლილი ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა გარემოებებისა და სიტუაციებისთვის. ინფორმაციის გაცემისათვის ათღლიანი ვადა გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

კითხეს და საქმის ძიებას შეუდგნენ. თუმცა ეწრაფვრით ახსნეს, ასე უზმაუროდ როგორ შეეიდნენ ბანდიტები სახლში, რომელსაც ორი ვეებერთელა კავკასიური ნაგაზი იცავდა და უცებ ერთ მებზბეულს გაახსენდა, რომ წუხელ, გვიან ღამით, როცა დაძინების წინ თავისი სახლის აივანზე სარეცას კრეფდა, შეწინშა, როგორ შეამწყვდია სადგომში ორივე ძაღლი ღიამ, რაც დიდად გაუკვირდა, რადგან ამ დროს მამამისი ძაღლებს უშვებდა ხოლმე.

— მოკვტე, შეწი! — ეს უკვე ძველი ღია იყო.

ზიზღსა და ბოროტებას აფრქვევდა მისი თვალები.

— ღმერთო, რისთვის დაგესაჟე ასე?! გველი გამიზრდა საკუთარ უბეში. წყეულობი იყავ, სატანის მოდგმაჟ! — კიდევ რალაციის თქმას აპირებდა თავზარდაცემული წინო, მაგრამ გულმა უმტყუნა, უღონოდ მიესვენა მებზბლის ფეხებთან.

P.S. გამოძიებამ ღია ბეთანელს ბანდიტების თანამზრახველობა დასდო პრალად და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ სტრიქონების ავტორს უნახავს, როგორ აკითხავდა მას მოტროსოვის ქუჩაზე მდებარე ქალთა კოლონიაში მოხუცი ცოლ-ქმარი სანოვავით ხელში.

გაუა გაგაშელი



დეკანოზი
პანტელეიმონ
გედევანიშვილი

ახალმონაზონი

მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში მომხდარი მოვლენები მიზეზთა გამო დიდხანს იყო გასაიდუმლოებული, მაგრამ ისტორიის ამ მონაკვეთის გრაგინებისა და მნიშვნელობის გაგება სარწმუნოებისათვის ღვაწლმოსილ და წამებულ ადამიანთა სახელების გარეშე ხომ შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ისე მოეწყო, რომ სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებმაც თავიანთ ახალმოწამეებსა და მოღვაწეებს დროულად მიაგეს საკადრისი პატივი, ჩვენში ეს საქმე საკმაოდ დაგვიანდა. მართლაც სულისშემძვრელი და საკვირველია ქართველ ახალმოწამეთა და მოღვაწეთა ბედი და კიდეც ის, თუ რას ვგერძნობდით საგულდაგულოდ მიჩქმალულ ამ სახელებთან შეხებისას...

„კვირის პალიგრაფი“ გადაწყვიტა, მოიძიოს ამ ღვთის კაცთა ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი დოკუმენტები, ფოტომასალები, შეხედეს იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვთ მათი მოწამებრივი მოღვაწეობა... ეს კი, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ ვფიქრობთ, პერიოდულად მაინც გვექნება საშუალება, ჩვენი მკითხველი შევახვედროთ არცთუ ისე შორეული წარსულიდან გადმოსულ წინაპართა მშვერას...

ბადრაგის მეთაურმა სერგო ორჯონიკიძის ნაჩუქარი მაუზერით პირველი სწორედ მამა პანტელეიმონი ჩაცხრილა



1916 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავარსეპისკოპოსო კრება, ცენტრში — საქართველოს უკანასკნელი ეგზარქოსი პლატონი (როფდესტვენსკი). უკანა რიგში, ცენტრში პანტელეიმონ გედევანიშვილი

კავთისხვევლი მოძღვრის ამბავს დიდხანს მალავდნენ: არავინ წერდა მამა პანტელეიმონ გედევანიშვილის თავგანწირვის შესახებ, თუმცა მამის, როდესაც სასიკვდილოდ გაეცემულ საცოდავ გლეხებს, ანუ „მშრომელი ხალხის კლასობრივ მტრებს“ მან კალთა გადააფარა და პირველი ტყვიის სამიზნე თვითონ გახდა, ამაზე ყველა ლაპარაკობდა, თუმცა ჩუმად. ზოგი ამბობდა, ხომ ვთხოვდით, არსად წასულიყო, ზოგიც — პირიქით, საქციელს უწინებდა, მაგრამ ჩუმად, თავისთვის...

ყველამ, ვინც თუნდაც ზერელედ იცნობს საქართველოს ეკლესიის ისტორიას თუ არა, ზოგადად, უახლეს ისტორიას მაინც, იცის, რა მძიმე იყო მისთვის 1924 წელი: დამოუკიდებლობაზე მოსახლეობა ბოლშევიკურ ბორკილებს ვეღარ ეგუებოდა და შურისძიებისათვის იწყებდა სამზადისს. გორის მაზრის ერთ-ერთი სოფლის, კავთისხევის ეკლესიის დეკანოზმა, პანტელეიმონ გედევანიშვილმა ამის შესახებ იცოდა და ისიც მოეხსენებოდა, რომ ამბოხი უეჭველი მარცხისათვის იყო განწირული — იქაურ ახალ-

გაზრდებს გული და ჯანი კი ერჩოდათ, მაგრამ არც სერიოზი იარაღი ჰქონდათ და არც სამზადისისათვის საკმარისი დრო. იმ დროისათვის უკვე ხანდაზმული მოძღვარი ავად იყო — ხურვებისაგან იტანჯებოდა.

მამა პანტელეიმონი ნათლად ხედავდა ნაჩქარევი და მოუშაადებელი ამბოხის მოსალოდნელ შედეგებს და ქვათახევის მონასტრის მესვეურებს შეევედრა, ამ უღვთო ბოლშევიკებს ქრისტიანების სისხლს ნუ დააღვრენინებთო, საფრანგეთიდან ფარულად ჩამოსულ აგენტებსაც ემუდარა, ნუ დაიდებთ ამ საწყალი, ფეხშიშველი ბიჭების ცოდვასო, მაგრამ ვინ მოუშინა?!

საშინელება დატრიალდა: ფილთა თოფებით შეიარაღებულ მეამბოხეებს ბოლშევიკებმა რეგულარული არმია, არტილერია და ჯავშნოსანი მატარებელი დაახვედრეს... სისხლიანი კალოები გაიღწა... მეამბოხეთა მცირე ნაწილმა თავს კი უშველა, მაგრამ უმრავლესობა ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა... წითელმა ტერორმა, რომლისთვისაც უბრალო და ბრალიანი ერთი იყო, კავთისხევაზეც ჩააღწია

გორში რომ ჩავალთ, მტყუნ-მართალიც იქ გაირკვევა, ჰოდა, უდანაშაულოებსაც უკან ხვალვე დავაბრუნებთო, — დაჰპირდნენ, მაგრამ მოძღვარი მიხვდა, გყუილს ეუბნებოდნენ, ჯალათებს ცალახში დაუჩოქა და შეევედრა: მაგათ თუ რამე ცოდვა აქვთ ჩადენილი, მე მამლვევინეთ და როგორც ამათი მოძღვარი, მე დამსაჯეთო...

და განურჩევლად დაერია საბრალე, უდანაშაულო გლეხებს: ოქტომბრის ერთ წვიმიან და მოჟამულ დილით ჩეკისტებმა ისინი ვითომდა გორში მტყუნ-მართლის გასარჩევად, სინამდვილეში კი — სოფლის გადაღმა დასახვრეტად წინ გაირყვეს. სოფელი შიშით დაიზაფრა. როგორც გითხარით, მამა პანტელეიმონს ციება ტანჯავდა და ლოგინად იყო, მაგრამ ეს ამბავი რომ შეიტყო, ადგა, შეიმოსა და იმით კვალს დაადგა... რამდენს არ ევედრნენ სულიერი შვილები — იმათ აღარაფერი ეშველებათ, შენ კი ხიფათს გადაეყრებიო, მაგრამ მამა პანტელეიმონმა არ დაიშალა და დატყვევებულ თანასოფელებს მამის წამოწინა, სოფელს კარგა მანძილზე რომ იყვნენ გაცდენილები.

უკან დადევნებული მღვდლის გამოჩენამ ბადრაგის მეთაურიც კი გააკვირვა: — ასეთ ამინდში საით გაგიწვიათო, — ჰკითხა. — მოძღვარი ჭირშიც და ლხინშიც თავისიანებთან უნდა იყოს, ამ უზედურებმა მაინც რა დაგიშვათ ისეთი, რას ერჩიოთ, — მამა პანტელეიმონმა.

— შენ არაფერსო, — ცივად უბასუხეს, — ესენი მშრომელი ხალხის მტრები არიან და კანონის წინაშე მკაცრად უნდა დაისაჯონო.

— არა, შვილო, არ დაიჯეროთ, ამ საცოდავებს რა მტრობა შეუძლიათ, ხენა-თესვის მეტი არა იციანო, — უმტკიცებდა მამა პანტელეიმონი.

— გორში რომ ჩავალთ, მტყუნ-მართალიც იქ გაირკვევა, ჰოდა, უდანაშაულოებსაც უკან ხვალვე დავაბრუნებთო, — დაჰპირდნენ, მაგრამ მოძღვარი მიხვდა, გყუილს ეუბნებოდნენ, ჯალათებს ცალახში დაუჩოქა და შეევედრა: მაგათ თუ რამე ცოდვა აქვთ ჩადენილი, მე მამლვევინეთ და როგორც ამათი მოძღვარი, მე დამსაჯეთო...

— რა გააჭირა საქმე, თუ ასე უნდა, შეგადგეთ ეგვე მაგათთანო, — ბრძანეს. რა გორი, რის გორი! დაღამეებისთანავე, სოფლის გადაღმა, როგორც იტყვიან, უადგილო ადგილას, ის საბრალეობები ჩაამწკრივეს და მშრომელი ხალხის სახელით გამოუცხადეს, უნდა დაგხვრიტოთო. გაოგნებული მამა პანტელეიმონი წინ გამოიჭრა, პატიმრებს ანაფორის კალთა გადაფარა და იყვირა: უდანაშაულოთა ცოდვას ნუ მაყუბრებინებთო. ბადრაგის უფროსმა სერგო ორჯონიკიძის ნაჩუქარი მაუზერით პირველი სწორედ მამა პანტელეიმონი დაცხრილა...

მოგვეტყვოს მამა პანტელეიმონის სულმა ეს მწირი წერილი, ღვთის შეწევნით, რაც მოვახერხებთ.

P.S. დოკუმენტური და ფოტომასალების მოწოდებისთვის მადლობას მოვასენებთ ქ-ნ მანანა ყიფიანს და ბ-ნ ლუარსაბ ტოგონიძეს.

მოამზადა
მანანა ტუაფიაშვილი



რას გავცავი, მამათ?

— შემომწვია, რომ ერთ-ერთ ტაძარში სწორად შედიან იმ სექტის წევრები, რომლებიც ახლომდებარე შენობაში იკრიბებიან. სომ არ მოაკლდება მადლი ამით ტაძარს ან მის მრევლს?

— ამ შემთხვევაში არც ტაძარს და არც მის მრევლს მადლი არ აკლდება. თქვენ უფალი გიფარავთ. რაც შეეხება მწვალებელთაგან დაბნეულ ადამიანებს, ტაძარში შესვლა მათი სულისთვის სასარგებლოც შეიძლება აღმოჩნდეს, იქნებ უფლისკენ მავალი ჭეშმარიტი გზა დაინახონ. სიყვარულითა და მოთმინებით მოეპყარით მათ. ეცადეთ თქვენი ქრისტიანული ცხოვრებით აწვენოთ, რომ გზას აცდენილი არიან. უფალი გვასწავლის, რომ გონების გასანათებლად სამჯერ შეიძლება შეგონება. თუ ამან არ გაჭრა, მაშინ განერიდეთ. ტაძარში ფხიზლად იყავით — ზოგიერთი სექტის წარმომადგენელი საეკლესიო სინამდევებს არ უფრთხილდება. წირვა-ლოცვის იმ მონაკვეთიდან კი, როცა დიკავანი მოუწოდებს კათაქმეველთ (ანუ მოუნათლავებს), ეკლესიიდან გავიდნენ, მათ ტაძარი უნდა დატოვონ.

— მინდა ჩემს შვილს რამდენიმე ნათლია პყავდეს. გთხოვთ განმიმარტოთ, ეკლესიურად განსაზღვრულია თუ არა ნათლიების რაოდენობა.

— უპირველესად გაითვალისწინეთ ის, რომ ნათლობა არა მხოლოდ ოჯახების დანათესავებაა, არამედ ნათლიას უდიდესი მოვალეობა ეკისრება ღვთისა და ნათლულის წინაშე. ნათლია მუდმივი თანამდევია უნდა იყოს ნათლულისა, რათა ის ქრისტიანულ ცხოვრებას არ ჩამოშორდეს. ამ მოვალეობის შესრულება ერთ ადამიანსაც შეუძლია. შეგიძლიათ ბავშვი რამდენიმე ადამიანსაც მონათვლინოთ. მაგრამ აქაც, ისე როგორც ყოველ საქმეში, შეეცადეთ ზომიერება დაცვათ. ამიტომ უმჯობესია ნათლობამდე რჩევისთვის მიმართოთ მოძღვარს.

— ვარ ახალგაზრდა ქალი. სანამ ეკლესიაში დავიწყებდი სიარულს, ფაქტობრივად ბავშვობის სანაშინი, ჩავდიოდი ცოდავს, რომელსაც მოძღვარს ვერაფრით ვეუბნებო. მოძღვარმა სულიერად გადაიარა, ჩემთვის იგი ძვირფასი ადამიანია და მტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ჩემზე აზრი შეიცვალოს. მანუხებს ისიც, რომ ცოდავს ვერ ვინანებ, როგორ მოვიქცე?

— მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა, პირველ რიგში იმას გულისხმობს, რომ მოძღვარმა თავისი სულიერი შვილის გული განწმინდოს და ქრისტეს გზაზე დააყენოს. თუ თქვენ მოძღვარს ბოლომდე ვერ გაეგნეთ, ამით ხელს უშლით, რომ მან თავისი მისია შესრულოს, თქვენ კი სულს იმძიმებთ. უფალმა ისედაც ყველაფერი იცის და მისი უნდა გერიდებოდეთ და არა მოძღვრისა. თუკი სინდისი გქნევს, ესე იგი, უფალი განიშნებთ, რომ ცოდავს მოინანიოთ. თქვენი მოძღვართან დამოკიდებულება სწორი არ არის. თუ გინდათ ნამდვილი ქრისტიანი გახდეთ, ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოისწოროდეს. რაკი ამჯერად რწმენაში განუშტკიცებლობა ხელს გიშლით გულახდილად ისაუბროთ მოძღვართან, მიმართეთ წმინდა მამათაგან შედგენილ აღსარების წესებს (აღსარების წიგნი საეკლესიო მალაზიებში იყიდება). იქ ცოდვების შესახებ საზოგადო განმარტებებია, რაც ხელს შეგიწყობთ თქვენი შეცოდება აღსარების დროს ზოგადად მოისვენოთ. შეგიძლიათ მას სიყრმის დროინდელი ცოდვაც უწოდოთ. არც მოძღვარი ჩაეძიმებათ.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვანოდეთ „კვირის პალიტრის“ ყოთუბის საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

№8, სექტემბერი, 2004

ფასი 80 თეთრი

ქართული
საზოგადოებრივი

მართლმადიდებლური ჟურნალი

გაეშვიდა საქართველოს მოქალაქეებს

(დასაწყისი ის. გვ. 8)

ზემოთ სსენებული წესები გამოცდილმა დის-
პეტერმა ბერიძემ კარგად იცოდა. იცოდა ისიც,
რომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინის-
ტროს ჩინოსნები, რომელთაც სინამდვილეში
ეკუთვნოდათ **Ил-18**, სათადარიგო აეროპორტ-
ში დაჯდომას არ დასთანხმდებოდნენ, რადგან
როგორც გამოიხატა ირკვევა, **Ил-18**-ს ამ რე-
ისით საქართველოში 15 ტონა კონტრაბანდა
გადმოჰქონდა. რუსეთ-საქართველოს გართულე-
ბული ურთიერთობების ფონზე სხვა ქართულ
აეროპორტში დაჯდომა, რასაც თავისთავად კონ-
ტრაბანდული ტვირთის აღმოჩენა მოჰყვებოდა,
ცხადია, საერთაშორისო სკანდალის გარეშე არ
ჩაივლიდა.

მოსკოვთან ახლოს მდებარე სამხედრო დანიშ-
ნულების „ჩალოვსკის“ აეროპორტიდან **Ил-18**,
საქართველოში დისლოცირებულ რუსულ
სამხედრო ნაწილებში მომუშავეთა მომსახურე-
ბის მოტივით, რეგულარულად ასრულებდა სა-
პაერო სატვირთო და სამგზავრო დანიშნულების
რეისებს. ბათუმის აეროპორტი, 2000 წლის ოქ-
ტომბრის ბოლოს გართულებული მეტეო-
როლოგიური პირობების გამო, არ თანხმდებო-
და თვითმფრინავის მიღებაზე. **Ил-18**-ს ამ რე-
ისით 15 ტონა ტვირთი — მსუბუქი ავტომობი-
ლის ნაწილები უნდა გადაეტანა. რეისის გადადე-
ბა კი გვარიანად აზარალებდა ფირმას, რომლის
კუთვნილებაც იყო სინამდვილეში **Ил-18** (ოფი-
ციალურად, თვითმფრინავი რუსეთის ფედერაციის
სამინისტროს ეკუთვნოდა, მაგრამ რეალურად
იგი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალ-
ჩინოსნების კერძო საკუთრებას წარმოადგენდა.
მათ ამ სამინისტროს აეროპორტში კერძო ფირ-
მა პქონდათ გახსნილი). კატასტროფის შემდეგ
ძიებამ ცხადყო, რომ ტვირთს, რომელიც „ჩა-
ლოვსკის“ აეროპორტიდან საქართველოში უნდა
ჩამოსულიყო, არც საბაჟო შემოწმება გაუვლია
და არც არსად ყოფილა რეგისტრირებული.
როგორც დალუბულა ნათესავები ირწმუნებიან,
ასეთი არაოფიციალური გადაზიდვები ბევრჯერ
შეუსრულებია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის
სამინისტროს საპაერო ხომალდს.

გურუსით მოცული კონტრაბანდული ბრაგელა აჭარაში

ახალი დეტალები **Ил-18**-ის
დალუბვასთან დაკავშირებით

მნა მიწუზიანა (მას კატასტროფაში
სიძე-ქალიშვილი დაეღუპა): „მე ხშირად მიწევდა
მგზავრობა ამ თვითმფრინავით. თითქმის
ყოველთვის უბილეთოდ ვმგზავრობდი, ხოლო
თვითმფრინავის სალონი, საბარგულზე რომ
ალარაფერი ვიქეცე, გადაჭედული იყო სხვადასხვა
სახის საქონლით.“

Ил-18-ის კატასტროფის შემდეგ, როცა დის-
პეტერის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა,
ბათუმის აეროპორტის დირექტორის მოადგ-
ილემ, ავთანდილ მაღაყმაძემ განაცხადა, რომ
Ил-18-ის ეკიპაჟმა, ბათუმის აეროპორტის გარდა,
სხვა სათადარიგო აეროპორტში დაჯდომასზე
კატეგორიული უარი განაცხადა, იმიტომ, რომ
მათ კონტრაბანდული ტვირთი გადმოჰქონდათ.
კითხვზე — ბათუმშიც ხომ აღმოაჩნდნენ კონ-
ტრაბანდულ ტვირთსო, — მაღაყმაძე დადებით-
თად პასუხობდა, თუმცა „ვერ განმარტავდა“,
თვითმფრინავს, რომელსაც კონტრაბანდა გად-
მოჰქონდა, მაინცდამაინც ბათუმში რატომ უნ-
დოდა დაჯდომა და არა სათადარიგო, ქუთაის-
ის აეროდრომზე. კონტრაბანდული ტვირთის
გარდა, **Ил-18**-ს გადაჰყავდა 9 სამოქალაქო
პირი, რომელთაც არც საბაჟო შემოწმება პქონ-
დათ გავლილი და არც ბილეთები გააჩნდათ.
მათ უკანონოდ გადმოჰყვებოდა საზღვარი.
საქართველოში შემოპარულთა შორის იყო
რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი
სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკი მიხეილ
ისაკოვი. მისი სიდედრის, ნინა მინიუშკინას
ჩვენებით, ისაკოვი საქართველოში ყოველთვის



ამ თვითმფრინავით ჩამოდიოდა. მისივე თქმით,
იგი თითქმის არასოდეს გადიოდა საზღვარზე
რეგისტრაციას. საინტერესოა, რა მიზნებით სტუმ-
რობდა არაღელვურად ჩვენს ქვეყანას რუსე-
თის სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკი?..

კატასტროფის შემდეგ „უბედურების ზონის“
პატრონაჟი, ქართული მხარის წინააღმდეგობის
მიუხედავად, რუსებმა ითავეს. კანონით, კატას-
ტროფის ადგილის დაცვა ქართულ პოლიციას
ევალებოდა. რა მოიმოქმედეს რუსებმა კატას-
ტროფის ადგილას, უცნობია. ე. წ. შავი ყუთები
მათ სასწრაფოდ გააქროლეს მოსკოვში, მოგვი-
ანებით კი ქართულ მხარეს განუცხადეს, რომ
ყუთები ისე იყო დაზიანებული, მათი გაშიფვრა
ვერ მოხერხდაო. ქართული მხარე დღემდე
უშედეგოდ ითხოვს შავი ყუთების გადმოცემას.
ერთადერთი, რაც რუსებმა აღიარეს, პილოტე-
ბის მიერ დაშვებული შეცდომაა, ისიც იმიტომ,
რომ დაშვებულ ეკიპაჟს ყველა წევრი გარდაც-
ვლილია. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს
თავი არ შეუნუხებია იმის ძიებით, თუ საიდან
აღმოჩნდა **Ил-18**-ის ბორტზე 15 ტონა კონ-
ტრაბანდული ტვირთი და რეგისტრაციამო გა-
უტარებელი მგზავრები. რუსეთში არც **Ил-18**-
ის ნამდვილ მებატრონეთა პასუხისმგებლობის

საკითხი დამდგარა(!).
ავიაკატასტროფის შემდეგ რუსულმა მხარემ,
რომ იტყვიან, ხელი დაიბანა. დალუბულთა ოჯახ-
ის წევრები სამართალს დღეს საქართველოს სასა-
მართლო დღემდე იხილავს რუსეთის 17 მო-
ქალაქის სარჩელს. დაზარალებულები რუსეთის
თავდაცვის სამინისტროს „საქაერონავიგაციის“
დისპეტჩერებს, ვლადიმერ ალავერდოვსა და სუ-
ლიკო ბერიძეს უჩივიან. დალუბულთა ნათესაობა
მათგან მორალური და მატერიალური ზარალის
ანაზღაურებას მოითხოვს, ამ კატასტროფაში
დალუბულთა ოჯახის წევრები რუსეთის ფედ-
ერაციის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა
და საგანგებო სიტუაციათა მინისტრმა სერგეი
შოიგუმ მხარედ მოაუწყეს. კატასტროფაში დალუ-
ბულთა ოჯახებისთვის, მიუხედავად დაპირებები-
სა, დახმარება არავის აღმოუჩნია. დალუბულ
რუსეთის მოქალაქეებს კატასტროფის ადგილას
სხოვნის მემორიალი ისევ ქართველებმა აუგეს...
და კიდევ ერთი... ძიება ეჭვობს, რომ **Ил-18**-ის
ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობა გვარიანად შექე-
ფიანებული შემოფრინდა საქართველოს საპაერო
სივრცეში.

ხათუნა პაიჭაძე



რესტორანი-პიცერია-ბარი «იტალია»

ახალი თევზის, მატარელას, გამ-
ბერონის, კალამბარის გარდა ჩვენ
შეგვიძლია შემოგთავაზოთ კიდევ
ბევრი სხვა ნამდვილი იტალიური
კერძი.

დღეიდან ბიზნესლანზე — 12.00-
დან 16.00-მდე ვანესებთ 20%-იან
შეღავათს. ყველა ქალბატონო, ვინც
მარტო გვესტუმრება, აგრეთვე 25
ასაკამდე მამაკაცი ისარგებლებენ
25%-იანი შეღავათით. წინადადება
ძალაში რჩება 31 ოქტომბრამდე.
ჩვენს რესტორანს ახალი მზა-
რეული პეცეს — მიშელი, რომელიც
გენევიის ერთ-ერთ საუკეთესო
რესტორანში მუშაობდა.

მენიუზე ჯუზეპე სიამოვნებით
გაცნობებთ, რომ თქვენ გელით
ახალი მენიუ საინტერესო ფასე-
ბით.

მენიუ:	ლარი
Pizza con mozzarella	6.50
Spagetti carbonara	11.00
Penne al pesto	8.50
Gnocchi 4 formagi	12.00
Fegato veneziana	11.50
Cappuccino	5.50
Tiramisu' originale	8.00
Salad bar	5.50

ქუჩა და მიმული ბელიან „იტალიაში“
ქარბ დროს გარებას გიხურებთ.

თბილისი, ვირსალაპის №7

PSP ფარმაცევტული კომპანია „პე-ის-პე“ საპაეროდ ინვესტ ახალგაზრდა მამაკაცს ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე

პირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება.
- ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის
(არანაკლებ 5 წლის) გამოცდილება.
- უცხო ენების ცოდნა (რუსული და ინგლისური ენები).
- საოფისო და საბუღალტრო პროგრამების ცოდნა.

სასურველია წარმოადგინოთ რეკომენდაციები.

განაცხადი მიღება 25 ოქტომბრამდე.

ანკაპტის შესავსებად მიუბრუნდით მისამართზე:
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 148/III.

ინფორმაციის მისაღებად დაეკავშირდით ტელეფონზე:
Tel: +940414, 942314, 253433

939-103
250-255

compus@mail.ru

ჩვენ ვიხით
რა გპირდებით!

ჩვენი გეგმავარი
მოგიგზავნებთ
ნაბიძიერ
პროგრამას!

კომპიუტერული
რეკლამა
ახალგაზრდას!

კომპიუტერული ენაზე კომპიუტერული ფასად
ქველი გრაფიკული ახალ მისამართზე

სისოცხლე — მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხეშლის სხვა პათოლოგიები
ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს
დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და
საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რეკომენდებულია გადარჩევათა
სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული
ქონდროპროტექტორია

- 1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს — 500მგ
ნატრიუმის ჰონდროიტინის სულფატს — 400მგ
ბენზოკაინს — 10,3%
- ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება
უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ),
ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ
ეფექტს.

ტერაფლექსი

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის
აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა
და ხერხეშულში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეზოროების
ბელოვანი კორბის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას
არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო
საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული
კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გულდასმით
გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი —
თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ“-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს
გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ
სრულფასოვან ცხოვრებას.



„რუსეთის პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკა“

ამ ცოტა ხნის წინ თბილისის მოსკოველ ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ესტუმრა. რუსეთის წამყვანი მედიის ხელმძღვანელები და ავტორიტეტული მიმომხილველები საქართველოში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიწვია ერთადერთი მიზნით — მოსკოვის მედიის საშუალებით რუსეთის მოსახლეობისთვის მიეწოდებინა რეალური ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ჟურნალისტებთან საუბარი პრეზიდენტ სააკაშვილს დაგეგმილი არ ჰქონია, ეს საუბარი მან, ჩვეულებისამებრ, უცებ გადაწყვიტა.


სტუმარ-მასპინძელი სასტუმრო „მერატონ-მეტეხი პალასში“ შეხვდნენ ერთმანეთს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, ეკონომიკისა და განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ და პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ქვეყანაში გატარებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შესახებ

ით თბილისელი ტელევიზიის წარმომადგენლები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მოსკოველ სტუმრებს.

თბილისურმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ მოსკოვისთვის იმდენად უჩვეულო იყო ასეთი შეხვედრები, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიწვევაზე რეაგირება რუსეთის მედიის ბევრმა ხელმძღვანელმა ვერც კი მოახდინა.

რამდენიმე საინტერესო ციტატა ქართველი ლიდერის პასუხებიდან: „პუტინსა და რუსეთთან ურთიერთობაზე: „პუტინთან კარგი ურთიერთობა გვექნება, რომელიც აჭარის მოვლენების შემდეგ გართულდა...“ „არავითარი ისტერიკა საქართველოში რუსეთის ბაზების გამო არ არსებობს, მათ არანაირი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ, ამას რუსი გენერლებიც დაადასტურებენ“.

„რუსეთის მტრები, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი მტრებიც არიან“.



ისაუბრეს, თბილისისა და მოსკოვის ჯერ მოუგვარებელი ურთიერთობის საკითხსაც შეეხნენ... სტუმრებს ახალი არაფერი მოუტყუნიათ, ყველაფერი თბილისში ჩამოსვლამდეც იცოდნენ. სამაგიეროდ, მერე იჯერეს გული შეკითხვებით — რასან მწვავე საკითხების დასმის საშუალება მიეცათ, ისარგებლეს კიდევ. შემდეგ მოსკოველი ჟურნალისტები მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ფორმატი მაქსიმალურად ღია იყო. სწორედ ამან გააოცა სტუმრები. სახელმწიფოს პირველ პირთან შეხვედრის ასეთ ფორმატს რუსეთის ჟურნალისტები მიჩვეული არ არიან — ისინი სასაუბროდ მიიწვიეს და არა პოლიტიკურ ღონისძიებაზე, სადაც ყველაფერი წინასწარ არის მოლაპარაკებული და შეთანხმებული: მიღების ხანგრძლივობა, კითხვების რაოდენობა, რიგითობა, შინაარსიც კი. თბილისში ყველაფერი პირიქით მოხდა. საერთოდ, უცნაური იყო ისიც, რომ დღემდე დსთ-ის მთელ სივრცეში არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტს სხვა ქვეყნის ჟურნალისტები არ მიუწვევია სასაუბროდ. მიხეილ სააკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა ამის გაკეთება, რადგან თავის ქვეყანაში პრესას, რადიოს და ტელევიზიას იმ ძალად თვლის, რომელიც რეალურად მოქმედებს საზოგადოების აზროვნებაზე. კიდევ ერთმა რამემ განაცვიფრა მოსკოველი სტუმრები — საქართველოში ნაადვირად დამოუკიდებელი მედიის სიუხვემ. თანაც პრეზიდენტთან შეხვედრა შეუძლია არა მარტო საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის თავიდან, არამედ დამოუკიდებელ „იმედს“, „რუსთაი 2“-ს, ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტებს, წამყვანი გაზეთების რედაქტორებს და, რაც მთავარია, მათ აზვინ ზღუდავს, რა ჰკითხონ პრეზიდენტს. ასე იყო ამჯერადაც — კითხვების რაოდენობითა და სიმწვავე

„პუტინი საქართველოში მოვიწვიე — ოქტომბერში მოსავლის ზეიმი გვექნება და ჩამოდი-მეთქი. მითხრა, — კარგი იქნებაო. სამწუხაროდ, სხვაგვარად მოხდა.“

აფხაზეთში: „აფხაზეთში ხალხი გაურკვევლობისგან დილაღა — არჩევნებმა ეს ცხადყო“.

„საქართველოს არ ეყოფა რესურსები დაკარგული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, თუ მათ ძალით დავიბრუნებთ. ჩვენ არავითარ ძალოვან სცენარებს არ ვაშუშავებთ“.

სამხრეთი ოსეთი: „ცხინვალის რეგიონში დაიღუპა 16 ჩვენი მებრძოლი და რამდენიმე ისიც. ეს ჩემთვის ერთნაირად სამწუხაროა“.

„სამხრეთ ოსეთიდან ყოველგვარი ვიზის გარეშე შეიძლება რუსეთში გადასვლა. თქვენც შეგიძლიათ ამის შემოწმება“.

„რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში შემოსული დახმარება ერთი კლანის ხელში ხვდება“.

ჩრდილოეთი კასპიისა და მსხალეთში: „შამილ ბასაევის საქართველოში მტრად თვლიან. არასოდეს არ დავიწყებთ, 1992 წელს აფხაზეთში მისი რაზმი ქართველთა მოჭრილი თავებიც ფეხბურთის რომ თამაშობდა, „როცა ტელევიზიით მასხადოვმა, მეგობრული მისალმება“ გამოგვიგზავნა, ვთქვი: „ღმერთო, მამორე ასეთი მეგობრები, მტრებისგან კი თავად დავიცავთ თავს-მეთქი“.

საქართველოს თავისა და პოლიტიკაზე: „საქართველოში საქმე გამოსწორებისკენ მიდის“.

„ჩვენთან მინისტრები ხელფასს 1.500 დოლარს იღებენ, მე — ცოტა მეტს.“

„საქართველოში ტელეარხების დახურვას აზრი არა აქვს იმტომ, რომ პატარა ქვეყანაა, სულერთია, ყველა ყველაფერს მაინც გაიგებს.“

ნეზავისიზმი გაზეთი

აზერბაიჯანულ სკოლას სურს სურს?

აზერბაიჯანში ყოველთვის სერიოზულად უყურებდნენ საქართველოში მცხოვრები თანამემამულეების პრობლემებს. საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილისა და ახალი ძალისის მოსვლამ სერიოზული გავლენა მოახდინა აზერბაიჯანელთა მდგომარეობაზე. არჩევნების წინ სააკაშვილმა აღიარა, რომ მათი უფლებები ირღვეოდა და დამპირდა ხალხს, ყველაფერი გამოსწორდება. გავიდა დრო, მაგრამ არაფერი შეცვლილა. პირიქით, სხვა დაირჩა — საქართველოში აზერბაიჯანულ სკოლებს ხურავენო. ეს აზერბაიჯანში არაერთმნიშვნელოვნად აღიქვეს. ზოგი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა არჩევნებში სხები გაინაღდა და დაპირება არ შეასრულა, სხვები კი ამბობენ — წინა მთავრობასთან შედარებით, საქართველოს ახალ მთავრობაში მეტი ნაციონალიზმი იგრძნობო. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ამ აზრს არ ეთანხმებიან. დემოკრატიისა და მშვიდობის ინსტიტუტის კონფლიქტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი არიფ იუნუსი ამბობს, — საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლება მიიღეს. მართალია, ბევრი პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, მაგრამ ამაში სააკაშვილის დადანიშნულება არ შეიძლება, რადგან მთავრობას მთელი ყურადღება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის

აღდგენაზე აქვს გადატანილი. ა. იუნუსის თქმით, უმთავრესი პრობლემა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაა. ბევრი ჩვენი თანამემამულე ეკონომიკური მდგომარეობის გამო იძულებულია მიხატოვოს სასლ-კარი. ამ პროცესების თავიდან ასაცილებლად საქართველომ და აზერბაიჯანმა სერიოზული ღონისძიებები უნდა გაატარონ. ჩვენი თანამემამულეები მიხედნენ, ბევრს დაკარგავენ, თუ არ მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სააკაშვილმა იზრუნა მათი პრობლემების გადასაწყვეტად. მოისპო წინააღმდეგობები, რასაც აზერბაიჯანელები საზღვრის გადაკვეთისას აწყდებოდნენ, რიგი ღონისძიებები გატარდა ადგილობრივი ჩინოსნების ნებატიური ქმედებების წინააღმდეგ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის...

იუნუსმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანული სკოლების დახურვას არ აპირებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, შეიძლება ეს გახდეს მიზეზი ჭირების გავრცელებისა. მოსწავლეთა რაოდენობა დღითი დღე მცირდება. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ დახურვა გარდაუვალია.

ეზო. ბაქო

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

აფხაზეთი „მსოფლიო“

კონფედერაციები სოხუმში არი-

აფხაზეთი

აფხაზეთი დედაქალაქში მდგომარეობა დაძაბულია. სიტუაცია ძალიან საშიში გახდა. საპრეზიდენტო არჩევნებზე დამარცხებულ რაულ ხაჯიმბას მომხრეთა მიტიგზე ე.წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოხალისეები გაიმჩნდნენ. არაფორმალურმა გავლენიანმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზურ ომში. მაშინ „კონფედერაციების“ მთავარ ბატალიონს შამილ ბასაევი მეთაურობდა.

მათი სოხუმში ყოფნა ფორმალურად ჯერ კიდევ პრეზიდენტ არჩინბას პრესმდივანმა როინ აგრბამ დაადასტურა: — სოხუმში იმყოფებიან კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა და ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან წამოსული უამრავი მოხალისე. ისინი აფხაზეთში ახლანდელი მთავრობის და პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ, — აღნიშნა მან. პრესმდივანს არ დაუზუსტებია ჩამოსვლა რაოდენობა და მარშრუტი — როგორ გადმოლახეს რუსეთის საზღვარი.

აფხაზურ კრიზისში ასეთი სერიოზული „მესამე ძალის“ ჩართვა სახიფათოა. მოხალისეებმა შეიძლება სამოქალაქო ომის წამოწყებას შეუწყონ ხელი, რაც სერიოზულად გაართულებს სიტუაციას მთელ კავკასიაში. „სოხუმურ კრიზისს“ უფრო ამწვავებს ის, რომ ოპოზიციის ლიდერის, სერგეი ბალაფშის გვერდით „ამცახარა“ დგას, რომელიც ქართულ-აფხაზური ომის ვეტერანებს აერთიანებს. ბალაფშის შტაბის თაოსნობით სოხუმში ჩატარებულ აფხაზეთის საერთო-ეროვნულ შეკრებაზე „ამცახარა“ იყო წამყვანი ძალა. მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ადლიემა განაცხადა, რომ ვლადისლავ არჩინბა მიიმტკიცებს არის ავად და თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, ამჟამინდელ რესპუბლიკის პარლამენტს მოუწოდა ცნონ პრეზიდენტის უუნარობა და დაუყოვნებლივ დაიწყონ მისი პოსტიდან გადადგომის პროცედურა. ასე რომ, „მცოცავი გადატრიალება“, რომლის საშუალებასაც არჩინბა ვარაუდობდა, რეალური გახდა. ოპოზიცია მოითხოვს, აღიარონ სერგეი ბალაფშის გამარჯვება. აფხაზეთის პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ბალაფშის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის სოკრატ ჯინჯოლიას აზრით, ხელისუფლება განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებელ გზებს ეძებს. ასეთ სიტუაციაში, — განაცხადა ჯინჯოლიამ, — საერთო-ეროვნული კრების ნევრებმა გამარჯვებულს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შესრულება უნდა შესთავაზონ. ჯინჯოლიას წინადადებებს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. ამვე დროს, იქვე, ახლოს, რაულ ხაჯიმბას მომხრეთა მიტიგა ბოზოქრობდა. „მტრის ბანაკის“ გადამწყვეტილებამ იქ სრულიად სანაღმდეგო ემოციები გამოიწვია.

არჩინბას პოზიცია როინ აგრბამ გამოხატა: ავადმყოფობის მიუხედავად, პრეზიდენტი დედაქალაქში მდგომარეობას აკონტროლებს, ის საპრეზიდენტო რეზიდენციაში არ იმყოფება, შინ ისმენს მთავრობის ნევრთა და ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელების მოსწენებებს. სიტუაციას აფხაზეთში „მცოცავი გადატრიალება“ უწოდებს, მაგრამ საჯარო გამოსვლებიდან თავს იკავებს, რადგან მეტყველების ფუნ-



ქცია აქვს დარღვეული...

ყველა ელოდებოდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც კრიზისის ბოლოს მოუღებდა, მაგრამ სასამართლო გაურკვეველი დროით გადაიდო.

აფხაზი ხალხის საერთო-ეროვნულმა კრებამ მიიღო საგანგებო მიმართვა ვლადიმერ პუტინისადმი, სადაც ნათქვამია: „მმართველმა ძალემა ძალაუფლების შესანარჩუნებლად საზოგადოება ორად გახლიჩა, პროქართულ ორიენტაციასა და ანტირუსულ განწყობაში დაგვადანაშაულა, მაგრამ სწორედ პრორუსული ორიენტაციაა აფხაზი ხალხის არჩევანი“.

მოსკოვის გამოუსწორებელი

შეცდომები

როგორც არ უნდა გადაწყდეს აფხაზეთში დაპირისპირება, ვისაც არ უნდა დარჩეს გამარჯვება — იქ მთავარი ნაგებული რუსეთია. თანაც ნაგება 3 ოქტომბრის არჩევნებამდე დაიწყო.

პირველი შეცდომა რაულ ხაჯიმბაზე ფსონის დადება იყო. ჯერ ერთი, ანტირუსულად განწყობილი კანდიდატები აფხაზეთში საერთოდ არ იყვნენ. მეორე, მოსკოვს უნდა სცოდნოდა, რომ რესპუბლიკაში ხაჯიმბას მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებდნენ. აფხაზეთის არჩევნების მოსკოველი კურატორები დარწმუნებული იყვნენ — მავანის გასაპრეზიდენტებლად პუტინის ერთი ხელის ჩამორთმევა საკმარისიაო. ამ მეორე შეცდომის შემდეგ დაგომისში „შემთხვევით“ შეხვდნენ ერთმანეთს პუტინი და ხაჯიმბა. ამას დავმატა რუსი დეპუტატებისა და ესტრადის მომღერალთა მიერ ხაჯიმბას აშკარა მხარდაჭერა, რამაც კიდევ უფრო შეამცირა მისი შანსები. მესამე შეცდომა მოსკოვმა მაშინ დაუშვა, როცა არ ისარგებლა აფხაზეთის ცესკო-ს გადაწყვეტილებით და არ აღიარა ბალაფში აფხაზეთის პრეზიდენტად.

რა მიიღო მოსკოვმა შედეგად? რუსეთისთვის თბილისთან გეოპოლიტიკურ თამაშში ბოლო დრომდე აფხაზეთი ძლიერი კოზირი იყო. როცა მოსკოვს გუშინაშე უმტყუნა, აფხაზური კოზირი საქართველოს ხელში აღმოჩნდა. ამ არჩევნების შემდეგ თბილისი მიხვდა, რომ მოსკოვი ყოვლისშემძლე არ არის აფხაზეთში და ქართული პოლიტიკური ელიტა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ აფხაზეთის მომავალსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე მოლაპარაკება თავად ქართველები და აფხაზები შეამავლის გარეშეც მშვენივრად მოახერხებენ.

კომერსანტი

ზაკა ნაჩილის „პაქალილი სიყვარული“

შენარჩუნება.

ბ-ნი ზურაბი ლირიკულად არის განწყობილი. მისმა ახლობლებმა იცინა, რომ ის თეორიას ყოველთვის პრაქტიკას ამჯობინებდა და ამ ბოლო დროს შეყვარებული ბიჭვით იქცევა. უცბად გაქრება, ყიდულობს ყვავილებს. მაგრამ ვინ არის ტემერამენტული ქართველის სიყვარულის ობიექტი, არავინ ცის. იქნებ სწორედ ის გამოსახა: ახალგაზრდა ტანწერილი, გრძელფეხება გოგნა, მაგრა, მოდელს არ ჰგავს, ნატიფ მოსკოველ ქალიშვილს უფრო ჰგავს. მაგრამ, ოსტატი იფიცება — მოდელი პოზი-ორობენო.

— მამაკაცს რატომ უყვარია ხელთ იარაღი, ქალს ხომ არ აინებებს?

— ამით იმ ყველაფერ ავს ამარცხებს, რაც შეყვარებულებს უქადის...

ბოროტება მაინც არსებობს ამქვეყნად! ამბობს ნერეთელი, მე ყოველთვის ვიცავდი ქალს, რომელიც მიყავრდა. მე ის კაცია რა ვარ, რომ ჩემ ქალთან მოარბიე კაცს მშვიდად ვუყურო. პირდაპირ სიფათში უთავაზებ!

აი ასეთია შემოადგომიზე ზურაბ ნერეთელი, ძალიან ლირიკული და მებრძოლი.

მოსკოვსკი კომსომოლელი



ქვირფასო მშობლებო და ჩვენი პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



პატარები გენიოსობენ

პატარა თათიას მამა კროს-ვორდს ავსებს და კითხულობს:

— იკაროსის მამას დედალოსი ერქვა, არა?

გაკვირვებული თათია მამას უსწორებს:

— მამიკო, როგორ შეიძლება მამას დედალოსი ერქვას, მამალოსი იქნებოდა.

4 წლის ელენე თავდუშაძეს ეძახიან: ელენე, ნუ დადიხარ უქუ-

დოდ, თორემ თავში მზე ჩაგივარდება.

— მერე, მზე აღარ იქნება? — დაინტერესდა ელენე.

დეიდასთან სტუმრად მყოფი პატარა ნიკა გულამოსკვნით ტირის:

— მამა მინდა... მამა მინდა...

დეიდა ეკითხება:

— ნიკა, რომ ტირი, მამა მინდა,

მამა მინდაო, დედა არა გყავს?

ნიკა ტირილითვე პასუხობს:

— დედაზე ხო გუშინ უკვე ვიტილე...



ხერდელის ქონი

მ ლ ა პ ა რ ი

ერთხელ ბატონი თავის მეეტლე სერგოსთან ერთად მგზავრობდა. ჯერ ორივენი ჩუმად იყვნენ, მაგრამ გზა ისეთი გრძელი და მოსაწყენი იყო, რომ ბატონმა გადაწყვიტა, გასაუბრებოდა მეეტლეს. სწორედ ამ დროს გზაზე კურდღელი გამოხტა.

— ხედავ, სერგო, მე ტყეში კურდღლები მყავს მოშენებული, — თქვა ბატონმა, — ასეთები კი არა, როგორიც ეს კურდღელია, გაცილებით დიდები. მე ისინი უცხოეთიდან ჩამოვიყვანე მოსაშენებლად. ერთხელ სანადიროდ წავედი და ათიოდე მარევი წავიყვანე. რაც კურდღლები იყო, სულ ჩემთან მორევს. მეც დავუწყე სროლა და ოცდაათამდე მოვკალი. ერთი მაინც ისეთი დიდი იყო — ცხვარსა ჰგავდა. ტყავი რომ გავაძვრე, ნახევარ ფუთამდე ქონი დაყარა, აი, ასეთი კურდღლები მყავს!

— აბა, მოუჩქარეთ! — დაუტატანა მეეტლემ ცხენებს. — სულ მალე მივადგებით იმ ხიდს, რომელზედაც შედგებიან თუ არა ცრუპენტელები, მაშინვე ჩაინგრევა.

ეს რომ გაიგონა, ბატონმა უთხრა:

— ხედავ, სერგო! როგორი კურდღლები არიან ქვეყანაზე! თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, იმ კურდღელს ნახევარი ფუთი ქონი არა, მაგრამ ათი გირვანქა ნამდვილად ექნებოდა.

— გასაგებია! — ეუბნება სერგო. — კურდღელი კურდღელია!..

გზა გააგრძელეს. ბატონი ეკითხება:

— ჩქარა იქნება ის ხიდი, შენ რომ თქვი?

— კი, სულ მალე! — პასუხობს მეეტლე.

— იცი რა, სერგო? — განაგრძო ბატონმა, — იმ კურდღელს ათი კი არა, ალბათ ასე, სამი-ოთხი გირვანქა ქონი ექნებოდა.

— მე რა მენალვლება? — ამბობს სერგო, — სამი იყოს!

იარეს კიდევ ცოტა ხანს; ბატონი ვეღარ ისვენებს და ისევ შეეკითხა:

— სერგო, ჩქარა იქნება ის ხიდი?

— სულ მალე, — აი, მოსახვევს რომ გავცდებით.

— ჰო, — ამბობს ბატონი, — იცი, სერგო, რომ იმ კურდღელს ქონი სულაც არა ჰქონდა? შენც იცი, კურდღელს რამდენი ქონი აქვს!

— რასაკვირველია, ვიცი. — კურდღელი კურდღელია!

უკვე გასცდნენ იმ მოსახვევს, საიდანაც ხიდი უნდა გამოჩენილიყო, ბატონი კვლავ ეკითხება:


— მაინც სად არის ის ხიდი, ცრუპენტელებს რომ ჩაენგრევათ ხოლმე?

— ჰოო, — პასუხობს სერგო, — ის ხიდი იმ კურდღლის ქონივით გადნა.

II რომელი საგანია ზედმეტი?



IV გამოტოვებულ ჩასვი შესაბამისი ადგილას ფრაგმენტი



III ანა, გამოიყვანი

1) რისი სახელებია: სურგო, კიტო, იაუნდე, მასკატი, მაპუტუ, ლუსაკა, აბუჯა?

ა) თუთიყუშის სახეობების; ბ) მაიმუნის სახეობების; გ) სახელმწიფოთა დედაქალაქების; დ) თევზების სახეობების.

2) რომელ ბრძოლაში გამოიჩინა თავი გიორგი სააკაძემ?

ა) მარაბდის; ბ) კრწანისის; გ) დიდგორის; დ) ასპინძის.

3) რომელია ზედმეტი?

ა) სპეტაკი; ბ) უმნიკვლო; გ) ნატიფი; დ) ხისტი.

4) რისაზე საყიდლად წინასწარ მიცემული თანხის ნაწილია:

ა) ბე; ბ) გირაო; გ) ფეშქაში; დ) თავნი.

5) რომელი არ მიეკუთვნება ძუძუმწოვრებს?

ა) აქლემი; ბ) სირაქლემა; გ) ვეშაპი; დ) დელფინი.

6) ხმელთაშუა ზღვა გიბრალტარის სრუტით უერთდება:

ა) ატლანტის ოკეანეს; ბ) მარმარილოს ზღვას; გ) შავ ზღვას; დ) წყნარ ოკეანეს.

7) ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის სახარებისეულ 10 მცნებაში?

ა) არა კაც-ჰკლა; ბ) არა იმრუშო; გ) არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა; დ) გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ერთი ნიგნი-ზღაპარი
1 ლარი და 20 თეთრი ლირს

„ქვირის პალიზის“ „ზღაპრების
სახლმა“ უკვე 50 ქართული და
უსხოური ზღაპარი გამოსცა



დღეს ევროპისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში არიან დაფუძნებული სამშობლოდან გახიზნული ქართველები და ბევრი რამ არის დამოკიდებული მათზე, როგორ ღირსეულად წარუდგენენ საქართველოს უცხოელებს, თავად როგორ შეინარჩუნებენ დედაენას, საქართველოს სიყვარულს...

ქალბატონი **ლიანა ჯიძია** ლონდონში ცხოვრობს. იშვიათად ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, თუმცა ცდილობს, ლონდონში პატარა სამშობლო შეიქმნას.

— 1990 წელს მოსკოვიდან ლონდონში შეიღწა ნაციყვანეთ სამკურნალო და დავრჩით. მაშინ იქ ქართველები ცოტანი იყვნენ. ძველი ემიგრაციიდან ოთხიოდ კაცი დაგვხვდა. ემიგრანტთა ახალი ნაკადი 1993-94 წლებში გაჩნდა. თავი მოვიყარეთ ქართველებმა, მაგრამ დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. ჩვენს ოჯახებში ინგლისური თანდათან სდევნიდა ქართულს. 2000 წელს სააღდგომო ზეიმი გაემართეთ და ცხადად დავინახეთ საკვირაო ქართული სკოლის აუცილებლობა. მე და ჩემმა მეუღლემ, ვახტანგ გოგრიჭიანმა საბჭოსთან ერთად დავაფუძნეთ ეს სკოლა, რომელიც დღეს ბრიტანეთის საუკეთესო საკვირაო სკოლათა ოთხეულშია, გაქვს ჯილდოები, როგორც საუკეთესო სათვისტომო სკოლას. წარდგენილი ვართ კიდევ ერთ ჯილდოზე. ოქტომბერში უნდა დავიცვათ ორი დიპლომი და ამის შემდეგ დედოფლის ხარისხის საუკეთესო სკოლა გვექნება.

— **ემორჩილება თუ არა თქვენი სკოლა ბრიტანული განათლების სამინისტროს პრინციპებს?**

— ქართული სკოლა ბრიტანული საზოგადოებით ყველაზე ძლიერია. თავიდან მუშაობა ქართული განათლების სისტემის პრინციპებით დავიწყეთ, რაც ძალიან ძნელი აღმოჩნდა ბავშვებისათვის. მოგვისდა ქართული ტექსტების გამარტივება. სამ კლასში დადიან 5-დან 14 წლამდე და უფრო მორბილი ქართველები და შერეული ოჯახის შვილები. დადის ერთი მაროკოელი გოგონაც, ჩემი ქალიშვილის კლასელი. მას ისე მოეწონა ქართული ასოები, გვთხოვა, თუ შეიძლება ვისწავლიო. ახლა უკვე კითხულობს, წერს, შეიყვარა ქართული ენა. ქართული ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს თითქმის არ ესმოდათ მშობლიური და უკვე მივალნიეთ, რომ ისინი ქართულად საუბრობენ... ბავშვებს ქართულს ვასწავლით ევროპული კულტურის პარალელურად. ვუბნებთ, ევროპელი ჯენტლმენი ასე იქცევა, როგორ მოიქცეოდა ქართველი ვაჟკაცი ამ შემთხვევაში? რატომ ვცხარებით ქალებს, რას ნიშნავს ქართველისთვის დედა და ასე შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი გაკვეთილის შემდეგ იქაურმა ქართველმა, ქეთი რაფაგამ,

სადაც არ უნდა ვიყო...



ლიანა ჯიძია და ქეთი მელუა

მომახარა: — რა ბედნიერი ვარ, იცით? შინ მივედი და ვატომ (ვაჟმა) მითხრა: — შენ ქალი ხარ, დედა, მე უნდა დაგვხმარო. პალტო გამხადა და ჩამოვიდა. ვატომ პირველად დამიძახა დედა, თურმე რა კარგი გრძნობა ყოფილა, „დედას“ რომ გეძახიანო! შემოდგომის ზეიმზე ჩურჩხელები ამოვავლეთ, ღვინო დავწურეთ. პატარებმა — ხომ მაგრები ვართ, ჩურჩხელები რომ ამოვავლეთ! მეორემ — ჩვენ უფრო მაგრები ვართ, ღვინო დავწურეთო! მესამემ — ჩვენ, ყველანი, მაგრები ვართ, რადგან ქართველები ვართო.

ქართული სკოლის ფუნქცია ქართული წერა-კითხვის სწავლა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართული ცენტრის შექმნის დროც დადგა. აქაურ ქართველებს დიდი იმედი აქვს ჩვენი.

— **როგორი ავტორიტეტი აქვთ ქართველებს ლონდონში?**

— იყო დრო, როცა ქართველი, როგორც ეროვნება, გაუგებარი იყო ინგლისელისათვის. ხან ამერიკელები ვეგონეთ, ხან თურქები. ზოგმა შავი ზღვაც არ იცოდა რა იყო, კავკასია არ გაეგონა. ერთ-ერთი პირველი ემიგრანტის შვილები — პეტრე და დავით მოდერნიზაციები მეუბნებოდნენ: ჩვენ სულ პრობლემა გვაქვს, გვარს რომ ვიტყვი, გვეუბნებიან, ვინ ხართ, სადაურებიო? ამას წინათ კი გახარებულმა მითხრა, ახლა რომ სადმე დავრკევ და გვარს ვამბობ, მეუბნებიან — ჯორჯიან? თბილისი? — ქართვე-

ლებს უკვე გვიცნობენო.

— **ქართული მომღერალი ქეთი მელუა ლონდონში ძალიან პყვარებათ...**

— მის მშობლებს უნდოდათ, ქეთის ჩვენთან ევლო სკოლაში, მაგრამ ისინი ჯერ ირლანდიაში ცხოვრობდნენ, ახლა ლონდონის გარეუბანში არიან. მანქანა არ ჰყავთ და ვერ ასწრებენ ჩამოსვლას. ქეთი მელუა მისივე საავსებელთან შესვედრარზე მიიწვიეს. უნდა ემღერა. დილით გაიღვიძა და ხმა არ ჰქონდა. ექიმმა აუკრძალა არა მარტო სიმღერა, მაღარ-აკიც კი. ლელავდა ქეთი.

ბოლოს, ორი სიმღერა მაინც შესრულა. მიხარია ინგლისელებთან ერთად ქართველებიც რომ არიან აქ, ამიტომ პირველად „ციცინათელას“ გიმღერებთო, — გამოაცხადა. საავსებელმა იხუმრა — აქამდე ყველაზე მაღალი რეიტინგი მე მქონდა, დღეს კი, მიხვდი, ქეთის უჯობნიაო.

— **ინგლისელებს რა მოსწონთ ქართველი ემიგრანტებისა?**

— დიდი სახელი მქონდა გიორგი და მარინე თუმანიშვილების ქართულ რესტორანს „Lucky Village“. ეს რესტორანი რომ ფეხზე დამდგარიყო, მეც ვესმარებოდი, ვმზარულობდი კიდევ. გაზუთებში ყოველკვირულად ინერგებოდა ჩვენი სამზარეულოს შესახებ. ერთმა მხლის ირლანდიელმა აღნიშნა, — არ მეგონა, სადღის ან ვახშამს თუ ამხელა სიამოვნების მინიჭება შეეძლო ადამიანისთვისო. მერე შვილიც გვასტუმრა — ნახე, გემო გაუსინჯე, რა საჭმელიაო...

— **რა მოწონა ასე?**

— საცვი, თიხის ქოთნის ჩანახი, მწვადი, ხაჭაპური. ყოველდღე ვამატებდით თითო კერძს. აჯაფსანდალი რომ აჯაფსანდალია, ისიც კი მოსწონდათ.

— **ახლაც არის ეს რესტორანი?**

— ეს არა, მაგრამ გაიხსნა ახალი — „Dili Gorgia“, რომელიც ტონი ჯონსის კუთვნიან. რესტორნის სიმბოლოა დიდი, ბუტაფორიული ნიგოზი. ინგლისელები ამბობენ, საქართველოში, რაც გემრიელია, ყველაფერი ნიგოზით იკმაზება.

ბაო. ქალბატონმა ნათელა სინჯიკაშვილმაც გახსნა რესტორანი „თბილისი“.

— **რას ფიქრობენ ქართულ ოჯახებზე თქვენი ბრიტანელი მეგობრები?**

— ჩემი გოგონა ლონდონელმა ექიმებმა გადაარჩინეს. გულის სამი ოპერაცია გაუკეთეს. 2 წლის და 2 თვის იყო მაშინ. 3 წლის რომ გახდა, ექიმები შინ დავაბრუნეთ. ქართულად 60-კაციანი დაბადების დღე გადავიხადეთ. რალანდირად მივაკვლიეთ ქართულ ღვინოს. შევწვი მწერები, გავახვიე ფოთლებში, თითოეული სტუმრისათვის რომ გამეტანებინა. ჩემმა მეუღლემ — ინგლისელები მაგას მაინც არ წაიღებენ, ტყუილად ირგებო. ნუ გედარდება-მეთქი, დავამშვიდე. მართლაც, ორ-ორი ბოთლი ღვინო, მწერი და ხაჭაპური გავატანე თითოეულს. რეანიმაციის განყოფილებაში დირექტორმა ოვენ მილომ გვითხრა: მორიგე ვარ საღამოს, ვერ დავლევო. ვთხოვე, ღვინო მხოლოდ გასინჯეთ-მეთქი. წყალი მოითხოვა, ღვინოს გავაზავებო. ქართულ ღვინოს წყალში არ ურევენ, ის სისხლია და სისხლში მიდის-მეთქი. ზუმრობით მკითხა: — თქვენი ღვინო ქრისტეა თუ მოდისო? დიას და ამ ღვინოს რეანიმაციაშიც კი ასმევნ კაცს-მეთქი. გასინჯა. მორიგე კი ვარ, მაგრამ ოპერაციას ხომ არ ვაკეთებო და კიდევ დღია. ბოლოს, იყვირა: ხალხო, საქართველოში გამიკეთეთ ოპერაცია, რეანიმაციაში მინდაო! ჩვენი სტუმარმასპინძლობით აღფრთოვანებულები არიან. ინგლისელები რომ გვემატებოდნენ, ხშირად თხრობას ასე იწყებენ: როგორც თქვენი თამადა იტყოდო... ესეც კი ისწავლეს. ვიცნებო, საქართველო ყველასათვის სამაგალითო ქვეყნად იქცეს.

— **შეცვლილი გეგნათ ჩვენი ქვეყანა?**

— იმედი მქონდა, სასიკეთო ცვლილებებს ვნახავდი. მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ჯიხურები აუღიათ. ბევრი ბიზნესმენი ჩამოვიდა, მაგრამ ვინმე, ასე ქართველები მხოლოდ დაქირავებული მუშახელის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით... ქართული წარმოება უნდა განვითარდეს.

ზოგჯერ ვიტყვი, საქართველოში მინდამეთქი, მაგრამ ახლა ჩემთვის შვილის სიცოცხლე უმთავრესია... და კიდევ: ჩემი სკოლა ჩემი მეორე ანაა — ჩემი ქალიშვილი. ორივეს სიცოცხლისათვის თანაბრად ვიბრძვი. ბევრი ენერგია მიაქვს სკოლას, ხელფასს ჩვენ ვერ ვარიგებთ, უცებ პედაგოგი რომ არ მოვიდეს, მზად უნდა ვიყო, ყველა საგანში ჩავატარო გაკვეთილი. ეს იოლი არ არის, მაგრამ გადარჩენისათვის აუცილებელია...

ლელა ჯიჯაშვილი

აპირებს თუ არა „ჩემოდნების შეკრას“ ირაკლი ხიზანიშვილი...

ვცხოვრობთ რიგითი ამერიკელებით და ამას ემატება ფიქრი საქართველოზე...

ცოტა ხნით ადრე, სანამ ამერიკაში გავმგზავრებოდი, საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა „თუში მეცხვარე“ აჩვენა და სხვა უამრავ ქართველ მაყურებელთან ერთად, მეც გამიჩნდა კითხვა — სად არის ახლა ჩემი თაობის უსაყვარლესი მსახიობი ირაკლი ხიზანიშვილი — „ლექსო“... რამდენი ხანია მის შესახებ არაფერი გვსმენია-მეთქი.

ახლა კი, ვამინგტონში ვგებულობ, რომ ისიც უამრავი ქართველი სამშობლოდან გადმოხვეწილა... ერთ მშვენიერ დღეს კი ხიზანიშვილები ოჯახშიც მოვხვდი. მათი სახლი ვამინგტონის სავაშოდ ლამაზ, მყუდრო უბანშია. ჩვეულებრივი, ტიპური ამერიკული სახლია, სამაგიეროდ, შიგნით, ინტერიერიდან დაწყებული, უბრალო ნივთით დამთავრებული, ყველაფერი ქართულია... ირაკლის მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ნანა ისე გვხვდება, როგორც დიდი ხნის უნახავ ახლობელს. სულ მალე უცხო მინაზე, მაგრამ ქართულ გარემოში ქართული სუფრაც იშლება... ირაკლი „მიიმედ“ ლაპარაკობს. დროდადრო სიგარეტის მოსანწევად აივანზე გადის. არ ვიცი, რამდენად შესაფერისი მომენტია, მაგრამ არ მინდა „მანსი“ ხელიდან გაუშვა და უკვე გამზნაურებული ინტერვიუს ვიხივ — ქართული კინოს მოყვარულების და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის რამდენიმე სიტყვა გაიმეტოს. ჩემს თხოვნაზე წამით ჩაფიქრებული ირაკლი კატეგორიულ უარს მეუბნება — მას შემდეგ, ჩემს თავს პრობა მივეცი — არასოდეს, არანაირი ინტერვიუ. „მას შემდეგ“, ამბობს ირაკლი, მაგრამ არ აკონკრეტებს, რის შემდეგ, მე ჩემეზურად ვგებულობ — ალბათ „მას შემდეგ“, რაც კინოსთან ურთიერთობა განწყვიტა და მისი ცხოვრება სულ სხვა გზით წავიდა, ეს კი უმტკივნეულოდ არ მოხდებოდა... და სიტუაციიდან „თავის დასაწევად“ ირაკლი სიგარეტით ისევ აივანზე გადის, ხოლო ქალბატონი ნანა მამშვიდებს, — თუ გაინტერესებთ, მე გეტყვით რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს ირაკლი ხიზანიშვილი...

...და მიაბზობს:

— ირაკლი აქაც ქართულ საქმეს აკეთებს — ქართულ ენას ასწავლის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. საქართველოში ამერიკის საელჩოს თითქმის ყველა თანამშრომელი ირაკლის ყოფილი სტუდენტია. ირაკლი ისევ თავისი ქვეყნის სამსახურს აგრძელებს, ოღონდ, სხვა სტატუსით — ახლა მას-

წავლებელია, თუმცა როგორც თვითონ ამბობს, მასწავლებლისა და მსახიობის პროფესია ძალიან ახლოსა ერთმანეთთან, იმ-იტომ, რომ კარგი მასწავლებელი კარგი მსახიობიც უნდა იყოს...

— **არა მგონია, ირაკლი, თუნდაც იმავე ქართული საქმის საკითხად ასე სვალდებოდ, უმიზეზოდ გადახვეწილიყო სამშობლოდან...**

— ჩვენი გადანწყვითილება დიდი პროტესტის გრძნობით იყო გამოწვეული. 12 წლის წინ შეიძლება ბევრს რაღაც ილუზიები ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მაშინვე კარგად ვიცოდით, შევარდნაძის დაბრუნება რასაც მოუტანდა საქართველოს. ამიტომ, მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკური ემიგრანტები ვართ. მას შემდეგ, რაც წამოვედით, მე და ბავშვები სამჯერ ვიყავით საქართველოში, მაგრამ ირაკლი ერთხელაც არ წამოგვყვა. დაიფიცა, სანამ შევარდნაძე საქართველოში იქნება, იქ არ დავბრუნდებო... ამიტომ 23 ნოემბრის შემდეგ ყველა ურევავდა და ევითებოდა — აბა, დაინყე თუ არა ჩემოდნების ჩალაგებაო? მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავს იკავებს...

— **ძნელი წარმოადგენია, რომ ერთ დღესაც ასეთმა ცნობილმა და ვერლასთვის საცვარელმა მსახიობმა კინოს თავი დაანება. მართალია კი თქვა — ეს ყველაფერი უკვე გადავლახეთ, მაგრამ ამ სიტყვების მიღმა მე მაინც დიდი ტკივილი დავინახე...**

— აქ რომ წამოვედით, ირაკლიმ თავისი ბოლო ნამუშევარი, პაატა მლორავას ფილმი „ვირთხა“ წამოიღო. ჩრდილოეთი კაროლინა კინოინდუსტრიის პატარა ცენტრია. პოლიუ-დიდან იქ ჩაჩვეთ ხოლმე ფილმები. სწორედ იქ მოანწყვეს ამ ფილმის ჩვენება. დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამ ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ირაკლის უთხრა — თქვენ დიდი მსახიობი ბრძანდებითო.

— **ამ ფაქტის შემდეგ მიკვირს, რატომ არ სცადა ბედი რომელიმე კინოსტუდიაში...**



ირაკლი მელუა და ქალიშვილიან ერთად

— ალბათ შეიძლება კინოზე სერიოზული ფიქრი, თავიდანვე კალიფორნიაში რომ ჩავსულიყავით. ჩრდილოეთ კაროლინიდან კალიფორნია ძალიან შორსაა. მე აქ სამუშაოდ ვიყავი მონეველი, ბავშვებს სკოლაში უნდა ევლიათ, ხოლო თუ ირაკლი იქ წავიდოდა, მარტოს მოუწევდა ცხოვრება. თანაც, აქ თავიდანვე იმ გაზრახვით წამოვედით, ცხოვრება ისე წარგვემართა, როგორც ჩვენი შვილების მომავლისთვის იქნებოდა უკეთესი. იმ ფილმის ჩვენების შემდეგ მართლაც გაჩნდა ინტერესი, ირაკლის შესთავაზეს კიდევ — თქვენი აგენტები ვიქნებითო, მაგრამ ამ საქმეს სათანადო განწყობაც სჭირდებოდა. ირაკლის კი სწორედ ეს განცობა აღარ ჰქონდა. ბევრჯერ მიკითხავს მისთვის — გული თუ გწყდება-მეთქი და ყოველთვის მოკლედ მაპასუხობს — ეგ უკვე გავლილი ეტაპია. შეიძლება ირაკლი კინოს ოდესმე დაუბრუნდეს კიდევ, მაგრამ დღეს რასაც აკეთებს, ზამდვილად ვიცი, რომ გულით აკეთებს. თავის უცხოელ სტუდენტებს მარტო ქართულ ენას კი არ ასწავლის, აცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ ხასიათს და ეროვნულ ტრადიციებს. ვთვლი, რომ ირაკლი ახლა უფრო კარგ საქმეს აკეთებს საქართველოსთვის, ვიდრე პოლიუდში რომ წასულიყო და თუნდაც თავბრუდამხვევი სამსახიობო კარიერა ჰქონოდა.

— **ნანა, წელან თქვით — აქ ჩამოსულებმა რთული გზა გავიარეთო, მაგრამ გენდგა, ეს გზა წარმატებით გაგივლიათ. და მაინც, როგორ ცხოვრობთ დღეს?**

— სხვათა შორის, ამ ქვეყანას ერთი თვისე-ბა აქვს — ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი. მე უკვე ვიცი, სამი თვის შემდეგ ამა და ამ საათზე რა უნდა გავაკეთო. ამერიკა წინ გახედვის ქვეყანაა. ხანდახან ირაკლი იტყვის, დღე ისე გადის, ვერაფერს ვასწრებო. ვცხოვრობთ რიგითი ამერიკელებით და ამას ემატება ფიქრი საქართველოზე. იმ დღეს, როცა საქართველოსთვის გადაწყვეტი მომენტი დგებოდა, მთელი დღე ტელევიზიზე ვიყავით ჩამოკიდებულები, ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ საქართველოდან არც წამოვსულვართ, არ გვეგონა, ოკენე თუ გვეყოფდა. თითქოს ეს მანძილი არც არსებობდა...

— **როგორც თქვით, ცხოვრებას ისე წარმართავთ, როგორც თქვენი შვილების მომავლისათვის იქნება უკეთესი. შვილები თუ ამართლებენ ამ „მსაფერ-პლს“?**

— საერთოდ მკაცრი ვარ ჩემი შვილების შეფასებაში... ანიმ ფსიქოლოგობა აირჩია. ისე გააჩვენეს ფილმს, მხატვრულ ნაწარმოებს, გაგიკვირდება. ადამიანის ხასიათში ღრმად წვდომის საოცარი უნარი გააჩნია და კარგადაც წერს. ვნახოთ, მერე როგორ წარიმართება მისი ცხოვრება, ჯერჯერობით კი ერთ-ერთ უძველეს ამერიკულ კოლეჯში სწავლის უფლება მოიპოვა... თიკომ ბაკალავრის ხარისხი მიიღო ბიოლოგიაში, ახლა კი სამედიცინო სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტია...

— **თქვენთან საუბარში იმავე კითხვით მინდა დაგამთავრო, რასაც ირაკლის ეკითხებოდნენ ნოემბრის მოველენების შემდეგ — როდის აპირებთ „ჩემოდნების შეკრას“ სამშობლოში დაბრუნებულად?**

— მე და ირაკლი დღესვე მზად ვართ, ჩემოდნები ჩავალავთო. მაგრამ რეალურად, ამ ეტაპზე, სანამ გოგონები სწავლას არ დაამთავრებენ, აქედან ვერსად წავალთ, მათ ვერ მივატოვებთ. დამიჯერეთ, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობაც მივიღეთ და აქ საკუთარი სახელიც შევიძინეთ, საქართველოდან არასოდეს წამოვსულვართ...

P.S. ფილმში „თუში მეცხვარე“ ერთი ასეთი ეპიზოდია, პატარა მწყემსს რომ ეუბნებიან — „ბაბლო, აი ეს არი შენი სამშობლო...“ საქართველოდან არასოდეს წამოვსულვართ — თქვა ნანამ. მჯერა, მაგრამ მინდა ისიც დავიჯერო, რომ ამჟამად „სხვათა ნერგზე გადარგულ“ მათ მშვენიერ გოგონებსაც არასოდეს დაავიწყდებათ, რომ საქართველო მათი სამშობლოა და არასოდეს დასჭირდებათ შეხსენება — „ბაბლო, აი, ეს არი შენი სამშობლო...“

ციცინო ჯერვალდზე, ვაშინგტონი

რომის პაპმა, იოანე XIII-მ, XX საუკუნის 50-იან წლებში ქართველი ქალის დამახასიათებელი ტიპის პორტრეტი ითხოვა (იგი სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ტიპაჟურ სახეებს აგროვებდა). მას მეფეა ჯაფარიძის, ლიანა ასათიანის, ლია ელიაშვილის და დოლო ჭიჭინაძის სურათები გაუგზავნეს.

პაპს აღფრთოვანება ვერ დაუმაღლავს და უთქვამს: — ესენი (მეფეა ჯაფარიძე და ლია ელიაშვილი) დიდებული ცხოველები, ეს (ლიანა ასათიანი) — მშვენიერი ადამიანები. აი, ეს სახე კი (დოლო ჭიჭინაძე), მეგონი, მართლაც ქართულიაო.

ეთერ ავაზაშვილი-მაცხორაშვილისა ნიგინიდან „საქართველოს მშვეთვარე ქირისუფალი“

ქალბატონ დოდოსთან ვარ სტუმრად. მშვენიერ მანდილოსანს, რომლის მოგონებები წარსულში გვაბრუნებს, ხელში ნიგინი უჭირავს, სადაც მისი ცხოვრებაა აღწერილი.

— ამაში იმის მეოთხედი არ ჩაეტია, რისი თქმაც გვინდოდა. ძალიან საინტერესო ცხოვრება გავიარე, ბევრი მაქვს მოსაგონარი, — გვეუბნება მასპინძელი და ლამაზი თვალებით გვიყურებს, — მაშა თეთრგვარდიელი იყო. განსაკუთრებით ვუყვარდი, რადგან მე ნიგინი მიყვარდა, მაშა კი ნიგინის უდიდესი პატივისცემული გახლდათ. საერთოდ, ჭიჭინაძეები განსწავლულობით გამოირჩეოდნენ. ხომ იცით, ვინ იყო ზაქარია ჭიჭინაძე? — ვახტანგ V-ის შემდეგ პირველი ქართული ნიგინის გამომცემელი. ბიძაჩემი, ბესარიონი, ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი იყო. იმ დროს მთელი საქართველო მღეროდა: „ჭიჭინაძე, შენ გაგიქრეს ეს თავი, / რად გინდოდა ეს ზაქარია, ნეტავი? / არმოიყობას დაგვიშლიან ქუჩებში, / ელექტრონი ჩაგვანათებს ტუჩებში“.

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მაშა სიკვდილს მისმა სკოლის ამხანაგმა, ბოლშევიკმა სიმონ ჯულელმა გადაარჩინა და კახეთში წასვლა ურჩია. მაშა იქ ექიმმა ანდრონიკაშვილმა შეიფარა.



დოდო ჭიჭინაძე და კონსტანტინე გამსახურდია უშანგი ჩხეიძის საფლავთან

მე ქუთაისში დავიბადე, მაგრამ კახეთში გავიზარდე. დიდი ბაბუა, ალექსანდრე ჭიჭინაძე, პეტერბურგში ცხოვრობდა. ივანე რატ-იშვილთან ერთად მანაც შეიტანა წვლილი ერ-მიტაყის საგანძურის დაცვაში. სხვათა შორის, მე რატიშვილს ვიცნობდი. სწორედ მან მასწავლა ცხენზე ჯდომა იზოდრომზე, როცა „ბამი-აჩუკის“ გადასაღებად ვმზადდებოდით. მარტო მე კი არა, ყველა მასთან სწავლობდა ცხენოსნობას.

— პეტერბურგიდან დაბრუნებული ივანე რატიშვილი ისე უმზაუროდ ცხოვრობდა, ბევრმა არაფერი იცოდა მასზე. — ბევრმა არც ის იცის, თეატრი რამდენ დევნილს იფარავდა. ლევან გოთუა პატიმარი იყო, როცა ვახტანგ ტაბლიაშვილმა სამი პიესა შეიტანა სამხატვრო საბჭოზე, სამივე გოთუა-სი. ეს პიესები გამოგვიგზავნეს, გვარი არ აწერიაო. საბჭო დათანხმდა. სამივე პიესა დაიდგა. ლევან გოთუა რომ დაბრუნდა გადასახლებიდან, ჩვენ გუნდად ვვხვდებით, სულ უკან დაგვივბოდიშა. ეს იყო კაცი, რომელმაც არ დაკარგა საქართველოს მომავლის რწმენა. არა-სადღეს დაუნუნუნია, გაუტყვავი პიროვნება იყო. 15 წელი ვთამაშობდი „მეფე ერეკლეში“ ანა ბატონიშვილის როლს. არასოდეს დამავიწყებდა ბატონი ლევანის ანთებული თვალები. კმაყოფილი იყო ჩემი თამაშით... თუმცა მარჯანიშვილის თეატრში არავინ თამაშობდა, ჩვენ სცენაზე ვცხოვრობდით. ამ თეატრმა მიიღო გადასახლებიდან დაბრუნებული გრიგოლ კოსტავა, რომელმაც დადგა რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“. ამ პიესაში განვასახიერე ჩემი უსაყვარლესი როლი — სამშვილიან დედა. ბედნიერი ვარ, რომ მთელი ცხოვრება სამშობლოსთვის შეწირულ ადამიანებს ვთამა-

ქარბიზ გვკრი ვნახე და ცუდი...



„თოფიც კი შეიძლებოდა ამელო თავისუფლებისთვის“

ქანის გასაღებს ატრიალებდა. ვინა ხარ, ახლავე დამიბრუნე ჩემი გასაღები-მეთქი, — მივახალე. შერცხვა. იმ წუთშივე დამიბრუნა. ვუთხარი: — მე ვერც ესენი მესვრიან, ვერც ისინი. ყველა ჩემია და იმიტომ-მეთქი. ხმა არ ამოუღია.

— დიდი სიხარული თუ განგიცდიათ?

— დიდი სიხარული ბევრი არ მქონია, იმიტომ რომ ცხოვრება ძალიან მძიმეა. კარგიც ბევრი ვნახე, ცუდიც. ერთხელ, გასვლითი სპექტაკლი გვექონდა სამეგრელოში. ჩემთან ერთი პატარა გოგონა მოვიდა და მკითხა: — დეიდა, თქვენ ხომ დოდო ჭიჭინაძე ხართო. მსახიობებს სიცილი აუტყვიათ. რა გაცივებთ-მეთქი? სადაც წავა ეს ქალი, ყველგან იქაურიო. გულში ჩავიკარი ის გოგონა, ძალიან რომ უნდოდა, მეგრული ვყოფილიყავი. გამიხარდა.

— თქვენ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან ახლოს ყოფილხართ,

შობ.

— გამორჩეულად რა გახსოვთ?

— 1949 წელს, სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ბელადი ვნახე. მაშინ სოლიკო ვირსალაძემ ოქრომკედით მოქარგული ქართული სამოსი შეგვიკერა და ასე წარვდევით... სტალინი სანდომიანი, ვუჯაცური აღნაგობის კაცი იყო. მარცხენა ხელს ვერ ამოძრავებდა, სულ მუნდირში ედო... გული მტკივა, როცა სტალინს ლანძღავენ.

ფეიქრობ, მაშინ 1937 წელი თვითონ ხალხმა მოუწყო ერთმანეთს, ძალიან იცოდა სტალინმა, ვის რამდენი სული რქოსანი ჰყავდა?! სამწუხაროდ, ხალხი აბეზლებდა ერთმანეთს. ამიტომაც არ არის სწორი, მხოლოდ სტალინს დაჰბრალებდნენ ყველაფერი, თორემ ჩემი ოჯახი რეპრესირებული ოჯახია. სამი მამიდა მყავდა გადასახლებული. სულ ახლახან რაც ხდებოდა, ერთმანეთის გაქილიკება, ერთმანეთზე ნაგვის გადაყრა, ეს ვისი ბრალია? აჲ, ახლოს, ტუა-ლეტი იყო და საუნად გადააკეთეს, სადაც ყმანვლი ქალები მამაკაცებს ემსახურებიან. ეს არ არის საშინელება? ვისი ბრალია მერე?

— მამიდები რატომ გადაასახლეს?

— ქმრების გამო. ჯერ მათი ქმრები გადაასახლეს... მამიდა მიაშობდა ხოლმე, ბანაკში ერთი ქალი იყო, მარო ერქვა. შეძლებული გლეხის ცოლი ყოფილა. რომ მოენატრებოდა შვილები, დაინწყებდა გულში მგლის ცემას და გოდებას — შვილებო, შვილებოო! სხვა ქალები აწყნარებდნენ. რომ ჰკითხავდნენ, რატომ გადაგასახლესო, გოგონებული პასუხობდა თურმე, — რა ვცი, გენაცვალე, პოლიკინიკაო, პოკილიკაო... თურმე „პოლიტიკურზე“ გადაუსახლებიათ!.. ასეთი ტრაგიკომიკური სიტუაცია იყო... ხალხი მარტო პოლიტიკის გამო კი არა, ხშირად შურის გამო ხდებოდა ციხეში.

— ქალბატონო დოდო, დიდი შიში თუ გიგრძნობთ?

— 90-იან წლებში, როცა ყველაფერი აირდა-იარა საქართველოში, ძალიან შევშინდი.



მამა — ვასილ ჭიჭინაძე

იცით, რას გვრძნობდი? რაკი რუსთაველთან ახლოს ვცხოვრობდით, კარი სულ ღია მქონდა, რომ სროლას გამოირიდებოდა, გამოქცეული ხალხი შემოსულყო. შემოცვივდებოდნენ ხოლმე. ვინ იცის, რამდენი დამალვია აქ ტყვიას.

— იარაღიანი ხალხი ხომ არ შემოცვნილა თქვენთან?

— არა... სხვათა შორის, ჩემდამი მაინც ჰქონდათ პატივისცემის გრძნობა. იმ სამარცხვინო ომის დროს ჩემს მძღოლს მანქანა რომ წაართვეს, მოვიხივე შალი და გავიქეცი. ჩემს მანქანასთან იარაღიანი კაცი იდგა, ხელში მან-



ელენე ყიფშიძე, ალექსი ბუზ-ოლლი და დოდო ჭიჭინაძე

ხშირად დადგოდი მათთან?

— ხშირად დადგოდი, ძალიან მიყვარდა მირანდა, ზვიადის და — თამარი. კონსტანტინე გამსახურდიას ერთი შვილის ნუკრი ჰყავდა, ჩემს სახელს ეძახდა. ძალიან ვუყვარდი... — თეატრის ძველი ამბებიც გაიხსენეთ...

— გიორგი შავგულიძე ჩემი პირველი პარტნიორი იყო... „ძია ჟორა“ ისე მექცეოდა, როგორც ბავშვს. არაერთხელ ჩავუდგდით უხერხულ მდგომარეობაში თავის მიერ შერქმეული უცნაური მეტსახელით. ერთხელ ლოჟიდან გადმოძახა: — „ტრაკუნ, როგორა ხარ?“ იმ დროს კი თეატრში სტუმრები იყვნენ ცეკადან. ამიტყდა ტირილი, ვერ დამამშვიდეს... სულ ვტიროდი ხოლმე, როცა ასე მეძახდა. „დავით გურამიშვილს“ ვიღებდით... ერთ სცენაში შავგულიძე-დავითს ჩემთვის უნდა ეკოცნა. მოიტანდა თავს ჩემამდე, აუტყდებოდა სიცილი. კიდევ, კიდევ... ბოლოს, რეჟისორმა დაუყვირა: — რა არის, ქალისთვის არ გიკოცნიაო? ჟორამ წელა მიაბრუნა თავი: — ქალისთვის კი მიკოცნია, მაგრამ ბუღარტისთვის არაო... ასეთი იყო...

ერთ ამბავსაც გავიხსენებ: პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ მიდის თეატრში. შევდგი თუ არა ფეხი ფოიეში (მე არ ვთამაშობდი, სპექტაკლის სანახავად მივედი), მეცნენ და საგრიმიროში გამაქანეს. ჩამაცვეს ჭუჭყიანი, დაკონკილი კაბა და — მელორე ვერიკა ითამაშეო. გულზე შემომეყარა. რა უნდა ვქნა? უნდა ითამაშო, სხვა გზა არ გვაქვს, მსახიობი ცუდად გახდაო. როდის უნდა შემოვიდე სცენაზე-მეთქი, — ვკითხები ჟორას. კულისებში იდგები, მე დაგიმახებ, ვერიკა-ო და შემოხვალ. როდის გავიდე კულისებში-მეთქი. როცა ერთ ადგილას გიმეწეო... მოკლედ, გაისმა სცენიდან — „ვერიკა!“ და შევვარდი. მეკითხება, — ღორები როგორ არიან, ჭამის მადა თუ აქვთო. ვპასუხობ. ბოლოს, მკითხა, — რამდენი გოჭი გააჩინაო... ოცდათექვსმეტი-მეთქი! — ვუპასუხე სწრაფად. გიორგი შავგულიძე კი გაოცდა: — რაო? ოცდათექვსმეტიო?.. ჩაბყირდა დარბაზი. მეტი სისულელე რომ არ მეთქვა, შავგულიძე ერთ ადგილას მიბნენა. სულ დამავიწყდა, რას ნიშნავდა ეს. ძალიან გავბრაზდი. ერთი კი ვიყვირე: — რას შერებთ-მეთქი და ატრებოდა გავვარდი სცენიდან.

საერთოდ, ტრაგიკულ როლებს უფრო მაძლევდნენ. ერთხელ „მედეაში“ ვთამაშობდი. ატყდა დარბაზში უადგილო სიცილი. ვერ გავიგე, რა ხდებოდა, რადგან დამოკილი ვიყავი. შევხედე ტარიელ საყვარელიძეს — გაფითრებული დგას. თქვა თავისი ფრაზა და გავიდა „ამალით“. დავრჩი მე, მაგრამ ხალხი იცინის. როგორ განდა ტრაგიკული მონოლოგი წაიკითხო? ეტყობა, ისე შევშინდი, ჩემი სათქმელი კი არ ვთქვი, ვიკივლე. დარბაზი უცებ

დანაწარდა. მონოლოგი ჩავამთავრე და კულისებში გავვარდი. თურმე რა მომხდარა: ჩვენს შესანიშნავ მსახიობს, ბონდო გოგინავას, ტოგა გამოსდებია ლურსმანზე, თავი ვეღარ შეუმ-აგრებია და პირველ რიგში მჯდომ ქალბატონს ჩავარდნია კალთაში. მოდი და ნუ გაგეცინებოდა...

ვასო გოძიაშვილმა უცნაური ბუზლუნი იცოდა, მაგრამ უკეთილესი კაცი იყო. ერთხელ ოთარ მეღვინეთუხუცესი მილიციამ დააკავა ჩხუბის გამო... მივედი ვასოსთან და ვთხოვე: — გამომყევით მილიციაში, გამოვიყვანოთ ოთარი, ხომ იცით, რა ნიჭიერი ახალგაზრდა-მეთქი. აბუზლუნდა... ბოლოს, მაინც წამოვი-და...

მარჯანიშვილის თეატრი სხვანაირი იყო... ერთხელ ბატონმა გიგა ჯაფარიძემ მიგვინვია ამბროლაურის თეატრში. „მეფე ერეკლეში“ ვასოს ერეკლე უნდა ეთამაშა, მე — ანა ბატონიშვილი, გიგა ჯაფარიძეს — ბესიკი. ბატონი ვასოს მეუღლემ, ქალბატონმა ჟენიამ, მთხოვა: — ვასოს მიმიხედ, ღვინო არ დალიოს, ფეხი აწუხებო... ქუთაისამდე მატარებლით წავედი. მეზობელი კუპედან ბიჭები შემოვიდნენ, ხვანჭკარა შემოიტანეს და მოილხინეს. როგორც იქნა, ძილის დროც მოვიდა. დავიწყე ჩაბარებული ბატონი ვასოს მოვლა, დავწვინე ქვედა საწოლზე, გავხადე ფეხსაცმელი, მივადექი შარვალს. რას შერებ, შე ყურუმსა-ლო, შენა? — მკითხა დიდმა არტისტმა. დავაღე-ბას ვასრულე, — მივუგე მხიარულად. ჩაკვეტე

კუპეს კარი. ავხტი ზედა საწოლზე. ბატონი ვასო იცინის, კვდება სიცილით. რა იყო, რა მოხდა-მეთქი, — ჩავეკითხე ზემოდან. ეს რა მიყო ამ ყურუმსაღმა! დროება შეიცვალა, დროება... ადრე ქალები ქვემოთ იყვნენ, მე ზემოთ ვიყავიო, — ხარხარებდა ბატონი ვასო.

— რომელიმე საჩუქარი თუ გახსოვთ?

— საჩუქარი იყო ჩემი მეუღლე — ალექსი ბუზ-ოლლი. გვიან გავთხოვდი. ის ბრწყინვალე ადამიანი იყო, რომელმაც მსოფლიო შემოიბა-არა. განათლებული და ძლიერი ვუჯაცია იყო. ვნაწიბ კიდეც, უფრო ადრე რომ არ გავყევი ცოლად.

შვილი არა მყოლია, მაგრამ ყველა ბავშვს შვილად მივიჩნევდი. ამიტომაც არის ჩემი ყველაზე საყვარელი როლი დედა — „ჯარისკაცის ქვრივი“... იმიტომ მიყვარდა, რომ ისეთ დედას ვთამაშობდი, როგორც მიმაჩნდა, რომ უნდა ყოფილიყავი. ვენაცვალე რეზო ჯაფარიძეს, რომელმაც ეს სპექტაკლი მომიძღვნა. იმ როლზე რომ დამამტკიცეს, დაიწყო თეატრში ჩურჩუ-ლი — დოდოს შვილი არ ჰყავს და მაგან როგორ უნდა ითამაშოს ეს როლიო... გამეცინა. ზოგისთვის ყველა შვილია, ზოგისთვის კი შვილიც კი არ არის შვილი და იცით, რატომ? იმ შვილს გაზრდა უნდა.

— ქალბატონო დოდო, ამბობენ, თქვენი დედამთილი ნადეჟა აბაშიძე-ბუზ-ოლლი ზაქარია ფალიაშვილთან მეგობრობდა.

— ასე იყო... ნადეჟა ბუზ-ოლლი ზაქარია ფალიაშვილის მუზა იყო, ხოლო ჩემი მამალი — კომპოზიტორი ოთარ გორდელი, ზაქარია ფალიაშვილის ერთადერთი შვილია... ეს საიდუმლო დრომ მაინც გასცა... არაჩვეულებრივი კაცი იყო ჩემი მამამთილი, მიხილ ბუზ-ოლლი. მან უნივერსიტეტი პეტერბურგში დაამთავრა და დასავლეთ საქართველოს ნათომბაგისტრალის მთავარ ინჟინრად დანიშნეს. აქ შესვდა ნადეჟა აბაშიძეს და შეუღლდნენ კიდეც. მიხილ ბუზ-ოლლი დაუახლოვდა ნობელს, რომლის საკუთრებაც იყო ბაქო-ბათუმის ნავთობმაგისტრალები. ამ გადაზიდვებს მიხილი ხელმძღვანელობდა. დღესაც ვინახავთ საბუღის, რომელშიც ნობელი ეკითხება ჩემს მამამთილს, სად უნდა გადაერიცხა მისი კუთვნილი მილიონ-ნახევარი დოლარი, ვოლ-გო-კამსკის თუ შვეიცარიის ბანკში... შვეიცარია შორს არისო, — უთქვამს მიხილ ბუზ-ოლლის. ვოლგო-კამსკის ბანკში ფული კი ჩაირიცხა, მაგრამ რეგულაცია მოხდა და „მილიონები“ თან გაიყოლა...

— ძლიერი ქალბატონი ბრძანდები-თ?

— ძლიერი ვარ. თოფიც კი შეიძლებოდა ამელო ხელში თავისუფლებისათვის, რომელ-იც, ბოლოს და ბოლოს, უნდა გვედროს... ამისთვის ყველაფრის ატანა შემიძლია...

ლელა ჯიგაშვილი

საქმე-დედური



ჩურჩხელა არა მარტო გემრიელია, ამავე დროს კალორიული, შესაბამისად მოხერხებული და მგზავრობისას ადვილად სატარებელიც. სწორედ ეს დანიშნულება ჰქონდა მას ყოველთვის. ჩვენი წინაპრები ომში მიმავალ მებრძოლებს ჩურჩხელას ატანდნენ საგზაოდ. საქართველოში ორი სახის ჩურჩხელას აკეთებენ: დასავლურს ანუ ჯანჯუსს, როგორც მას გურულები

ჩურჩხელა შემოდგომას უხდება...

ექსიან და კახურს, სიტყვობიდან თეთრად დაფერფლილ ჩურჩხელას. ჯანჯუსი სიმინდის ფეხილისგან მომზადებულ ფელამუში ამოვლებული თხილის ასხმულაა. კახური ჩურჩხელა კი — ოთხად დაჭრილი კაკლის ლეზნების ასხმულა, ხორბლის ფეხილისგან მომზადებულ თათარაში 2-3-ჯერ ამოვლებული. სხვათა შორის, რამდენიმე მკითხველმა გვთხოვა კახური და გურული ჩურჩხელის მომზადების „რეცეპტი“(!). როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა აინტერესებთ, როგორ ამზადებენ ჩურჩხელას ალმოსავლეთში და პირიქით. კახური ჩურჩხელის დასამზადებლად,

როგორც ზემოთ ვთქვით, კარგად გამშრალი ნიგვზის თითოეული ლეზანი ოთხად იჭრება და სასურველი სიგრძის ბამბის ძაფზე აისხმება. თათარის მოსახარმად ახალგაზრდული ყურძნის წვენი ჩაასხით ქვაბში, დადგით ცეცხლზე, ადუღეთ და თან ქაფი მოხადეთ. კარგა ხნის დუღილის შემდეგ გადმოდგით, ოდნავ რომ გაგრილდება, ჩაალესეთ პურის ფეხილი

(1 ლიტრ წვენზე 1 ჩაის ჭიქა), მერე ისევ დადგით ნელ ცეცხლზე, აადუღეთ და როცა თათარას ფეხილის სუნი აღარ ექნება, წინასწარ გამზადებული ნიგვზის ასხმულეში ამოავლეთ და გრძელ კოჭზე გადაკიდეთ გასაშრობად. კოჭი იმ სიგანისა უნდა იყოს, რომ ჩურჩხელები ერთმანეთს არ ეხებოდეს. ჯანჯუსიც ანალოგიურად მზადდება, იმ განსხვავებით, რომ თხილის ასხმულები ივლება სიმინდის ფეხილისგან მომზადებულ ფელამუში. შემოდგომამდე ტკბილი ტყლაპის მომზადებაც შეგიძლიათ. ხილის წვენიდან გააკეთეთ თათარა (ან ფელამუში) ზემოთ მითითებული წესით. საშუალო სისქის ფელამუში თხლად დაასხით ტილოზე, დადეთ მზეზე და გააშრეთ. მეორე ან მესამე დღეს ააძრეთ ტილოდან და თოკზე გაკიდეთ. ერთმა მკითხველმა კი ჩირის დამზადების ძალზე მარტივი მეთოდიც შემოგვთავაზა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ: გადაუშნივებული კურკოვანი ხილი დააწყვეთ თივაგადაფენილ გაზქურის ტაფაზე და შედგით ნელთბილ ჰაერულუმში გასაშრობად. შემდეგ ამოაცალეთ კურკები, ააცვით ძაფზე, დაკიდეთ მზეზე ისეთ ადგილზე, რომ ნიავეც უზერავდეს. იმავე მეთოდით შეგიძლიათ წინასწარ დაჭრილი ვაშლისა და მსხლის ჩირის მომზადებაც.

პიკილი სპიტი უპიკილადისთვის

კალანოე — დეკორატიული და სამკურნალო



— ამზობენ, კალანოე შეუდარებელი სამკურნალო მცენარეაო. თქვენ რას გეტყვით ამის შესახებ? გულნარა ჯანელიძე, ვანი

— ეს მშვენიერი, ხასხასა ნითელყვავილებიანი ოთახის მცენარე, ველურად დღესაც იზრდება ავსტრალიის, ახალი გვინეის, აფრიკის, ცენტრალური ამერიკის, აზიის ტროპიკებში. საქართველოში, კერძოდ აჭარაში, კულტივირებულია ფოთლოვანი კალანოე, როგორც ცნობილი სამკურნალო მცენარე. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისხედა ნაწილებიდან გამოწურული წვენი. ახალმოკრეფილ ღეროს და ფოთლებს რეცხავენ გამდინარე წყლით და ინახავენ ბნელ ადგილას 5-7 გრადუსი ტემპერატურის პირობებში, არა უმეტეს 7 დღისა, აქუცმაცებენ, რომ ადვილად გამოიწუროს წვენი, შემდეგ, ფილტრავენ, ასტერილებენ და აკონსერვებენ სპირტით, ასევე ამპულებში ან ფლაკონებში. გამოიყენება როგორც გარეგანი საშუალება, ჩირქოვან-ნეკროზული პროცესების, ტროფიკული წყლულების, ნაწილების, ტყავის გადანერგვის დროს. კალანოეს წვენი გამოიყენება აგრეთვე ნითელი ქარით დაავადებულთა მკურნალობისას. ოფთალმოლოგიაში რქოვანას ეროზიის დროს, თვალის ბაღურის პიგმენტური დეგენერაციისას. ნატურალურ წვენს 1:1 გაზავებული ანვეთებენ თვალში ჯიბილიბოს სამკურნალოდ. ოჯახის პირობებშიც აღნიშნული წესით ამზადებენ კალანოეს წვენს, იმ განსხვავებით, რომ არ აკონსერვებენ. ნატურალური სახით ინახავენ (წვენს) მაცივარში ქვედა თაროზე, თავდახურული მინის ჭურჭლით. ასე რომ, კალანოეთი შეგიძლიათ ბინაც გაალამაზოთ და მშვენიერი „საოჯახო აფთიკიც“ მოაწყოთ...

მიმინო მსოფლიო ჩიზებს ეგზავნება...



მიმინო მთელ მსოფლიოში გავრცელებული, პატარა ზომის მტაცებელი ფრინველია. აღწერილია 8 ქვესახეობა. საქართველოში გვხვდება ჩვეულებრივი მიმინო. დედალი მწიშნელოვნად დიდია მამალზე. გარეგნულად ძალიან ჰგავს ქორს, მაგრამ ბევრად უფრო პატარაა. იზამთრებს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში (თუმცა, საქართველოში მობინადრე არსადაც არ მიფრინავს). ბუდეს იკეთებს ხეზე, უფრო ხშირად ნაძვზე ან ფიჭვზე, ზოგჯერ ფოთლოვანებზეც. პირიქის ბოლოს ან მაისის დასაწყისში დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა 32 დღემდე აღწევს. კრუხობის მთელ პერიოდში მამალი კვებავს დედას. ახალი ნამატი 1 თვის ასაკში ტოვებს ბუდეს, თანაც, ამ დროიდან 2 კვირის შემდეგ სრულ განვითარებას აღწევს. მიუხედავად ამისა, მშობლები დიდი ხნის განმავლობაში კვებავენ შვილებს და ამავე დროს ნადირობასაც ასწავლიან. მოაქვთ ნანადირევი, მაგრამ კი არ აძლევენ, არამედ ელოდებიან, სანამ ბარტყები პირიდან არ გამოჰვლიან მოტანილ ნადავლს. მიმინო ორნითოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ძირითადი საკვები ბელურას ზომის ფრინველებია. მამალი ყოველდღე იჭრს 2-3 ჩიტს, ხოლო დედალი მეტსაც. კვების ხასიათის მიხედვით მავნებელია, რადგან ანადგურებს მგალობელ და ბელურასანიერ ყველა სახეობის ფრინველს. თუმცა ერთი დადებითი თვისება მაინც გააჩნია — წვრთნად და მწყერზე, გნოლსა და კაკაბზე სანადიროდ იყენებენ...

დის ხანგრძლივობა 32 დღემდე აღწევს. კრუხობის მთელ პერიოდში მამალი კვებავს დედას. ახალი ნამატი 1 თვის ასაკში ტოვებს ბუდეს, თანაც, ამ დროიდან 2 კვირის შემდეგ სრულ განვითარებას აღწევს. მიუხედავად ამისა, მშობლები დიდი ხნის განმავლობაში კვებავენ შვილებს და ამავე დროს ნადირობასაც ასწავლიან. მოაქვთ ნანადირევი, მაგრამ კი არ აძლევენ, არამედ ელოდებიან, სანამ ბარტყები პირიდან არ გამოჰვლიან მოტანილ ნადავლს. მიმინო ორნითოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ძირითადი საკვები ბელურას ზომის ფრინველებია. მამალი ყოველდღე იჭრს 2-3 ჩიტს, ხოლო დედალი მეტსაც. კვების ხასიათის მიხედვით მავნებელია, რადგან ანადგურებს მგალობელ და ბელურასანიერ ყველა სახეობის ფრინველს. თუმცა ერთი დადებითი თვისება მაინც გააჩნია — წვრთნად და მწყერზე, გნოლსა და კაკაბზე სანადიროდ იყენებენ...

მოზაიკა

* * *

აფრიკაში ბუდობს მცირე ზომის ფრინველი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები საფუტყრის მეგზურს ეძახიან. ეს ფრინველი „მეგობრობს“ თავიდან მანქანის, რომელსაც გზას უკვალავს ველური ფუტკრის სკამზე. მაჩვი სკას არბევს, თავს მირთმევს, ფიჭას კი ჩიტს უტოვებს. ამ ფრინველის მეგზურობით, ადგილობრივი მცხოვრებლებიც სარგებლობენ. ... უდაბნოს ბინადარ მტრედისხელა ფრინველს, ყრუნს წყლის მოპოვებისა და მისი ბარტყებამდე მიტანის საოცარი „მეთოდი“ აქვს. ყრუნს უნარი შესწევს 30 კმ-ზე გაფრინდეს, შევიდეს წყალში და დაელოდოს (15-20 წთ), ვიდრე მისი მკერდისა და მუცლის ბუმბული მთლიანად არ გაიჟლინებოდეს. როგორც კი ფრინველი ბუდესთან მივა, ბარტყები მიესვნიან და გულმოდგინედ „წოვენ“ ბუმბულს.

„აპრიკა“ ნაგაზი არ არის!



ქართულმა ნაგაზმა არაერთგზის განაცვიფრა მსოფლიო კინოლოგები. თუნდაც ის რად ღირს, რომ ცნობილი კინოლოგის, მერაბ ჭკუასელის „სიმბა“ იტალიაში ამ რამდენიმე წლის წინ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. სამწუხაროდ, „სიმბა“ დაიღუპა, თუმცა მისი და არანაკლებ ჯიშის ნაგაზის, „ბაჩის“ 12 ლეკვი ახალი ჩემპიონობისთვის ემზადება. ამჯერად, მკითხველის თხოვნით გთავაზობთ სტატიას ქართული ნაგაზის შესახებ, რომელიც მოგვანოდა ყოფილი კლუბის, „ფაუნის“ თავმჯდომარე, ომისა და შრომის ვეტერანმა, ბატონმა **პავლე ბაღვაშაშვილმა**.

„დავინწყებ იმით, რომ ფიდელ კასტროს ჩვენგან ნაუყვანია ქართული ჯოგის ორი ლეკვი. სხვა ხალხი ამ ორ ლეკვს ალბათ ძირისძირამდე ჩასდევდა. გაიგებდა მის შემდგომ ბედს. ჩვენ კი გავაჩუქეთ და... შესაძლებელია რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დაგვიბრუნდეს „კუბური აფიარკის“ ან „ამერიკული ნაგაზის“ სახელით. ჩვენთან, შორეულ წარსულში გამოიყენეს უიშვიათესი ჯიში — ქართული ნაგაზი, რომელსაც მსოფლიო კინოლოგები „კავკასიკა“ აფიარკას“ უწოდებენ, ქართულად კიდეც — „კავკასიურ ნაგაზს“. არადა, „აფიარკა“ — ნაგაზი არ არის! ნაგაზი ძირითადი ქართული სიტყვაა და მგლის მგუდავს ნიშნავს. იგი აღექვსანდრე მაკედონელის ბრძოლების შემდეგ დარჩენილი საბრძოლო ტიპეტური დოგისა და ქართული, გუშაგი ძაღლის სელექციით მიღებული უნდა იყოს. როგორც სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებს, ნაგაზი მწვერლისა და თარისიგან შობილია, თუმცა თუ „მგლის მიერ იშობა, იგი უმჯობესია“. რაც შეეხება ქართული ნაგაზის „გააფიარკებასა“ და „კავკასიურად“ მონათვლას, ამაში რუსებს უდევთ ლომის წილი. ნაგაზი წმინდა ქართული ჯიშია. ამას ადასტურებს მრავალი უცხოელი კინოლოგი, რომლებიც თვლიან, რომ „კავკასიური აფიარკის“ საუკეთესო წარმომადგენლები მხოლოდ საქართველოში გვხვდება. 1890 წელს კავკასიაში იმოგზაურა გერმანელმა ზოოლოგმა მიულერმა, რომელმაც აღწერა ქართული ნაგაზი, რომლის ზომებიც დღეისათვის მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. ხშირად მსმენია, რომ თითქმის ქართული ნაგაზი არ

მკითხველის ფოტო



რედაქციაში ხშირად გვიგზავნიან საინტერესო ფოტოებს. ამჯერად კი ერთი მართლაც გამორჩეული, სახასიათო სურათი გამოგვიგზავნა ჩვენმა ქუთაისელმა მკითხველმა მირანდა გიორგენიძემ. — ამ ფოტოზე ზაზაჩემია გამოსახული, 79 წლის შოთა ძონენიძე, — გვწერს მირანდა და დასძენს, — ზაზაჩემის ეს „ამპლოა“ უწოთ არ არის. იგი თავის საყვარელ არაყის სახდელ ქვანთან ზის, იმერული ქუდი ახურავს, ზოჯა თითქმის გაუცხია ჯავის არაყით და კმაყოფილია. ზაზას ძალიან უყვარს სტუპარი და ჩემი ნათქვამის სიმართლეში რომ დაგარნშუნოთ, კვირისპალიტრელენს მასთან გეპატიჟებით, ტყიპულის რაიონის სოფელ გურნაში... სიამოვნებით ვთავაზობთ მკითხველს ფოტოეტიფს, რომლისთვისაც ახალგაზრდა ფოტომოყვარულს „ზაზაჩემი“ დაურქმევია.

გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ

რედაქციისგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა განიტყვებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გავიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვანოთ საკუთარ მამულ-ფეოდალში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდეც ერთ ფოტოს გთავაზობთ). წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

1 გამოქვა-
ულუბის
შესწავლე-
ლი
მეცნიერება

2 წუქურთ-
მანი ქვა
ან ნიჟარა

3 მინირე-
ტორანი

4 რუსი
ფერმწერი

5 ვენე-
სუელის
დედაქალა-
ქი

6 ვირ-
ტუოზი
ვანესა...

7 ცხენების
ჯოგი

8 ზღვრული
ნორმა

9 რუსი
მომღერა-
ლი ...
იოსიფ

10 ალ-
ბანეთის
ფულის
ერთეული

11 ფურ-
ნალ-
გაზეთების
ერ-
თობლიობა

12 გერ-
მანელი
კომპოზი-
ტორი

13 შოტ-
ლანდიური
ნაგავი

14 პატარა
ფლეიტა

15 მიწის
ქალღმერ-
თი
ბერძნ.
მით

16 იაპო-
ნური
ბრინჯის
არავი

17 პრო-
გრესის
მოწი-
ნაღმდეგე

18 მწვე-
ლაფრის
ხელაღე-
ბით
უარყოფა

19 გარეუ-
ლი
ცხოველის
სადგომი

20 ჯემ-
ლის
ნამღელი
გვარი

21 ნელი,
აუჩქარე-
ბელი

22 ტყვილ-
გამაფრე-
ბელი
პრეპარატი

23 იაპონელ-
თა
ნაციონა-
ლური
სამოსი

24 სპე-
ციალური
სამუშაო
ტანსაცმე-
ლი

25 ჯუჯა
კამეჩი

26 სულხან-
საბა
ორბე-
ლანის
მშობლიური
სოფელი

27 ყანელი

28 საკრე-
ტო
ლაწესე-
ბულება

29 საკრე-
ბულო
მეჩეთი

30 ქალაქი
ინდოეთში

31 სამხედრო
ფორმის
შარვალი

32 მდინარე
ინდოეთში

33 ავტორ-
ბოლა

34 კათო-
ლიკური
სამოღვაწელი

35 ინდი-
ვლთა
ტომი

36 ნორე-
ეგიელი
კომპოზი-
ტორი

37 მწვალე-
ბლონა

38 მტკიცე
პირობა

39 ხმლის
ტარი

40 კამე-
ჩის
ნაშიერი

41 შინაუ-
რი
ცხენის
წინაპარი

42 მამაპა-
პისგან
დამკვი-
დრებული
წვეულება

43 მდინარე
რუსეთში

44 იტალი-
ის
ტელევი-
ზია

45 პუშკი-
ნის
მკვლელო

46 ტროა

47 გიბსონი

48 დიქტა-
ტორის
ტიტული
მეფე
რომში

49 რისამე
წაწვეტე-
ბული
ნაწილი

50 გაღამ-
ნარი
კარაქი

51 ზევსის
ფარი

52 მამალი
თხა

53 უკან
დახევა,
გაღახრა

54 ამორტი-
ზატორი

55 ლორად
გამოყ-
ვანილი
ზუთხის
გვერდი

56 კათო-
ლიკურ
მამათა
მონასტრის
წინამძღვარი

57 ლიდი
ხელიკი

58 ყვავილი

59 ყაიმი

60 აუქ-
ციონზე
გასაყიდი
ნივთი

61 ზღა-
პრული
ცხენი

62 მაკფერ-
სონი

63 მდი-
ნარის
ქვეიანი
ნაპირი

64 სვედი-
ანს
ლირიკუ-
ლესი

65 თვით-
მკვლელო-
ბის
წესი
იაპონიაში

66 ქართუ-
ეპოსის
გმირი

67 სასვენი
ნიშანი

68 მამაკა-
ცის
სა-
ღვასწაუ-
სამოსი

წინა სკანვორდის პასუხები: 1. დრომადერი; 2. ამება; 3. კატეგორია; 4. დირიჟაბლი; 5. იაიკი; 6. რეპეტიცია; 7. რომი; 8. ბადაგი; 9. დეპო; 10. ფრაუ; 11. წამი; 12. ამპიცია; 13. პამირი; 14. პეჟო; 15. კიმონო; 16. ანოდი; 17. ფილიპიკა; 18. ყასაბი; 19. გნომი; 20. გურია; 21. გიმნაზია; 22. ემალი; 23. ძმა; 24. მე; 25. ალი; 26. კოლტი; 27. ლოდი; 28. ცირკონი; 29. ლუვერი; 30. მალი; 31. კოლონა; 32. ლილიუტა; 33. ცილინდრი; 34. ვაცი; 35. ემუ; 36. ბარი; 37. ელიტა; 38. ზალბი; 39. მიზანთრობი; 40. სეიფი; 41. ბატატი; 42. ფიდელიო; 43. რალი; 44. აკვარელი; 45. ბულა; 46. დანტესი; 47. რიფი; 48. დო; 49. არტალა; 50. დრაფი; 51. პარასოლი; 52. მარსი; 53. მატადორი; 54. ბატი; 55. კარაველი; 56. კანა; 57. ლირი; 58. მიმი; 59. პა; 60. აბო; 61. მილიცია; 62. მალამო; 63. პანდა; 64. ბეი; 65. და; 66. სლაი; 67. სუმო; 68. სირია; 69. ქიმი.

1. დრიბლინგი; 2. წყურვილი; 3. მანიფესტაცია; 4. საჩუქარი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა
მანო კახაბიძე

კვალი მოყვარე თუ?..

კავკასიელს თანასწორობა სისხლში აქვს გამჯდარი

ჩრდილო კავკასია მსოფლიო მას-მედიისა და ჩვენს ყურადღებას ცხელი წერტილების გააქტიურებისას იპყრობს ხოლმე. არადა ქართველები მხოლოდ ჩრდილოკავკასიური „ტემპერატურის ცვალებადობაზე“ არ უნდა ვრეგირებოდეთ. ეს მხარე ჩვენი ქვეყნის საკმაოდ ტერიტორიას ესაზღვრება: სვანეთს ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი, რაჭას და ხევს — ჩრდილო ოსეთი, ხევსურეთს, თუშეთს და კახეთს — ინგუშეთი, ჩეჩენეთი და დღესტანი. მათ კეთილმეზობლობაზეა დამოკიდებული ჩვენი სიმშვიდე. საქართველოს მეფეებმა ეს იცოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ ჩრდილოკავკასიელებთან დასახლოებად. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ეს ერთიანობა ჩამალა. „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა სანიშნოდ განხორციელდა. გარდა ამისა, ჩრდილოკავკასიაში დახსლოებით 40 ათასი ქართველი უბატონოდ გვეყავს მიტოვებული. ვინ არიან, რამდენნი არიან ჩრდილოკავკასიელები, რას უნდა მოველოდეთ მათგან, ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ჯეოქ კინიანი** საუბრობს. ის 25 წელი მოღვაწეობდა ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტში.

— **ბატონო ჯონი, ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია შეცდამა „რუსულ ქაბაში“ უფრო ჩრდილოკავკასიელი ტომები მოუარმა, ვიდრე ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები... მაგრამ ეს მცირერიცხოვანი ხალხები მაინც ვერ შეგუვნენ მის ქვეყნადობას. რა აძლევთ მათ ძალას?**

— ის, რომ ისინი არიან ძველი ცივილიზაციის წარმომადგენლები — კავკასიაში გადიოდა აბრეშუმის გზა, რომლის ცენტრი საქართველო იყო და ეს კავკასიელებს საშუალებას აძლევდათ, მაშინდელი მსოფლიო ეშენებინათ. ის კულტურა საყრდენად კავკასიას დღემდე მოჰყვება და მაგალითს აძლევს დღევანდელ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა იბრძოლო თავისუფლებისთვის. სხვათა შორის, რუსეთის იმპერიამ კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად ნიადაგის მოსინჯვა ჯერ კიდევ XVI ს-ში დაიწყო, და ისეთი პოლიტიკა გაატარა, რომ შველს და ქომავრებს მისგან ელვადნენ. ასე მაგალითად: მტრებისგან შევიწროებულმა ყაბარდოს მთავარმა თემურჩემა 1557 წელს მოსკოვში ელჩები გაგზავნა დახმარების სათხოვნელად.

— **მათაც აწუხებდათ შერიგებები?**

— თურქეთი და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ კავკასიის ხელში ჩაგდებაში. მათ რუსეთიც დაემატა — ყაბარდოს მთავართან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო. მაგრამ ეს უკანასკნელი, მეტოქეებთან შედარებით, ფრთხილობდა — ოთხი საუკუნე ზეგრავდა იქაურობას და ნელ-ნელა ცდილობდა ხალხის გულის მოგებას. თუმცა ჩრდილო კავკასიის უომრად ხელში ჩაგდება მაინც ვერ შეძლო და 1817-დან 1864 წლამდე ებრძოდა. ჩრდილოკავკასიის თავისუფლების უკანასკნელი ფორფოსტი შამილის იმამი იყო. მაგრამ შამილმა მასში მხოლოდ ჩეჩენეთისა და დღესტანის ნაწილის გაერთიანება მოახერხა. არადა, ეს მამაცი კავკასიელი პირადად მიდიოდა კავკასიის ყველა ხალხთან და გაერთიანებას სთხოვდა. ვერ დაიყოლია. აი, მაშინ გაირკვა, რომ რუსეთს კავკასიის გახლეჩა უკვე მოუხერხებინა — მას არ მიეშინნენ ოსები, ინგუშები, ყაბარდოელები...

— **რატომ ვერ მოახერხა შამილმა ჩრდილოკავკასიელთა გაერთიანება?**

— რუსეთმა საუკუნეების მანძილზე იმუშავა ამ ხალხის გასათიშად. ამასთან შამილის შეცდომა ისიც იყო, რომ მან ჩრდილოკავკასიის გაერთიანება რელიგიური პრინციპით — ისლამის საშუალებით მოინდომა, რაც არ მოეწონათ დანარჩენ ხალხებს.

— **რატომ, მათი უმეტესობა ხომ მამადიანი იყო?**

— ასე არ არის. მათ რელიგიაში შერწყმული იყო ქრისტიანულიც და მუსლიმანურიც. იქ დღესაც შეხედებით უძველეს ქრისტიანულ ტაძრებს. მაგალითად, ინგუშეთში, ტყობაიერდის ტაძარში, მშვენივრად შემონახული ქართული წარწერები და იქ XVII საუკუნემდე დროდადრო ქრისტიანული წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა. მეტსაც გეტყვით — VIII საუკუნემდე დაღესტანში ქრისტიანული ეპარქია იყო. ამ ხალხებმა მუსლიმანურ ადამ-წესებს თავიანთი ტრადიციები ამჯობინეს. საერთაშორისო ისლამისტური წრეები იქ დღეს ავრცელებენ ფუნდამენტურ ისლამს... არც ისე დიდი ხნის წინ კი, ერთი ჩემი მეგობარი ჩეჩენი აღმწოდებული მიყვ-

ბოდა, — ჩემი ვაჰაბიტი დისწული ფეხზე არ წამოვიდგა, ასე მითხრა, — ვაჰაბიზმი არ მავალდებულებს ვინმეს წინაშე ფეხზე წამოდგომასო... ჩხუბში სამშვიდობო მანდილის ჩაგდებას ტრადიცია გავისხენოთ — ეს წესი ჩვენ და ჩრდილოკავკასიელებს გვექონდა. მუსლიმანები რომ მივიდნენ და უთხრეს, — ეგ მანდილი ჩადრად ჩამოიფარეთო, იქაურ ქალებს ეს არ მოეწონათ — ჩვენი ადამ-წესები მაგას არ გვავალდებოდა...

— **იქ ქრისტიანობა საქართველოდან გაგრცელდა?**

— რალა თქმა უნდა. საერთოდ, საქართველო და ჩრდილოკავკასია, გარდა მატერიალურისა, სულიერ კულტურასაც ცვლიდნენ ერთმანეთში. XX საუკუნის დასაწყისშიც კი ჩვენ უახლოესი ნათესაობა გვექონდა. საქართველოს მეფეები, დაწყებული ფარნავაზითა და მისი ვაჟით, საურმაგით, ხშირად ქორწინდებოდნენ ჩრდილოკავკასიელ მეფე-მთავართა



შამილი

ასულებზე. ეს ტრადიცია უბრალო ხალხშიც გავრცელდა. ჩვენ გვაერთიანებდა გასაოცარი ადამი გაიძეხისა (ათილიყბა) და დამოზიბილისი (ყონალაბა): ქართველები თავიანთ შვილებს (და პირიქით), 1-დან 14 წლამდე, აღსაზრდელად აბარებდნენ ჩრდილოკავკასიელებს: სვანები — ყაბარდო-ბალყარეთში, ხევსურები — ჩეჩენეთში, კახელები — დაღესტანში... ასევე მოყვრდებოდნენ ყონალითა ოჯახებიც. ამას დაფუძნებით ზღმარმასპინძლობის უაღრესად დახვეწილი ინსტიტუტიც. ეს მარტო ის კი არ იყო — არიქა, სტუმარი მოვიდა, გაიქცევი, უკანასკნელი დედალი დაკალიო... ამ ინსტიტუტს სხვა საფუძველი ჰქონდა — მიღწევების, ინფორმაციის, კულტურის ურთიერთგაცვლა... სტუმარი რომ წავიდოდა, თუ მასპინძელს მისი რაიმე მოეწონებოდა — ითვისებდა, ანუ სტუმარი საღვთო საქმეს აკეთებდა — სიხალე შეჰქონდა მასპინძლის ოჯახში. ამაზე მეტყველებს გამოთქმა — სტუმარი ღვთისააო. წესადაა დარჩენილი — დღესაც სტუმარს სასაუბროდ ყველაზე ჭკვიან კაცად მიჩნეულს დაუსვამენ ხოლმე.

— **დღეს რამდენი ეროვნების ხალხი ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში?**

— 80-ზე მეტი. რუსეთის ფედერაციაში შედის 7 ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკა: დაღესტანი, ჩეჩენეთი, ჩრდილო ოსეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ადიღე და კიდევ სამი ადმინისტრაციული ერთეული — კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარე და როსტოვის ოლქი. ვინ არიან მათში გაერთიანებული, რითი სუნთქავს ეს ხალხი და რას უნდა ველოდეთ მათგან, ამის შესახებ თითქმის არანაირი ინფორმაცია არა გვაქვს. ეს ხალხი მრავალფეროვნების და მოულოდნელობის გასაოცარი მარეგია. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ მხოლოდ დაღესტანში 40 ეროვნების ხალხი ცხოვრობს და 12 სახელმწიფო ენას...

— **ტრადიციები ყველამ შეინარჩუნა?**

— მთიელობა დღესაც თავისუფლებას, თანასწორობას, სიტყვისა და საქმის ერთიანობას ნიშნავს. რუსეთი, ეს ცნებები რომ მოესპო, უპირველესად არისტოკრატების იბირებდა. მთიელი ბეკოვიჩ-ჩერკასები, ისე როგორც ბაგრატიონები, რუსეთის სამეფო კარზე წარიშვინებთან, პოტიომკინებთან და ორლოვებთან იყვნენ გათანაბრებული. თანაც, გარდა იმისა, რომ ამ მიწებზე რუსებს ასახლებდნენ, იქაუ-



ასეთ მთებში ცხოვრობენ კავკასიელები

რების მოსადრეკად არაფერს ერიდებოდნენ, — ჩეჩენეთის დასაჩოქებლად მეფისნაცვალმა ერმოლოვმა პირწმინდად გაიქცა ტყეები... თუმცა ჩრდილოკავკასიელებმა ერის გადამრჩენელი იდენტიფიკატორები — ტრადიცია, ენა და კულტურა — მაინც შეინახეს. და მაინც, დამპყრობის გულმოდგინე მუშაობის შედეგად უამრავი პრობლემა შეექმნათ, რის გამოც დღეს ერთმანეთს ებრძვიან. არადა XVI საუკუნემდე ჩრდილოკავკასიელებს ერთმანეთის მიმართ გაცილებით მეტი კეთილგანწყობილება ჰქონდათ.

— **რა პრობლემები იწვევს მათ შინაომებს?**

— ოთხი ძირითადი პრობლემა: ენის — რუსეთი იძულებული კი გახდა, მათთვის სახელმწიფო ენად ადგილობრივი დეკანონებინა, მაგრამ ისინი, მოსახლეობის 70%-მა არ იცის. მეორე — გაყოფილი ხალხების პრობლემა. ერთი და იგივე ხალხი სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მაგალითად, 300 ათასი ლეზგიდან ნახევარი დაღესტანში ცხოვრობს, ნახევარი — აზერბაიჯანის ტერიტორიაზე... მესამე რეპრესირებული ხალხის პრობლემა — 1944 წელს სტალინმა, გერმანელებთან კავშირის ბრალდებით, შუა აზიის სტეპებში დედაბუდებიანად გადაასახლა ჩეჩენები, ინგუშები, ბალყარელები და ყარაჩაელები. მათი მიწები სხვა კავკასიელებს დაუწინაშა. დაბრუნდა ეს ხალხი და ხომ ახსოვთ, სად ცხოვრობდნენ, რა დატოვეს? უყურებენ ახლა თავის ნასახლარს და ითხოვენ, დაგვიბრუნეთო... ვინ დაუბრუნებს?! ერთადერთი, ქართველები

აღმოჩნდნენ, რომლებმაც დაუყენებელიც დატოვეს ახალი სამკვიდროები: სვანებმა და რაჭველებმა თებერდა-ქელსორი, ხევსურებმა — ინგუშეთის ასას ხეობა და თარგიმის ქვაბული... თითო წყვილი პირუტყვიც კი დაუტოვეს მოსაშენებლად და საოჯახო ინვენტარიც... მეოთხე პრობლემა კი ეთნობატონობაა — სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხია გაბატონებული. კავკასიელს კი თანასწორობა სისხლში აქვს გამჯდარი. ამის შესახებ ერთ ამბავს მოგიყვებით: გადასახლებაში მყოფმა შამილმა შვილთან ერთად ავადმყოფი ერმოლოვი მოინახულა. გენერალს „უფროსი ძმის“ პატივმოყვარეობა უკვე დაკარგული ჰქონდა. ყოფილმა დევნილმა და მდევნელმა ადამიანურად, თბილად ისაუბრეს. გამოშვებობებისას შამილმა უთხრა: — უარმოლ, უარმოლ, ასე რომ გელაპარაკა კავკასიელებთან, შენთვის დაიხოცებოდნო. ბოლოს, შვილს უბრძანა, — მაგას ჩვენი გაცილება უნდა, თვითონ ვერ შეძლებს, ხელში აიყვანო... იმანაც კარამდე ხელში აყვანილი მიიყვანა კავკასიელების დაუძინებელი მტერი.

— **ბოლო დროს ხშირად დაპარაკობენ კავკასიური ომის საშიშროებაზე...**

— ჩვენი ყველა უბედურების მიზეზი, რუსეთისა და სხვა ქვეყნებში კი არა, საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ. რუსი იქნება თუ ამერიკელი, შეცდომები არ უნდა დაუფუშავთ. ჩვენი ფიქრი და აზრი ძველებურად სხვისკენ — მოსკოვისკენ თუ ვაშინგტონისკენ

არის მიმართული, პატრონის ძებნაში ვართ გართულები. პატრონობა კი ყოველთვის მოჩვენებითია, მხოლოდ საკუთარი თავი არ მოგვატყუებს. რატომ უყვართ ქართველებს დავით აღმაშენებელი? — იმიტომ, რომ ამ კაცმა მხოლოდ თავის ერში მოიძია ძალა — უარი თქვა ბერძნების კუროპალატობასა და თურქ-სელჩუკთა მფარველობაზე. რა გააკეთა ამისათვის? — საშუალო ფენა გააძლიერა, ეკონომიკა განავითარა, გზები გაიყვანა და ყარაულები დააყენა, ხალხი ყაჩაღებს რომ არ გაეძარცვათ. დღესაც გვეჩრდება პროქართული ორიენტაციის გაძლიერება. ვფიქრობ, ერთმანეთს უწინდებურად უნდა დაუფასოვდეთ, ასე არა მარტო ჩვენ, კავკასიაც აღარ იქნება ხელნაშაპარავი. მათ ჩვენთან საომარი არაფერი აქვთ...

— **ეს ალბათ გაჭირდება, რადგან ჩვენი კავშირები თითქმის დაიკარგა.**

— ასეც არ არის. სხვათა შორის, დამოუკიდებელ საქართველოს ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე ექვსი საკონსულო ჰქონდა. ახლა ცოტა რამ ვიცით ერთმანეთზე, მაგრამ ჩვენ მათთვის ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. მაგალითად, ჩეჩენთი დატოვეს რუსმა სპეციალისტებმა და ახლა ეკონომიკა ვერ აუშუშავებიათ. შეგვიძლია მათ (და არა მხოლოდ მათ!) ეკონომიკის დარგის კადრებიც მოვუშალოთ და ჩრდილოკავკასიური ენების სპეციალისტებიც. ჩვენი არის ამის საბაზა...

— **კავკასიელებს აღარ სურთ რუსეთის ქვეყნადობა, რალა მიანდამაინც ისეთი და აფხაზები იწვევენ მათკენ?**

— რა გიკვირთ? მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ ინდობს კავკასიას (ეს ბესლანის ტრაგედიაზე დადასტურეს), ის მაინც ცდილობს, აქაური ხალხები ეკონომიკურად დაიცვას. თუ ჩვენ ეკონომიკურად და სოციალურად ნელს მოვიდგამთ, ჩვენგან გაქცევა არავის მოუწევს. იცით, რამდენს მუშაობს რუსეთი, მაგალითად, ჩრდილოეთ ოსეთზე? ეს რესპუბლიკა საფაქრო გზას აკონტროლებს და რუსები თავს იკლავენ ალანების გულის მოსაგებად. პარალელურად, ამ ტერიტორიაზე გამალებით ასახლებენ რუსებს და ხელს უწყობენ მათსა და ადგილობრივთა ქორწინებას. ჩრდილოეთ ოსეთში ახლა 40% რუსი ცხოვრობს. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მოსახლე 20 მილიონი კაციდან 14 მილიონი რუსია(!). ასე რომ, ფრთხილად ვიყოთ — რუსებისადმი ჩვენს ყველა დამოკიდებულებაზე კავკასიაში ჩანერგილი ეს ხალხი შესაბამისად რეაგირებს... ასე რომ, ფეხს, რომელიც ამ მიწაში გვექონდა, თუ მოვეუვლით, ჩვენც გაგვაძლიერებს. ეს ნამდვილად შეგვიძლია. ბოლოს და ბოლოს, ასე იქცეოდნენ ჩვენი მამა-პაპები!

ეთერ ერაძე



**საქართველოს ახალგაზრდა
აქორომისტთა ასოციაცია**

**ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის
პროექტი**

**უფასო სატელეფონო კონსულტაციები
ლიცენზიისა და ნებართვის
მიღებასთან დაკავშირებით**

ლიცენზიების სხელი ხაზი 93 64 75

**პროექტის ფარგლებში გამოცა
გაგმაქვანი "როგორ მივიღოთ
მონაგვლოვის ნებართვა"**

გაგმაქვანი უფასო

**საქონებათო ინფორმაცია: მისაღებად: 3. ორგანიზაციის 3. №35,
თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge**



პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით



ვერა და ვერ დაგვირგვინდა მათი სიყვარული, ხან რამ შეუშალა ხელი, ხან — რამ. მერე ვაჟი ციხეში მოხვდა. გოგონას მშობლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: აღარ იფიქრო ნაცისარზე, თორემ მკვდრად ჩაგთვლითო.

ზოგჯერ მართლაც ნამეტანი მუქარა იციან მშობლებმა, მაგრამ უმეტესობას მაინც უღებუბა გული. აბა, შეილი ვის დაუქარგავს?

ვაჟი ოთხ წელიწადში გამოვიდა ციხიდან, მაგრამ გოგონამ უარი უთხრა ცოლობაზე. ყველას გაუკვირდა, რადგან ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ციხე და პატიმრობა დაბრკოლებად არ უნდა ქცეულიყო...

ბიჭი არ მოელოდა ამას, სახტად დარჩა. თუმცა გულისგულში იმედი ჰქონდა, რომ გოგონა მოტყუდებოდა, სიყვარული სიამაყეს დაათმობინებდა. მოლოდინში შვიდი წელი გავიდა. არც ერთი ფიქრობდა დაოჯახებას და არც — მეორე. მერე ქალის მამა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, უცებ გარდაიცვალა...

ლელას მეგობრისთვის უთქვამს: — ალბათ ღვთის ნებაა ჩემი და გიოს ცალ-ცალკე ყოფნა. მამას შევფიცე, გიოს არ გავყვები-მეთქი. მე სულელს მეგონა, დრო რომ გავიდოდა, მამას შევებრალებოდი... რახან ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისგან მშობლიური დალოცვა ვერ მივიღე, საბოლოოდ უარს ვამბობ გიოზეც და გათხოვებაზეცო...

ლელამ კი თქვა უარი გათხოვებაზე, მაგრამ დედამ, ძმებმა და ნათესავებმა აღარ მოასვენეს. ქალაქში იმდენად არ ჩანს და არც უცხოებათ შინაბერობა, სოფელში კი ეს ოჯახის ტკივილი და სირცხვილია. მარტო მისი სოფელი კი არა, მთელი რაიონი მოლოდინით შეჰყურებდა მშვენიერ ექიმ ქალს — ვის აირჩევს საქმროდ, მაგრამ გიოს მეგობრები სპეცაგენტურისათვის შესაშური ოპერატიულობით ატყობინებდნენ ვაჟს „საშინი კანდიდატის“ გამოჩენას. გიო „მოინახულებდა“ ლელას საგარეოდ საქმროს, ერთ-ორ „თბილ“ სიტყვას ეტყოდა და ისიც სამუდამოდ გადაიკარგებოდა.

გაქედობდნენ ოჯახის წევრები — ლელას რომ არ უნდა გათხოვება, გასაგებია, ისევ იმ

ჩვენ გვყავს ჩვენს აბჯავზე რომანი დაინერება

„მე და ჩემს სკოლელს ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში მამამისი ჩაერია. რატომღაც არ მოვწონდი მამით ობოლი და შვილს ურჩია, თავისი მეგობრის ქალიშვილი შეერთო ცოლად. ჯერ გაჯიუტდა დათო, მერე კი, მეც რომ გავებუტე, ადგა და მამის ნებას დაჰყვა...

გავიდა დრო. როგორც იქნა, გამოვიგლოვე დაკარგული სიყვარული და გავთხოვე. შემეძინა ტყუპი ქალიშვილი. გოგონები 11 წლისანი იყვნენ, როცა მუუღლე გარდამეცვალა...

შედაგოგი ვარ. ერთ-ერთ სკოლაში მათემატიკას ვასწავლი. ერთ მშვენიერ დღეს, ახალი სადამრიგებლო კლასი ჩამაბარეს. მოსწავლე-თა სიას ჩაგხედე. დათოს გვარის წავითხაზე გული კი შემიტკოდა, მაგრამ გოგონა იმდენად განსხვავებული გარეგნობისა იყო (ქერა და ცისფერთვალბა), თანაც მამის სახელი ნიკოლოზი ეწერა, რომ ვიფიქრე, ალბათ დამთხვევაა-მეთქი.

გამოხდა ხანი. მოვიწვიე მშობელთა კრება. თამუნას არც ერთი მშობელი არ მოსულა. მეორედ დღეს ბავშვს ვუსაყვედურე. გოგონას ცერმლი მოერიდა, დედა-მამა გამორებულები არიან, დედა არც კი მასსოვს, რუსეთში ცხ-

იხით თუ აკა... მარინადი

მარინადი ჯერ კიდევ ძველრომაულ წყაროებში მოიხსენიება. თუმცა, რომაელები დიდი ფანტაზიით არ გამოირჩეოდნენ და ყოველგვარ ხორცს, მომზადების წინ, ზღვის მარილიან წყალში ალბობდნენ. დროთა განმავლობაში მარინადის დამზადების ხელოვნება იხვეწებოდა — ზღვის წყლის მაგივრად ჯერ მჟავე ღვინოს იყენებდნენ, შემდეგ კი ძმარს. მარინადი სურნელოვანი რომ ყოფილიყო, ძმარში მწვანის, სანელებლების და შაქარს ურევდნენ. მე-18 საუუუნეში მოდამი შემოვიდა ხილის მარინადი, რომელსაც ხორციდან ერთად მიართმევდნენ. ხილს ჯერ ხარშავდნენ შაქრის ვაჟინში, მერე კი ძმრითა და სანელებლებით გაჯერებულ მდოგვის სქელ სოუსში ჩაანყობდნენ. იმ დროის ფრანგულ კულინარიულ ტრაქტატებში მარინადის „ფორმულა“ ასეთი იყო: „სიმჟავე, ცხიმი, ბალახეული“. სიმჟავე, რომელსაც ძმარი და ღვინო შეიცავს, ხორცს არბილებს, ცხიმი — გამოშრობისაგან იცავს და წვნიანს ხდის, სურნელოვანი ბალახები კი არომატს აძლევს. სწორედ ამ ფორმულას იყენებენ კულინარები სხვადასხვანაირი მარინადის დამზადებისას. ისინი ამტკიცებენ, რომ მარინადის საშუალებით ჩვეულებრივი კერძიც შეიძლება კულინარიულ შედევრად იქცეს. მაგალითად, მაგრად მოხარშული კვერცხი უგემრიელესი გახდება, თუ 3-4 დღე სპეციალურ ნაზავში ჩავენყობი. გაფცქვნილი კვერცხები ჩაანყვეთ შუშის ქილაში, დაასხით ძმრის, ზეითუნის ზეთის, ცხარე წიწაკის, ნივრისა და

მიუპარდი და მიუპარები

„რეციდივისტს“ მისტირის, მაგრამ უცოლო კაცებს რა ეტავათო...

ლელა დუმდა. მხოლოდ მან იცოდა, რომ მისი „უხილავი“ შეყვარებული ყველას ხედავდა და ყველაფერს გრძნობდა. მართალია, არ ანუხებდა ქალს, მაგრამ ცოცხალი თავით სხვას არ დაუთმობდა საყვარელ არსებას.

ამასობაში ორი წელი გავიდა. რაიონის მთავარ ექიმად თბილისიდან უცოლო კაცი გამოგზავნეს. სერგიმ უმალ შეამჩნია ლამაზი ქალი და მალე ცოლობა სთხოვა. უარი მიიღო. რატომ? — გაგიჟდა. ლელამ უთხრა: — მე რომ დაგთანხმდე, ცოტა ხანში მოვა კაცი, რომელიც ხელს აგალებინებს ამ განზრახვაზე, მე კი არ მინდა, კურდღლევივით შემინებული გნახო, სჯობს კოლეგებად დავრჩეთო. სასაცილოდ არ ეყო ქალის ნათქვამი სერგის. მერე გაიკითხ-გამოიკითხა ლელას ამბავი და როცა „გზასაცდენილ“ კაცზეც უამბეს, ცოტა კი ჩაფიქრდა, მაგრამ მართლა უყვარდა ქალი და მისი ხელიდან გაშვება, ვიღაც დამთხვეულის გამო, არ უნდოდა.

იმ ვილაცის სულ არ მეშინია. შენ თუ თანახმა ხარ, გამომეყვი ცოლად და გპირდები, ბედნიერი იქნები სიკვდილამდეო, — უთხრა ლელას. რატომ იმას არ მეკითხები, მიყვარს თუ არა ის კაცი, ჩვენზე ხომ ათასი ჟორი დადისო, — გაუკვირდა ქალს, მაგრამ სერგის პასუხმა უფრო გააოცა: — მე შენ მიყვარხარ და სულაც არ მაინტერესებს, რას ლაპარაკობენ შენზე და იმაზეო.

ლელას არც ერთი თაყვანისმცემლისაგან არასოდეს გაუგონია მსგავსი რამ. სერგი მის თვალში ამაღლდა — ლელას წინ ღირსეული მამაკაცი იდგა და გული აუჩქროლდა! უკვე 36 წლისა იყო. დედობის სურვილმაც სძლია, თან სერგიც მოსწონდა. იმედი ჰქონდა, შეუყვარდებოდა. დათანხმდა, ოღონდ სთხოვა, — ჩვენს ამბავს ხელის მონერამდე ნუ გაამხელ, არც



დიდი ქორწილი გვინდა, ჯვრისწერის მერე სადმე ორი კვირით წავიდეთო. კაცი სისხარულით დაჰპირდა, მაგრამ ჩასაფრებულ თვალს რა გამოეპარება — გაფარდა ჟორი: მთავარი ექიმი და თერაპევტი საყვარლები არიანო...

ერთ საღამოს დაუპატიჟებელი სტუმარი მიადგა მთავარ ექიმს... ბევრი არ ულამაზაკიათ გიოს და სერგის. შენ მაგ ქალს ცოლად არ მოიყვან, რადგან მე მიყვარს! — უთქვამს გიოს. სერგის მშვიდი ღმილით უპასუხია: — მეც მიყვარს, ლელაც თანახმაა ჩემს ცოლობაზეო. მე გაგაფრთხილო, — და გიოს კარი გაუხურავს.

სერგის არაფერი უთქვამს ლელასთვის. გადაწყვიტა, სასწრაფოდ მოენერათ ხელი და იმავე დღესვე წასულიყვნენ საქორწინო მოგზაურობაში.

ლელას ოჯახი — ჩუმად ხომ არ გავათხოვებთ ქალს, უპატრონო ხომ არ არისო — და სამზადისს შეუდგა.

...შეაბათს, გათენებისას, სერგის ოთახში

აი, ასე გამოვქირნა ალაპი

ამას წინათ ერთ მეგობარ მხატვარს ვესტუმრე სახელოსნოში. რამდენიმე მხატვარი ერთად მუშაობს. ყველა ქალია. ზოგი ხატავს, ზოგიც თიხით ლამაზ-ლამაზ ჭურჭელს ძერწავს, გობელენებს ქსოვენ და ა.შ. მათ შემხედვარეს შეიძლება თქვენი მოგიწოდეთ რაიმეს გაკეთება. ყველა თავისთვის მუშაობს, ზოგჯერ ვინმე თუ წაილიდინებს. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ საქმეს ყველამ ერთად მიანება თავი და ალაპარაკდა, გაგიჭირდებათ იქიდან ფეხის გამოდგმა. ჩემი ბოლო

სტუმრობის დროს მხატვრებს შემოქმედებითი პაუზა ჰქონდათ და ათას რამეზე ლაპარაკობდნენ. ნანა უკვე 23 წელია ულამაზეს ჭურჭელს და ყველასგან განსხვავებული ფორმის ქანდაკებებს ძერწავს. მაგრამ მისი ყველაზე საინტერესო ნამუშევარი თურმე ერთი ცნობილი ქალბატონის ოჯახში ინახება და მას „ადამი“ ჰქვია. მე და ის ქალი ბავშვობის მეგობრები ვართ, — მიამბობს ნანა, — თავიდანვე ძალიან უცნაური იყო, ასაკის მატებასთან ერთად კი ხასიათიც გაუუკუღმართდა. პირად ცხოვრებაში არ უმართლებდა. მაკაცებმა არაერთხელ ატკინეს გული. დაღალა ამდენმა იმედგაცრუებამ. ერთ დღეს მთხოვა, — თიხის კაცი უნდა გამომიძერწო. თანაც „ადამს“ უსათუოდ ბუბა კიკაბიძის სახე უნდა ჰქონდესო (დღემდე არ ვიცი, რატომ). დავიდე ბუბას ფოტოები წინ და რამდენიმე თვის შემდეგ ჩავაბარე 1.80 სმ სიმაღლის ადამი. ჩემს ნახელავს ვუყურებდი და ვფიქრობდი, — ნეტავ იმ გიჟმა ამის გაცოცხლებაც არ მომთხოვოს-მეთქი. თან გული მისკდებოდა, რომ ეთქვა არა, არ ჰგავსო, ხომ ჩამყვრებოდა ამდენი შრომა წყალში. მოვიდა, უკირკიტა, რალაცები შემასწორებინა და წაიღო. უკვე 8 წელია დგას მისი საძინებლის გარდერობში „ადამი“ და ჩემს მეგობარსაც ამ ხნის განმავლობაში კაცებზე სიტყვა არ დასცდენია. რა ხდება, ღმერთმა უწყის. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ნეტავ „ადამი“ მართლა ხომ არ ცოცხლდება-მეთქი...

ქეთას გობელენებს საგამოფენო დარბაზშიც ხშირად ნახავთ და მაღაზიებშიც. უცნაური დამკვეთები არც მას აკლია. — მშრალ ხიდთან ვიდევი ერთხანს — მიყვება ქეთა, — თან ვესოვდი, თან ნამუშევრებს ვყიდდი. ერთი უცხოელი მომეჩვია. მოვიდოდა, დადგებოდა, მელაპარაკებოდა. მშვენივრად იცნობდა ხელოვნებას,

ფრთხილად შევიდა კაცი და საწოლის წინ ჩამოუჯდა მიწიწარეს. სერგის უმაღ გაველვია და მოსულს დააცქერდა. გიო შეიცნო. ხომ გაგაფრთხილო? — უკითხავს გიოს. უკან დახევას არ ვაპირებ, რადგან ჩვენ ერთმანეთი გვიყვარსო, — უპასუხნია სერგის. ამ სიტყვებს გაუცოფებია გიო, დანა ჩაურტყამს გაბედული სასიძოსთვის და... გამქარლა.

საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა სერგი.

ელვასავით მოედო ეს საშინელი ამბავი მთელ რაიონს. ყველა დაზაფრული და გაოგნებული იყო. ლელას ცრემლიც არ გადმოვარდნია, მხოლოდ ერთი რამ იკითხა: დაიჭირეს თუ არა გიოო. მიიმალაო, რომ გაიგო, ოთახში ჩაეკეტა და მხოლოდ ორიოდე საათით გამოვიდა იქიდან სერგის დაკრძალვის დღეს, მერე კვლავ შინ დაბრუნდა და 40 დღე არავის დანახვებია.

მალე გიო დააპატიმრეს...

სასამართლო პროცესიდან ერთმა უახლოესმა მეგობარმა ლელას გიოს წერილი მოუტანა: „ლელა, რატომ გამწირე, რატომ მომექეცი სასტიკად? მთელი სიცოცხლე მოლოდინად გადამიქციე, ბოლოს კი ტანჯვად გამიხადე. განა, ჩვენი სიყვარული ასე უნდა დასრულებულიყო? აქედან ან გამოვალ, ან არა და გემუდარები, ერთი სიტყვა მაინც მომწერე, მითხარი, კვლავინდებურად გიყვარვარ თუ არა. გეფიცები, შენი პასუხი დამამშვიდებს, ოღონდ ნუ მომატყუებ, სიმათლე მითხარი. გიო“.

და ლელამ პასუხად მისწერა: „მიყვარდი და მთელი სიცოცხლე შენ მეყვარები!“ გიოს 14 წელი მიუსაჯეს.

ლელა არ გათხოვილა. ერთ-ერთი ძმისწული იშვილა და პატარა გიოსთან ერთად თბილისში ცხოვრება არჩია.

გიო ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა ციროზით...

ლელამ ერთადერთხელ გაუხსნა გული მეგობარს: — მე მართლაც გიო მიყვარდა მხოლოდ, მაგრამ უაზრო სიჯიუტემ — მამას რომ შევეფიცე — არ გავყვები-მეთქი, ეს სიყვარული დამპყარგვინა. ისიც დაიღუპა და ერთი კარგი ადამიანის ცოდვაც დავიდეთ ორივემ. მთელი სიცოცხლე რალაცას ველოდი, მჯეროდა, რომ ეს რალაც საბოლოოდ მაჩუქებდა გიოს თავს, მაგრამ მოგტყუვდი, მისი სიკვდილი მერგო წილად და დავისაჯე... ახლა ერთი ოცნებალა დამრჩენია — ეს პატარა ბიჭი გაგზარდო მის სახელზე და გზაზე დავაყენოო...

ეს „პატარა ბიჭი“ დღეს 29 წლისაა, ცოლიც ჰყავს და პატარა ქალიშვილიც — ლელა!

მარინა ბაბუნაშვილი

მუდამ თქვენი ერთგული მკითხველი“.



კვლიავის ნახარში და შედგით მაცივარში. ყველის მოყვარულთ შეუძლიათ რბილი ყველის (თხის, ცხვრის ან ბრინჯა) მარინადის გაკეთება. ყველს ოთხუთხას ნაჭრებად ჭრიან, აწყობენ შუშის ჭურჭელში და ასახმებ ზეთუნის ზეთის, თეთრი მშრალი ღვინის, ცხარე წიწაკის, ნივრისა და რეჰანის ნაზავს, სამი დღე გრილ ადგილას აჩერებენ. მზა ყველს პომიდორთან და თბილ თეთრ პურთან ერთად მიირთმევენ.



ფაროს, თუ ერთჯერადიაო? — განაწყენდა...

მადონა უცნაურ ჩასაცმელებს კვრავს. მისი ნახელავით ყველაზე თამამი თბილისელი ქალე-ბი მხოლოდ ყველაზე ავანგარდულ შეკრებებზე თუ გამოცხადდებიან. მადონასაც საინტერესო კლიენტურა ჰყოლია. — თავიდან უფრო ქალე-ბი მაკითხავდნენ და უჩვეულო შეკვეთებს მაძლევდნენ, — ჰყვება მადონა, — ძირითადად, ათასნაირი ორნამენტით აჭრელებული ტყავის საცვლების შეკერვა სურდათ. მიკვირდა — ნეტავ, სად იცვამენ-მეთქი. მერე ერთი გამოჩნტყდა — „ტელეფონის გოგონა“ ვარო. თურმე კლიენტებს მოსწონდათ, საძინებელში სუპერ-ექსტრავაგანტური „ნაშები“ რომ ხვდებოდათ. ბოლო დროს კაცებმა მოუშშირეს სიარული, ქალებთან ერთადაც მოდიან. მაოცებს მაგათი უსაზღვრო ფანტაზიები. ამას წინათ, ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ვიცი, ვინც არის, პოლიტიკოსობს. ქალის ძალიან უცნაური საცვლები შემეკვეთა. დარწმუნებული ვარ, ცოლისთვის არ უნდა. მისი ცოლი მეცოდება კიდევ იმ კაცის ხელში, ისეთი ფანტაზიები ანუხებს, დარწმუნებული ვარ, ცოლთან ვერასდროს გამონახავს საერთო ენას.

გვა ლომიძე

ბპოგბ

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20
 მოამბე 08.15 სს. ფილიპ, ცარიელი პინა
 (ს) 10.00 იმედი რამე 10.30 მად. ზაფარიას
 სასტუმროს 11.00 მთავარი ლიგები 11.30
 სს 12.15 სს. ფილიპ, სიმეონიძე, ივანე
 (ს) 13.00 13.55 სერიალი, მწირობა-
 რსკვლავთა ღამე 14.55 ფიზიკური,
 „ლოკომოტივი“ (თბილისი) - ზესტაფონი,
 „ზესტაფონი“ - ზესტაფონისას
 მოამბე 17.00 სატელეო, მარტო მონიშნა
 პინადაში 18.00 დოკ. ფილიპ 18.55
 „იმედი რამე“ 19.25 „მეტი მშენებელი ფი-
 ჟის გიგანტი“ 20.35 „ჩემი მშენებელი
 ლედი“ 20.55 „ფორმულა“ 22.00 ტელე-
 ფოტო 22.45 „ამბიკო“ 23.15 კინოტელე-
 (ს) პრეცეპტი 00.30 სს. ფილიპ, „მხიბლველი“,
 -

[illegible]

09.00 ანთიმაციური ფილმი
„პლდგამო კორდელისის ქუჩაგამი“ 1-
26.09.55 წ. ფილმი, რეჟისაბი შოკო-
(მ. რიკიანი) 23.30 2 კლასი 11.45 „დიდო
ფოსტო“ 12.40, 13.15, 01.15 23.30 პრეკტი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 23.30 ქრონიკა
13.30 ქართ. ფილმი, შობა ზეპორიანო-
ბი“ (ა) 15.15 „ნადიბი და“ ჟოჰანასი
ეროდა, 16.30 სპ. პროგრამა „სიხ“ 17.10
ფილმი სერიალი „მშვიდობიბი მე-20
საუკუნე, 18.05 კონიფიკოლოფი“
18.20 „არტ-გალერია“ 19.30 თამაში
„პოლიციის აკადემია“ 19.55 ქართ.
ფილმი „ღაბი თეიზიანი“ მე-3 ს. 21.00
„დროები“ 22.30 ფიზიკი, იტალიის
ჩემპიონატი. 00.20 სერიალი „538
პრიკიზი“ 01.45 იტალიის მელდობი

მუღბურთილი, სქელი ძალი მენ-
დას 10.00 სასერიალი, 3500 სერიალი
შპს-ის მფლობელი 10.30 სერიალი
დასაბრუნებელი ძალი 11.30 სერიალი
დასაბრუნებელი ძალი 11.30 სერიალი
პროგრამა, ყველაზე ყველაზე 12.30
შეცვლენითი გავარდით პროგრამა
„ფიქსირებული სერიალი“ 13.00 სერიალი
„პარაპროგრამა“ 14.00, 17.00, 20.00 საივ
მედიამეზა, „მეზა“ 14.15 მს.
ფილმი, მინიშნულებები 15.15
მუსიკა მზეზე 16.30 „ფარული კამერა“
17.20 „გადაცემები ბარტ ვულვი“, 17.50
შეცვლენითი პროგრამა, ყველაზე
ყველაზე 18.50 მუსიკა მზეზე 19.00
სერიალი „დასაბრუნებელი ძალი“, 20.30
სერიალი „პარაპროგრამა“ 21.30
ფიქსირებული პროგრამა დივიზიონი 00.00
მს. ფილმი „ალბინი“, (B) (კუთხე ბალი).

ის შთაბრძნავლობა, (12)

	14.00მზ. ფილმი, "ფრინულიაღ გაზრდა" (U) 17.00 ვარსკვლავები გაზრდაზე 18.00 ქართული მუსიკა 19.00 საბ. ფილმი: "იკოპოლიტი" 20.00 ინდ. ს. ფილმი, "სამკრებამი" 23.00 აზერბ. სინმა" 23.00 "გაზარდა" 23.00 მუსიკა
	08.00 ევრონიუსი 19.00
	მულტიფილმი, "ნეროს ბუმბული" 19.30 კლასიკური მუსიკა 19.35 დოკ. სერია- ლი, მე-20 ს. მთებით და ლეგენდები" 20.05 მზ. ფილმი, "პლუმიკატრა", მე-2ს. 22.00 ევრონიუსი

2021 10.00 ქართული ესტრადის ვარსკვლავები 13.00 რეტროსპექტიული ჩვენება — ჩარლი მაშლინი 20.00 ქართული ესტრადის ვარსკვლავები 22.00 რეტროსპექტიული ჩვენება — ჩარლი მაშლინი

 06.00, 10.00, 12.00 Новости.

06.10 Полнометражный мультфильм "Земля до начала времен-1". 06.30 Алексей Горбунов в боевике "ГРУЗ БИЗЕЗ МАРКИРОВКИ" 08.20 Служу Отчизне! 08.50 Дисней-клуб: "Мики, Дональд и Гуффи-спортсмен". 09.10 "В мире

живых 10.10.10. Пелутеветы
заметил». 10.30 Показе всемо. 11.10
Кремль - 9. "Три жаны маршала
Буденного". 12.10 Анна Каменкова
в мелодраме "МОЛОДАЯ ЖЕНА".
14.00 Дисней-клуб: "Приключения
Микии Дональда". 14.30 "Шутка за
шуткой". 15.20 Воскресный
"Ералаш". 15.50 Харрисон Форд в
фильме "ИСКАТЕЛИ ПОТЕРЯН-
НОГО КОВЧЕГА" 18.00 Времена.
18.55 "КВН-2004". Высшая лига.
Первый полуфинал. 21.00 Время
24.15 Джеки Чан в комедийном
боевике "ЧАС ПИК-II" 23.30 Бокс.
Вадим Токарев - Тони Битс. 00.00
Дэвид Бринкли в фильме Годфри
Реджио "ПОВАКАЦИ". 01.50 Сара
Мишель Геллар в триллере
"ЖЕСТОКИЕ ИГРЫ" 03.40 Серилал
"Специальное подразделение II".
Закл. с. 05.00 Серилал "Все
путешествия команды Кусто"



შედეგები

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულელები ხომ თქვენი გამომხატულება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გინევთ.

სამედიცინო გამოკვლევის შედეგად ექიმმა დამისვა ასეთი დიაგნოზი: „თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული ეროზიული ბულბიტის გამწვავება“. შეიძლება თუ არა ეს დაავადება წყლულში გადაიზარდოს. შესაძლებელია თუ არა მისი განკურნება?

თქვენი ერთგული მკითხველი ა. მრეგელიშვილი

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა უმრავლესობა იკურნება. პრობლემა ისაა, რომ ბევრ ადამიანს არ სურს, ჯანმრთელობას მიხედოს. რა თქმა უნდა, რეგულარულად ყურადღება და გარკვეული წესების დაცვა გესაჭიროებათ, რათა მორიგი გამწვავება თავიდან აიცილოთ. ბულბიტის დროს ადამიანს აწუხებს საჭმლის მოწელების დარღვევა, სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, გულისრევა, ბოყინი, მუცლის ტკივილი. რაც შეეხება მკურნალობას, მისი ეფექტი უკვე 2-3 დღეში ხდება ხოლმე შესამჩნევად, მაგრამ რადგან დაავადება ქრონიკულია, მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ რეკიმის მცირე დარღვევის, იმუნიტეტის შესუსტების და სხვა მიზეზთა გამო დაავადება შესაძლოა ისევ შეგახსენოთ თავი. თუ უყურადღებობას გამოიჩენთ, შეიძლება წყლულიც ჩამოყალიბდეს.

ჩემს 14 წლის გოგონას აქვს თირკმლების პოლიკისტოზი. ძალიან გთხოვთ ამისწახო, რა აჩენს ამ დაავადებას და როგორ უნდა მოვიცეთ ასეთ შემთხვევაში?

პატივისცემით, მანანა რ.

თირკმელთა პოლიკისტოზი მემკვიდრული დაავადებაა. მისი სიმპტომები შეიძლება იყოს სიმძიმის ან ტკივილის შეგრძნება წელის არეში ან ნეკნებზე. პოლიკისტოზის დროს თირკმლის ქსოვილში ჩნდება სხვადასხვა დიამეტრის (1მმ-დან 3-4 სმ-მდე) დიდი რაოდენობით კისტა. თირკმელი ემსგავსება ყურძნის მტევანს. ამ დაავადების დროს ყოველთვის ორივე თირკმელი ზიანდება. პოლიკისტოზის ძირითადი გართულებებია ქრონიკული პიელონეფრიტი, არტერიული ჰიპერტენზია და თირკმლის უკმარისობა.

აუცილებელია ექიმის დავიკრება, საკონსულტაციო ულტრაბგერითი გამოკვლევები, არტერიული წნევისა და თირკმლების აზოტგამომყოფი ფუნქციის კონტროლი ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც. უნდა დადგინდეს, უახლოეს ნათესადაც ჰქონდათ თუ არა თირკმლების პათოლოგიები. თუ ეს ასეა, ბავშვის ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვუძღვოდეთ. აუცილებელია ქვედა სამარდე გზების ანთებითი დაავადებების დროული მკურნალობა, შარდის რეგულარული მიკროსკოპული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, სისხლის საერთო და ბიოლოგიური ანალიზები. ასაკის მატებასთან ერთად თირკმლების ფუნქცია შეიძლება გაუარესდეს, ამიტომ მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ შეიძლება საჭირო გახდეს პემოდიალიზი.

მეფას ორი შვილი. ორივეს აღმოაჩნდა უარყოფითი რეზუსი სისხლი. მეც და ჩემს მეუღლესაც კი რეზუსი დადებითი გვაქვს. აქამდე ვთვლიდით, რომ რეზუს-ფაქტორს ბავშვი მშობლებისაგან იღებდა. გთხოვთ, განმარტოთ, რა მოხდა ჩვენს შემთხვევაში?

ლევან მ. თბილისი

რეზუსის განსაზღვრავს გენების წყვილი. მათგან ერთ-ერთს ადამიანი მამისაგან იღებს, მეორეს — დედისაგან. მშობლები თავის გენოფონდში ატარებენ გენის სხვადასხვა ვერსიას. ერთს — დადებითი რეზუსისა, ხოლო მეორეს — უარყოფითი რეზუსის. მკითხველის მიერ აღწერილი შემთხვევაში ბავშვებმა დედისგანაც და მამისგანაც მიიღეს ერთნაირი — უარყოფითი რეზუს-ფაქტორის განმსაზღვრელი გენები.

დადებითი რეზუსი სისხლში სპეციფიკური ცილის — ენ. რეზუს-ფაქტორის არსებობას ნიშნავს. როცა ეს ცილა ადამიანს არა აქვს, ამბობენ, რომ რეზუსი უარყოფითია. ამ ცილის სინთეზს კი განსაზღვრავს მშობლებისგან მიღებული რეზუს-გენები. თუ ბავშვი ორივე მშობლისგან მიიღებს აქტიურ გენს, მაშინ სისხლი რეზუს-დადებითია, თუ ორივესგან — არააქტიურ გენს — მაშინ სისხლიც რეზუს-უარყოფითია. როცა ბავშვი ერთი მშობლისგან იღებს აქტიურ გენს, ხოლო მეორისაგან არააქტიურს, მაშინ აქტიური დომინირებს და მაინც უზრუნველყოფს რეზუს-ფაქტორის (ცილის სინთეზს), ამიტომ სისხლიც რეზუს-დადებითია. არააქტიური გენის არსებობა ასეთ დროს არაფრით ვლინდება.

თუ მათემატიკურად გამოვთვლით, დადებითრეზუსიან მშობლებს უარყოფითრეზუსიანი შვილის ყოლის 25%-იანი ალბათობა აქვთ (თუ მშობლებსაც გენოში თითო გენი არააქტიური ჰქონდათ). მოცემულ შემთხვევაში ორივე შვილზე ეს 25%-იანი ვარიანტი განხორციელდა.

კარაბადი

გვამაურები თქვენს მკითხველს, რომელიც ითხოვდა წნევის დამწვე ბუნებრივ საშუალებებს. მეც გატანჯული ვიყავი მალალი წნევით. მეზობელმა მასწავლა წამალი, რომელიც საგრძნობლად გამოუმჯობესა მდგომარეობა:

მაგნოლის ფოთლები ჩაყარეთ ქალაში და დაასხით არაყი (250 გ არაყი 50 გ ფოთლებზე). დაახურეთ სახურავი და ერთი კვირით ბნელ ადგილას დადეთ. ნაყენი უნდა სვით 20-30 წევით სამჯერ დღეში, ერთი თვე მაინც. შემდეგ ცოტა ხანს შეისვენოთ და ისევ განაგრძოთ მიღება.

ამ რეცეპტს გარდა, ძალიან მიხდება უნდა, რომელსაც ეჭამ სოლმე 20-20 ცალს სამჯერ დღეში 2-3 კვირის განმავლობაში. აგრეთვე კარგია ნახურის ნაყენი, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ნახური ძირიანი უნდა იყოს. რამდენიმე ცალი მიზაკის თესლი დაფხვენით და აუროთ ერთ კიპა მაინც — წნევა მოგიწესრიგდებათ.

პატივისცემით, ნინა დოლონაშვილი

აიძის კონცხი: მაგნოლია მარადმწვანე ხეა, რომელიც ჩვენში შავი ზღვის სანაპიროზე ხარობს. აქვს მოგრძო, პრილა ფოთლები და სურნელოვანი ფილისებრი ყვავილები. მაგნოლიის ფოთლები სამკურნალო მიზნით უნდა მოიკრიფოს ყვავილობის პერიოდში ანუ მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით. მცენარე მდიდარია ქიმიურად აქტიური ნივთიერებებით. ფარმაკოპეიაში იგი აღწესებულია, როგორც ჰიპოტენზიური (წნევის დამწვე) ეფექტური საშუალება. მკითხველის მიერ მოწოდებულ რეცეპტში აღწერილია ფოთლების თხიერი ექსტრაქტის დამზადების წესი. აღნიშნული პრეპარატი არა მხოლოდ წნევას მოგწესრიგებთ, არამედ შეამცირებს გულის ფრიალს, მოგისწინებ ტკივილსა და უსიამოვნო შეგრძნებას გულის არეში.

რაც შეეხება უნაბს, მის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერებში გვერნდა საუბარი. ნახურის წნევის დამწვევი ეფექტი მის შარდმდენ თვისებებზეა დამყარებული. მიზაკს კი, როგორც ცნობილია, საზნებების მომხსნელი თვისებები აქვს. იგი ხსნის ბრონქოსპაზმს (ასთმური შეტევების დროს), აგრეთვე, სისხლძარღვთა სპაზმებს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკითხველი — მკითხველს

რამდენიმე წელია მანუხებს სახის მარჯვენა ნახევრის საშინელი ტკივილი. ექიმებმა დამიდგინეს სამწვერა ნერვის ანთების დიაგნოზი. როგორც გაგიგეს, დაავადება არ იკურნება. შეუძლებელია, ხალხურ მედიცინას არ პქონდეს სამწვერა ნერვის ანთების წამალი. ძალიან გთხოვთ, თუ ვინმეს შეუძლია ჩემი დახმარება, გამოიმეზაუროს.

თქვენი ერთგული მკითხველი ლეილა რ.

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადაწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალობა“ მოგაწოდებთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმარებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 80-გვერდიანია.

ჩვენი უპიკის ჯანმრთელობას

რამდენიმე ათეულ ლაქად ყილიან

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

— ხომ არ აჯობებს, შინაურულად მოვაგვაროთ საქმე?

— ე.ი. თქვენ მხოლოდ ცნობის აღება გასურთ. ასე გეტყვით, ამდენს რას მალაპარაკებდით. მოზარდობით ოთხშაბათს და ხელშეკრულებას გაგიფორმებთ. ცნობასაც მოგცემთ, რომ ჩავატარეთ თქვენთან სადგინო-ინფექციო პროფილაქტიკური სამუშაოები, ოღონდ ეს ამბავი დაახლოებით 100 ლარი დაგიჯდებათ...


ამ დიალოგის შემდეგ რა შეიძლება ითქვას? ალბათ მხოლოდ ის, რომ ბატონ ვიქტორ მოსიძეს, რომელიც თბილისის სადგინო-ინფექციო სადგურის სამეთვალყურეო სამსახურშიც იმავე წარმატებით იძლევიან ყალბ ცნობებს (ჩვენი შვილების ჯანმრთელობის ხარჯზე. — ზ. ჩ.), როგორც სხვაგან...

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მადონა შიშვილი:**

— იქნება ეს კერძო ფორმა თუ სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაცია, ჩვენი დეპარტამენტი გასცემს ლიცენზიებს.

— **ჩვენი ინფორმაციით, ბევრ კერძო ფორმას ისე მივიტოვებთ, რომ საქონლისთვის საჭირო ლაბორატორიები, სპეციალური აღჭურვილობა და სხვა დანადგარები არც ჰქონიათ.**

— ლიცენზიის მძივებებმა ყველა საბუთი წარმოადგინეს. მართალია, ჩვენ არ შეგვი-



სასწაულოქმედი კავსულა „მიკროკუროტი“ SPA-jet ფიზიკურ სრულყოფილებას განიცდევინებთ. ამ საოცრებს შდეჯად „წარმოქმნილი“ ორთქლის, შხის სითბოს, წყლის ჭავლის, ფერების, სასამოვნი სურნელის და ბუნების ბევრების ზეგავლენით, არა მარტო თქვენი სხეული იგრძნობს ახალგაზრდობისა და სიცოცხლის უზარმაზარ ძალას, არამედ მთელ თქვენს არსებას ღვთაებრივი სიმშვედ მოიცავს. SPA-jet-ი, რომელიც მნიშვნელოვან ამაღლებს სახისა და სხეულის კანის მოვლის ნებისმიერი საშუალების ეფექტურობას, შესანიშნავ შედეგებს იძლევა წონის, ანტიცელულიტისა და ლიმფოდრენაჟის რეგულირების პროგრამით. მხოლოდ ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრს შეუძლია თქვენი მომსახურება. სულ ორივე დღის წინ საკურათი კომპლექსი „ლაგუნა ვერე“ ტერიტორიაზე გახსნილი ახალ ოფისში ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა კომფორტულ სამკურნალო კაბინეტებში ჯანმრთელობის აღდგენისა და გაახალგაზრდავების სრულიად ახალი ტექნიკური საშუალებები წარმოადგინეს. ქალბატონების ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ „მიკროკუროტი“ SPA-jet-ს ხვდა წილად. არაერთ მათგანს გაუწნდა მშვენიერებისა და ჰარმონიულობის მისაღწევი მიკროკუროტის საკუთარ თავზე გამოცდის სურვილი. მედიკონის მეცნიერებათა დოქტორის, ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის (რეაბილიტაციის დარგში) ნელი კაკულიას განცხადებით ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრი უნიკალური სამედიცინო დაწესებულებაა. მისი საქმიანობა საქართველოში ეფუძნება არსებულ ტრადიციასა და გამოცდილებას სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში. ცენტრში დანერგულია სახალხეებიც. ექიმთა მულტიდისციპლინური გუნდი თითოეულ ავადმყოფთან კომპლექსურად მუშაობს, რაც მოიცავს სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა ასპექტს — სამედიცინოს, სოციალურს, პოეფიკურს. პაციენტთან მუშაობის პროცესი უწყვეტია და პროცესების სრულ გამოქმნითულებამდე, საზოგადოებაში მის სრულყოფილ

მონმებია საბუთების რეალობა და არც გვიწახვას, ჰქონდათ თუ არა ლაბორატორიები და შესაბამისად აღჭურვილი ოთახები, კანონი ამას ჩვენს დეპარტამენტს არც ავალდებულებს(?!). როდესაც ისინი მუშაობას დაიწყებენ, მათი საქმიანობა უნდა შეამოწმოს სამედიცინო ხარისხის კონტროლის ინსპექციამ და თუ ლიცენზიანტი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მას ჩამოერთმევა ლიცენზია...

სამედიცინო ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსი **ზინა თვალაბაძე:** „ჩვენს ინსპექციაში სადგინო-ინფექციო სამსახურების შესახებ

არც ერთი საჩივარი ან სხვა მასალა არ დევს, თუმცა მათი საქმიანობის შესახებ მე ჩემი აზრი მაქვს(?!). ჯობს, მიმართოთ ბატონ გურამ ლიპარტელიანს, ამ სფეროში ის კომპეტენტური პირი ბრძანდება და ყველაფერს განგმარტავთ“.

დასასრულ, ჩვენ გავსაუბრეთ თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ბატონ **ამთაფლიშვილ მინდიაშვილს:** „ვერ გეტყვით, ჩატარდა თუ არა წელს სადგინო-ინფექციო პროფილაქტიკური სამუშაოები სკოლებში(?!). ამ საკითხს თვითონ სკოლის ხელმძღვანელები აგვარებენ — განათლების სამმართველო ამ საკითხში არ ერევა. სკოლები დებენ ხელშეკრულებას სადგინო-ინფექციო ფორმებთან და ისინი ატარებენ სამუშაოებს. სკოლებს ამ სამუშაოების შესრულებისათვის ბიუჯეტიდან თანხები აქვთ გამოყოფილი“.

P.S. ამკარაა, რომ საქართველოს სადგინო-ინფექციო მომსახურების სფეროში სრული განუკითხაობაა. შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები დღისით-მზისით უცნობ პირებზე ყალბ ცნობებს გასცემენ. თავს არც იმით ინუხებენ, თუნდაც გადაამოწმონ, არსებობს თუ არა ასეთი სკოლა ან საბავშვო ბაღი, რომლებსაც საბუთს აძლევენ. ექიმი-ინფექციონისტების განცხადებით, ამ ზამთარში საქართველოში ტიპიანდური გრიპის გავრცელებაა მოსალოდნელი. პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე კი არაფერ ფიქრობს — ვისაც ეს ევალება, ისინი თანამემამულეების ჯანმრთელობას სულ რამდენიმე ათეულ ლარად ყიდნიან.

ზვიად ჩაკვეტაძე

შეიხანით სრულყოფილად გაიყა!

ინტეგრირებამდე გრძელდება.

ეს უნიკალური დაწესებულება სპეციალიზდება თავის ტვინის ინსულტისა და სერხმალ-ზურგის ტვინის ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციაზე. მისი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ფიზიკური უნარშეზღუდულობის მქონე პირთა მომსახურება ეფექტური სამედიცინო სერვისით. ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრი აღჭურვილია ფიზიოთერაპიული აპარატებით, საგარეოში დარბაზით, დამზარეულ-შუალელებით: ორთქნებით, ინჰალაციის ტექნიკით, სპეციალური ლიფტებით. პაციენტებს მკურნალობა სრულიად ახალი თანამედროვე აპარატურით ჩაუტარდებათ, რომელთა შორისაა LPG Systems, IPL QUANTUM. ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრი ქალბატონებს მშვენიერებისა და სილამაზის შენარჩუნების საიდუმლოებებს უმხელს და კოსმეტიკოლოგიის სფეროში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიების მოხსენჯავს სთავაზობს. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ პაციენტს ინდივიდუალურად შეურჩევენ მისთვის საჭირო პროცედურას. ინსტიტუტში გამოიყენება კომპანია LPG Systems-ის რეკონსტრუქციური გამოგონება მეთოდი Endermologie, რომლის საშუალებით შესაძლებელია ცელულიტის ეფექტური მკურნალობა. კომპანია LPG Systems შეიქმნა 1986 წელს და დღემდე სხეულის მოდელირების სფეროში შეუცვლელ ლიდერს წარმოადგენს, ხოლო IPL QUANTUM სისტემა ყველაზე სრულყოფილი და ტექნოლოგიურად გამართულია.

ესთეტიკისა და რეაბილიტაციის ცენტრის მრავალრიცხოვან პროცედურებს შორისაა ფოტო-ეპილა-არომათერაპია, მქოთერაპია: კონტოლირებადი მიკროდერმაბრაცია, მრავალფუნქციური კაფ-სულა, Stone თერაპია, Babor-ის კოსმეტიკა, ბიო-თავსებადი გელის ინექციები (Restylare, Perlane, Fine line) და სხვა. სპეციალისტები განსაკუთრებით გამოყოფენ ბოტოქსის ინექციას, რაც ნაოჭების გასწორების ფართოდ გამოყენებული და მსოფლიოში გავრცელებული მეთოდია.

თუ გასურთ გაიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა მობრძანდით შემდეგ მისამართზე: ლაგუნა ვერე, სანაპიროს ქ. №2. ტ: 98-40-40; ტ/ფაქსი: 92-15-23

R

თუ თქვენ ან თქვენი ბავშვი ხართ ალერგიული და გინდათ უსაფრთხო და სიძველოდ ჩაიტაროთ ახრახი გრიპისა და სხვა ინფექციებისა თაჰილან ასანდიხად, მოგვმართათ მისამართზე:

თსსუ ცენტრალური კლინიკა. ასთმის, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი, VI სართ. ოთახი 660. ტელ: 39-56-81; 39-58-59. ვაჟა-ფშაველას ბაზ. 29 (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო)

ქუთაისის მერს წყალნაღველი და დანგრეული ქალაქი ელანდება(?!)



„წვიმების სეზონი მოდის და გული მისკდება...“

კატასტროფა, რომელიც ქუთაისს ემუქრება, შემადრწუნებელი იქნება. ქალაქის თავზე „დაკიდებულ“ რიონის წყალშემკრებში არსებული წყლის უზარმაზარი მასა ნაპირსამაგრ კედლებს და ჯებირებს შემოცლილ ქალაქს წალეკებს უქადის. ექსპერტების აზრით, თუ ხელისუფლება სასწრაფოდ არ მიიღებს ზომებს, გზას ურმის გადაბრუნების შემდეგაც ვეღარ დავინახავთ.

უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქუთათურები წერილს წერილზე, თხოვნას თხოვნაზე აგზავნიან სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურაში და შევლას ითხოვენ ავტო, უკვე ხუთი წელია. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა ბოლო 6 თვის განმავლობაში, — არა მარტო რიონის პირას მცხოვრები მოსახლეობა, უკვე მთელი ქალაქი შიშს ჰყავს ატანაში. ცაზე ღრუბლების გამოჩენა აქ თითოეულის თავზე ავისმომასწავებელი შავი ღრუბლის გამოჩენასთან ასოცირდება. „შეიძლება საღამოს მშვიდად დავიძინოთ და უცებ პირდაპირ შავ ზღვაში ამოვყოთ თავი. ჩვენი პრობლემა არაა იმდენად სასტიკი, თითქმის ყველა გაგონიერ ახალ დაბადებულს, თუ პრეზიდენტი ქუთაისში ჩამოვიდა, რიონის წყალს „გაეიტაცოთ“, რათა თავი თვალთშეშვით გასაქირს ქუთაისელები (რომელთა თხოვნითაც „კვირის პალიზა“ ქალაქს ესტუმრა).

ქალაქის ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამმართველოს უფროსი გიორგი ზურციძე კი ცხებზე ნავის ასხმას და საქარტელოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მუერნობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის „საქმიდროეკოლოგიის“ ექსპერტების წერილობით დასკვნებს მაცნობს.

აღნიშნული ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, რომერტ დიაკონიძე საგანგებოდ სწავლია რიონის პირდაპირ ქუთაისის გურის წყალშემკრებ სათავე ნაგებობას და არსებული მდგომარეობის შესახებ დასკვნებიც გაუკეთებია.

„რიონის წყალშემკრებში არსებული წყლის საკმაოდ დიდი მასა პირდაპირ ემუქრება და თანდათან რეცხავს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ნაპირებს. დანგრეული რამდენიმე სახლი და ნარეცხილი საკარმიდამო ნაკვეთები. იმის გამო, რომ აღარ არსებობს ნაპირდაცვითი კედლები და სანაპიროს

წინაო კალაპოტმეცელი მდინარეს მთიდან ჩამოგანილი ნაშალისგანაც ასუთავედნენ. უკვე ოცი წელია, ეს აღარ გაკეთებულა. მდინარის ქვეშ ნაშალმა ნახევარკუნძული წარმოქმნა და რიონმაც ძველი კალაპოტის დაბრუნება და სანაპიროზე 80-იან წლებში დასახლებულთა საკარმიდამო ნაკვეთების მიგაცემა დაიწყო. წყალი პირდაპირ უტევს ქუთაისს.

მიმდებარე ტერიტორია შედგება მდინარის მიერ მოტანილი ადვილად მრეცხი ნატანისგან, ყოველ წუთსაა მოსალოდნელი, დაიწყოს ნაპირების სწრაფ ტემში რეცხვა... წყლის მასის დიდი წვეთის მიწოდის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრები გაიგრევა, სტიქია ასევე დაანგრევს ორ ნაბიჯზე მდებარე ქუთაისის სასაქონლო წყლით მომარაგების სათავეს და ქალაქის „თავზე“ დაკიდებული წყლის მასა ქუთაისს წალეკავს. ეს იქნება გამოუსწორებელი ეკოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფა, — წერია დასკვნაში, რომლის გაცნობის შემდეგ მასპინძლებთან ერთად ჟომის დასახლებსკენ მივდივარ, იქ, სადაც უბედურების მთავარი ზონა მდებარეობს. ერთი შეხედვით საფრთხეს ვერც კი იგრძნობთ, რადგან წყალი თითქმის ნელა ლოკავს ნაპირს. კაშხლის გვერდით არსებული მიწის უზარმაზარი ფართობი უკვე მთლიანად წყლით გაუძღვნილი და დაჭაობებული. „აქ ნაპირდაცვითი კედლების ვინაობა ზოლავს ჩაანგრევს ადიდებული მდინარე, კალაპოტს შეიცვლის, კაშხლისკენ აღარ წავა, ხმელეთზე გადავიდის და გზად ყველაფერს შთანთქმავს“, — მისნის გოგია ზურციძე.

ისევ რობერტ დიაკონიძის დასკვნას დავუბრუნდები. სახელმწიფო მინისტრის, ჯამბულ ბაკურიძისადმი და ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურისადმი მიწერილ მის წერილებში ვკითხულობთ: „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა. სამუშაოების გაჩინების შემთხვევაში, სათავე ნაგებობაზე დანესებული უნდა იქნეს მკაცრი კონტროლი. ამასთანავე, სათავე ნაგებობის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს რიონის წყალშემკრების სათავე ნაგებობის პროექტი, რის საფუძველზეც დამუშავდება სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების გეგმა და სამუშაოების ჩატარების გრაფიკი.“

გოგია ზურციძე: — თუმ-

იკ რიონის წყალშემკრები სათავე ნაგებობის პროექტის შექმნას და შემდეგ მის განხორციელებას გახდის შესაძლებელს. ჯერჯერობით, რიონის ქალაქი არავის ჩაუვამს საქმის გასაქმებლად.

— ახალ რწმუნებულთან თუ გისაუბრებ ამ საკითხზე?

— ყოფილი რწმუნებული საქმის კურსში იყო. ამბობდა, ყველაფერს მივხედავო, წერილებიც გადავეცი პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტისთვის მისაწვდენად, მაგრამ ამაოდ. ფაქტია, რომ მხსნელი ჯერ არ ჩანს. რაც შეეხება ახალ გუბერნატორს, მას ორი დღის წინ ვაცნობე მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ. დამავალა სარეაბილიტაციო პროექტის ავტორის მოკვლევა. ეს საქმე „საქწყალპროექტმა“ უნდა იკისროს...

არსებული მდგომარეობის შესახებ თვალსაზრისის გამოთქმა ქუთაისის მერს, გიგა გიორგაძეს ვთხოვეთ:

— დაახლოებით ხუთი თვეა, რაც ქუთაისის მერი ვარ და პირველივე დღეებიდანვე ვიცი მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ. ადამიანების გულგრილობამ საფრთხე მომაკვდინებლად გაზარდა. ყველა დონეზე დავაყენე საკითხი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასაც ვაცნობე ჩვენი გასაჭირი, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ქუთაისში ყოფნისას ვესაუბრეთ, მაგრამ...

— ამაზე, თანხები გამოიყო ბიუჯეტიდან ამ საქმისთვის.

— ჩვენამდე არაფერი მოსულა. რამდენადაც ვიცი, რალაც თანხა მართლა მისცეს „რიონის“, მაგრამ ჯებირების გასამაგრებელი სამუშაოები იქ არავის ჩაუტარებია. არადა, თუ ჯებირები არ გამაგრდა ან დამბები არ ჩაიყარა, საფრთხე არ შემცირდება. ახლა წვიმების სეზონი მოდის, ზამთარი ახლოვდება და გული მისკდება, შეიძლება ყოველ წუთს კატასტროფა მოხდეს. ერთს რომ წამოვიწმის, მოსვენებას ვკარგავ — დანგრეული, წყალნაღველი ქალაქი მელანდება.

ჭომაში რომ ამოვიდვარ და გაზი (აქ მოსახლეობისთვის გაზი გაჰყავთ) და წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს ვუნე მეთვალე-ურეობას, ხალხს მუერას ვერ ვუსწორებ. ვის რად უნდა გაზი და სითბო, წყალმა თუ წაიღო ყველაფერი?!

P.S. „კვირის პალიზა“ უკვე წერდა ლაგდეხის რაიონში წყალნაღველი კალაპოტის უნიკალური ტყის შესახებ. დედოფლისწყაროს რაიონში, ვაშლოვანის ნაკრძალის 200 ჰექტარი ფართობის ნახევარკუნძულის წალეკვის საშიშროებაზეც გიამბოთ. მაგრამ როგორც გავარკვეეთ, იქ უთქმისობისაქენ არაფერი შეცვლილია...

ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისის პრობლემის გაშუქებით „წყალნაღველი“ თემა უკანასკელი იქნება და სახელმწიფო ისევე გაუფრთხილდება თითოეული ადამიანის სიცოცხლესა და მისნი თითოეულ გოგს, როგორც ეს 21-ე საუკუნის ცივილიზებულ სახელმწიფოს შეეფერება.

ეკა ლომიძე

„არ იყო საჭირო საბაგალ გადახველი პრეზიდენტის გაყოფენა“

(დასაწყისი ის. გვ. 7)

ელემენტარული ეთიკის საკითხია, — ჯერ პარლამენტის თავმჯდომარისთვის ეთქვას, რა არ მოსწონდათ, რა შენიშვნა ჰქონდათ. თუნდაც ის ეთქვას — უმპაყოფილო ვართ, პარლამენტმა ჩვენი ინიციატივას მხარი რომ არ დაუჭირა და ამიტომ გავდივართ უმრავლესობიდან. რატომ უნდა გამეგო ჩემი კოლეგების გადაწყვეტილება ტელევიზიით? ვფიქრობ, უმრავლესობიდან გასვლა და ამის გახმაურება ამ დეპუტატების თვითმიზანი იყო და ნამდვილად არ იყო ამის საბაგალ საჭირო გარდაცვლილი პრეზიდენტის გამოყენება.

— უმრავლესობიდან გასვლა სხვა მიზეზიც დასახელეს — სახელისუფლებო ფრაქციაში რამდენიმე კაცი წვეტეს ყველაფერს, ჩვენ კი არაფერ არაფერს გვეკითხება, მზას არ გავლენებოდა.

— შესაძლოა უმრავლესობაში მართლაც არის პრობლემები, მაგრამ ვერ დავუთანებებ ნათქვამს, — დეპუტატებს ხმის ამოღებას უკრძალავთ. არ მახსენდება ფრაქციის სხდომაზე ვინმესთვის ეთქვათ, — ხმის ამოღების უფლება არ გაქვს, წყარად იჯექით. თუ ვინმეს ფრაქციაში რამე აქვს სათქმელი, უთუოდ უნდა ეთქვას. შესაძლოა ყველაფერი მეც არ მომწონდეს, მაგრამ ზოგჯერ იმდენი ვთქვამ, რომ იმ მომენტში ასე ჯობს და არ არის საჭირო საკითხის გამწვავება.

არ გამოვირიცხავ, კენჭისყრის დროს ფრაქციის წევრებს უთხრას მისმა ხელმძღვანელმა, — ამ საკითხს მხარს ვუჭერო, მაგრამ ნათქვამს დირექტივის სახე არასოდეს აქვს და ბრძანებებს არავინ იძლევა. ასეთი საქციელი ელემენტარულად არაეთიკურია.

— რაკი ეთიკა ასეა, გკითხვით — რატომ გახდა აუცილებელი ეთიკის კოდექსის შემოღება?

— ალემფოთის, როდესაც ზოგიერთი ჩემი და თქვენი კოლეგა ირონიით შეხვდა ამ კოდექსს. კოდექსით გავსრდა პასუხისმგებლობის განცდა გაგვემაფრებინა პარლამენტში. როდესაც ეთიკის კოდექსს ხელს ვანერდი, ნამდვილად არ მიფიქრია — ეს ყველა პრობლემას მოაგვარებს-მეთქი. უბრალოდ, ამით ვალაგრეთ, ამ მხრივ პარლამენტში პრობლემა და გვინდა უკეთესები გაგვდეთ-თქო. თორემ, თუ ადამიანი შინაგანად არ არის ეთიკური, თუნდაც 20 ეთიკის კოდექსზე მოაწერინე ხელი, არაფერი უშველის.

— თუ პარლამენტარმა ეთიკის კოდექსი დაარღვია, დასჯით თუ სიტყვიერად მოუთითებთ?

— თუ დეპუტატმა დაარღვია ის ნორმა, რომელიც ეთიკის კოდექსშია ჩანერილი, ამაზე პასუხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი მოსთხოვს. შესაძლოა, ეს იყოს სიტყვიერი გაფრთხილება, ჯარიმაც ან ხელფასის დაქვითვაც.

მარი ზანდუკელი

„ჯოხჯეწრონის“ თერმის
მეგალოკლასიკის
ქარ-ფანჯრები
ქალაქი იაფა
ფაჩაბი: თათარი, ნაბილი ბაქსაჩაით, მახა, მახი მახა, მახაჩოვი, ნიოთილი ხა და ა.შ.
ჩვენი პროფილი — მ-პაპარიანი
მის: ფერეითლის 141 მ, „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

საქმე აწარმოებს
გარეოთ
სამუშაოებს
სასალო და
ბაქიუარი
წყლის
მისაღებად
მის: აკარის ქ. №8
(საოპერის სასალო ნაქი, ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოკლასიკის
ქარ-ფანჯრები სხვადასხვა
უმაღლესი ფირები და
ხარისხის საკითები
პროფილით ☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარიდის
მოედანი, სასალო „ხიბლი“-ს უახ)

ცხოვრებისეული კურიოზები

1. როგორ „გამიფრეს“ რუხმა ბერიცებმა „კა-გე-ბეს“ აგენტი

დადიოდა თბილისის ქუჩებში ერთი ახლანადი ვაჟკაცი, თამაზი ერქვა და მშენებელი ინჟინერი გახლდათ. მორიგი მშენებლის დროს გადაწყვიტა ტურისტული საგზაო კუბაში გამგზავრებულიყო. კომუნისტების დროს მსგავსი მოგზაურობები უცხო ქვეყნებში ფინანსურად მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ საგზაო „მოსაპოვებლად“ უამრავი საბუთის წარდგენა იყო აუცილებელი. ამ საბუთებში ძირისძირობამდე იყო გამოკვლეული ყველაფერი არა მარტო ტურისტის, არამედ მისი ახლობელ-ნათესავების შესახებ. თამაზმა, წესისამებრ, საბუთები დარგობრივ პროფკავშირში ჩააბარა და შენობიდან გამოსვლისას ყოფილ თანაკლასელს, ნოდარს შეეჩხა, რომელსაც მეტსახელად ოჩო ერქვოდა. თამაზმა ნოდარს უთხრა, კუბაში მივდივარ და იქნებ შენც მოახერხო წამოსვლა. მართალია, მშენებელი არა ხარ, მაგრამ იმდენი ნაც-ნობა-მეგობარი გაყავს, ალბათ არ გაგვიჩერდება საქმის ჩაწყობაო. მართლაც, დატრიალდა ოჩო და იმდენად კარგად „ჩააწყობ“ საქმე — ერთი კვირით ადრე გამოირკვა, რომ კუბაში გასამგზავრებელთა სიაში თამაზის ნაცვლად ნოდარი ჩაუსვამთ! გაგიჟდა ოჩო, გაეარდა პროფკავშირის თავმჯდომარესთან თხოვნით, ამოეღოთ სიიდან და ჩაესვათ ისევე თამაზი. თავმჯდომარემ ხელები გაასვასავა, ამ ჯგუფში ვეღარაფერს მოგვხრებ, სამაგიეროდ, ორ კვირაში მოსკოვიდან რუსი მშენებლების ჯგუფი მიდის კუბაში, შემიძლია ერთი ადგილი ვითხოვო. მართლაც ასე მოხდა, და ნოდარიც დამშვიდებული გაემგზავრა კუბაში.

„კუბაში ყოფნის ბოლო დღეა. შთაბეჭდილებებით დატვირთული ქართველი ტურისტები პლაჟზე ნებეფრობენ. მათ შორის არის შავკანიანი გიდი, მხიარული ახალგაზრდა კაცი. ოჩოს ანუ ნოდარს ერთი „გენიალური“ აზრი მოუვიდა თავში და გიდს ეკითხება: — სამი დღის შემდეგ მოსკოვიდან მშენებლების ჯგუფი ჩამოდის, ხომ არ იცით, ვინ უნდა დახვდეს აეროპორტშიო. გიდმა გადაფურცლა უბის

ნიგნაკი და უბასუხა, მე ვხვდებიო. მაშინ ნოდარმა სთხოვა: ამ ჯგუფში ერთი მაღალი, შავგვრემანი, უღვაშიანი კაცი იქნება, მიდი და პკითხე: — ბომბორ, როგორა ხარ? გაუკვირდება და მეორე შეკითხვაც დაუსვი, — ალიომა, როგორ არის? ბომბორას თამაზს სკოლაში ეძახდნენ, ალიომა კი მამამისს ერქვა. გიდი დათანხმდა და უბის ნიგნაკში ლათინური ასოებით ჩაიწერა ქართული სიტყვები.

ამსობაში თამაზი უკვე შეუერთდა მოსკოვიდან მშენებლების ჯგუფს. „კომუნისტების დროს ნებისმიერ ტურისტულ ჯგუფს თან ახლდა „კა-გე-ბეს“ აგენტი, რომელიც ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა საბჭოთა ტურისტებისთვის, რომ „ცუდი საქციელი“ არ ჩადინათ (მაგალითად, რაზე არ გავიდათ, ფული არ გადაეცვალათ, საქვო პირს არ დალაპარაკებოდნენ და სხვა). „კა-გე-ბეს“ აგენტის ვინაობა გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ჩვეულებრივ, რამდენიმე დღის შემდეგ იგი „იშინებოდა.“ მოსკოვიდან მშენებლები

ერთმანეთს იცნობდნენ, ასე რომ, ეჭვი ქართველზე ჰქონდათ, აგენტიც იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი ტურისტი, სახელად ვასია.

პავანის აეროპორტში... ტურისტები ერთმანეთს მიყვლობით ჩამოდიან და ამ დროს ისმის ყვირილი: — ბომბორ, როგორა ხარ? თამაზმა იფიქრა, მომეყურაო. მაგრამ ახლა პირდაპირ მასთან მივიდა შავკანიანი გიდი და შინაურულად პკითხა: — ბომბორ, როგორ ხარ? თამაზმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა და რატომღაც რუსულად პკითხა: „ვი კო მენ ობრაშჩაიტეს?“ „ალიომა როგორ არის?“ — კონტრშეკითხვით მიმართა ზანგმა. აქ კი თამაზი საერთოდ „დაიცვინა“, განითლდა, ოფლმა დაასხა. გიდიც შეშინდა, ამ კაცს არაფერი დემართოსო და წამოიძახა: „ეტო ნე ია, ეტო ოჩო, ოჩო!...“

— ოჩო? ვოტ ვამ პაროლ! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ვასიამ.

ასე „გამიფრეს“ რუხმა ტურისტებმა „კა-გე-ბეს“ ქართველი აგენტი.

ზ. ო., თბილისი

2. მოფრების მინისტრი

60-იან წლებში ჩვენს ქალაქში სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად ერთი პატიოსანი, ინტელიგენტი კაცი, კირილე ხუნწარაძე მუშაობდა. მის დროს სახელმწიფო გეგმებიც სრულდებოდა და მგზავრებიც კმაყოფილი იყვნენ.

ერთხელ ქალაქში ტრანსპორტის მინისტრი მობრძანდა. ჯერ სატვირთო ავტოსანარმოს ეწვია, სადაც დირექტორმა კარგა ბლომად ჩაუჯიბა ფული, მერე სამგზავროში შეიარა, საიდანაც ასეთივე „შესვედრას“ ელოდა.

მინისტრმა საყვედურებით დაიწყო, გამართულად ვერ მუშაობთო. კირილემ კი დაუსაბუთა, რომ გამართულადაც მუშაობდა, მგზავრებიც კმაყოფილი ჰყავდა, მძღოლებიც და გეგმასაც ყოველთვის ასრულებდა... მიხვდა მინისტრი, რომ ეს კაცი ქრთამის მიმცემი არ იყო და რომ დარწმუნდა, არაფერი გამოუვიდოდა, წასვლისას დირექტორს ერთი ლაზათიანად შეუკურთხა.

კირილე გაშრა. ძლივს მილასლასდა კაბინეტამდე, დაჯდა და თავი მაგიდას ჩამოაყრდნო. ასე იყო კარგა ხანს. შემოვიდა დისპეტჩერი კუკურა ხვედელიძე.

— კირილე, ხალხი დამატებით რეისს ითხოვს და გაუშვავ ავტობუსი ხრეთში?

კირილემ თავი ძლივს აიღო.

— გაიგონე, ბიჭო, კუკურა, რა მითხრა მინისტრმა?

— ერთი შენ, მოგცლია! ეგ მოფრების მინისტრია, კულტურის კი არა, შეიგინებოდა, აბა, რას იზამდა?!

ჯიმშერ აბესაძე, ჭიათურა



ყუჩადღეა!

ეუჩიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრა“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მონონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვეთარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიას — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვეთარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 20 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 ოქტომბრის 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №42

ხუმრობს ხონელი საშურია

ხონელებს ძალიან უყვართ თავიანთი ხუმარა მოხუცი, ალექსანდრე ნოწონავა, რომელსაც დიდ-პატარა საშურიას ეძახის და მის ხუმრობებზე გულიანად იცინიან. გთავაზობთ ორ მათგანს:



3. საშურია მალაზიაში უსმენს სამამულო ომის მონაწილეს, რომელიც მეზობლებს უყვება: მე რომ გადავიტანე მტრისას! ვიბრძოდი სევასტოპოლში, კიევში, ვარშავაში, კენიგსბერგში, პარიზსა და ბერლინში.

საშურიამ უსმინა, უსმინა და წამოიძახა: — შენ, ძმაო, ომში კი არა, სამოგზაუროდ ყოფილხარო.

4. საშურია მშენებლობაზე მუშაობს.

ველოსიპედი ახალი ნაყიდი ჰყავს, დიდ ტომარაში ჩაყარა ცემენტი და მიაქვს შინ არხინად. ამ დროს „პარაბაზა“ დაინახა და პკითხა: — რას შვრები, საშურია?

— ცემენტი კი არ მინდა, ბიჭო, ველოსიპედს ვცდი, თუ გოუძლებს ამხელა ტვირთს!..

ამბერკი ტაბიძე, ხონი



5. ხომამტოლოგთან



ქუთაისის ერთ-ერთ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში ყბაგასივებული პაციენტი მივიდა, სვანეთიდან ჩამოვედიო. ექიმმა გასინჯა და უთხრა, — კბილი ამოსადები მგონი, არ არის და ამაში რომ დავრწმუნდეთ, სურათი უნდა გადაიღოთ და მომიტანოთ.

პაციენტი წავიდა და მეორე დღეს დაბრუნდა, შევიდა ექიმთან და ეუბნება: — აი, ექიმო, თქვენ რომ სურათის გადაღება დამავალეთ, მოვიტანეო. ექიმმა დახედა სურათს და სიცხილი ძლივს შეიკავა. პაციენტს რენტგენის სურათის მაგივრად, პასპორტის ფოტო (3X4) გადაუღია. მთელი პოლიკლინიკა ერთი კვირა ამ ამბით ერთობოდა.

ქუთაისელი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

6. მიხო ჩამოვიდა ქალაქში, დგას შუა ქუჩაში და ყვირის:

- ვაიმე, მიჭერენ!
- ვინ გიჭერს, აქ რომ არავინაა? — გოცდა გამვლელო.
- ბათინკები მიჭერს, კაცო, ბათინკები!
- კი, მაგრამ, რომ არ გაცვია?
- იმიტომაც არ მაცვია, ჩანთაში მიდევ!

ჯ. თ., თბილისი



7. სასტუმროს ნომრის კარზე ვიღაც აბრახუნებს. გამოღვიძებული რაჭველი გაბრაზებით კითხულობს:

- ვინა ხარ ამ შუალამისას, რა გინდა?
- სასტუმრო იწვის.
- მერე მე რომელი მეხანძრე ვარ, კაცო?!

თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი

8. სვანი კოლოებს იჭერდა, წითლად ღებავდა და ისევ უშვებდა.

— რატომ აკეთებ ასე? — დაინტერესდნენ.

— სიბერის დროს თვალს რომ დამაკლდებოდა, ადვილად დავხოცავ! — იყო პასუხი.

ნოდარ ფიჩხნარაშვილი, თბილისი



ბილიტა



იური ზურაბის ძე
მაკალათიასი
ჩვენი ოჯახის პატარა ანგელოზი, გილოცავ პირველ კლასში შესვლას! გისურვებ წარმატებებს, ჩემო იბოლო ბავშვო, გესაძლავინოს და არ დაგვიწყევლოს შენი მამაკის სახელი.

მამიდა - ქეთინო მაკალათიასი

ჩემო საყვარელო შვილო,
ბავლე ნადიბაიძე!
გილოცავ დაბადების დღეს, დავსწარი მრავალს, ჯანმრთელად და ბედნიერად, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. გვყავარ მაღალი ღმერთი. დიდი ღო-მისა იყოს შენი მამაკის სახელი.



ციალა თოფურია

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ უფრო სიხარულს! მამა ქორილია

ბილიტა

